საქართველოს იმიჯი კვლავ საერთაშორისო საზოგადოებრიობაა A3

რუსეთის აგრესია და თავისუფალ სიტყვაზე შეტევის შანსი A4

ვიაჩესლავ იზმაილოვი: საერთაშორისო ტერორისტებს საქართველოში რუსეთის სპეცსამსახურები გზავნიდნენ A4



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 24 აგვისტო, 2002 წელი. №83

ფასი 50 თეთრი

# დაბომბილი პანკისიდან დაკარგული აფხაზეთი ჩანს

მაია ჭალაგანიძე

**- ჩემი სახლიკაცი იჯდა ამ მანქანაში, ჩემი ძმა. შეშაზე იყვნენ ტყეში გასულები. რომ დაინახა ეს თვითმფრინავი, რალაცნაირად მოახერხა გადმოხტომა. ტყეში მიიმალა და გადარჩა. ის საწყალი კაცი კი, გურამ უტიაშვილი, მანქანიდან ჩამომხტარა, ფეხი უტკენია თუ რა იყო, გაქცევა ველარ მოუხერხებია. ადგილზევე დაიღუპა. ახლა ამ მანქანის გადაყვანას ვცდილობთ. აი, რო წამოვიდნენ ეს თვითმფრინავები, სულ გაყრუვდა მთელი ხეობა. ალბათ, ოცამდე ჭურვი მაინც იქნებოდა, თიანეთის გზამდე ბომბავდნენ. საშინელი დაბომბვა იყო. მიწა ზანზარებდა, სახლები ჭრიალებდნენ,** - *გვიამბობს დაბომბილი მანქანის მძღოლის ძმა. იგი ულამაზეს ლათას ხეობაში ვნახეთ, სწორედ იმ ადგილას, სადაც ტრაგედია მოხდა. ძმის დამწვარ მანქანას დატრიალებდა და მეზობლის დახმარებით ხეობიდან მის გაყვანას ცდილობდა.*

*სადაც კი ჩავფრინდით, შეშინებული ხალხი გვხვდებოდა. ჩვენი ვერტმფრენიდანაც ჭურვებს და საფრთხეს თუ ელოდნენ, მაგრამ მაინც ჩვენსკენ გამორბოდნენ. თითქოს არ შემდრკალან, მაგრამ ცაში აპყრობილი შეშინებული თვალები საწინააღმდეგოს ამბობენ.*

*დღეს ისინი არ დამშვიდებულან, უბრალოდ, უფრო მობილიზებულნი ელიან ახალ დაბომბვას და ამ მოლოდინის დასრულების იმედი, მგონი, აღარც კი აქვთ.*

*ახმეტასა და პანკისს დაბომბვაზე უფრო დიდი საშიშროება - შიში და უმწეობა დაუფლებია.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*სახელმწიფო მინისტრი დაბომბვის ადგილზე*

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

## ერთი სატელევიზიო სიუჟეტი არ შეიძლებოდა, დაბომბვის მიზეზი გამხდარიყო

ინგა ალავიძე

გუშინ გამთენიისას, დილის 5 საათსა და 20 წუთზე რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებმა პანკისის ხეობა და მისი მიმდებარე ტერიტორია დაბომბეს.

რუსულმა სამხედრო თვითმფრინავებმა საქართველოს ტერიტორიის 50 კილომეტრი დაიპყრეს და მას დაახლოებით 50 წუთის განმავლობაში ბომბავდნენ. **"რუსეთის მიერ განხორციელებული ოპერაციებიდან ეს იყო ერთ-ერთი უპრეცედენტო დაბომბვა,"** – ერთხმად აცხადებენ ქართველი ძალოვანები.

რუსეთის სამხედრო ავიაციის, დაახლოებით, შვიდი ბომბდამშენი საქართველოში რუსეთის მხრიდან მთა-თუშეთის - "ჭონთიოს" და "თებულოს" საგუშაგოების გადავლით შემოიჭრა. თვითმფრინავებმა გადაუფრინეს პანკისის ხეობას და დაბომბეს ილტოს ხეობისა და დაბა თიანეთის ტყის მასივები. რუსულმა ავიაციამ შტურმი მიიტანა ივრის ხეობაზეც. დაიბომბა ივრის ხეობის ხევსურეთთან დამაკავშირებელი ზოლი და ხევსურეთ-ჩეჩნეთის საზღვრის მონაკვეთი.

**"რუსეთის მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაციის შედეგად დაიღუპა 1 ადამიანი - სოფელ**

გაგრძელება A2 გვერდზე


ბომბების ექო პარლამენტში A2

ეუთოს დამკვირვებელთა განცხადება A3

მოსკოვში რუსი და ქართველი სამხედროების "ქვემოდან წამოსულ ინიციატივაზე" ლაპარაკობენ A3

ექს-მინისტრების მისია რუსეთში A4

წინასაომარი პოლიტიკური სამკუთხედი - ამერიკა-ერაყი-რუსეთი A5

თურქეთის ეკონომიკის ყოფილი მინისტრი აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას იწყებს A5

პროკურორ-გამომძიებელთა საქვეო ლმობიერება A7

გატაცებული ოქროულობა პატრონებმა დაიბრუნეს A7


## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 26 | |
| ქუთაისი | 27 | |
| ბათუმი | 24 | |
| სოხუმი | 25 | |
| ფოთი | 25 | |
| თელავი | 26 | |
| ზუგდიდი | 27 | |
| გორი | 24 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1950 |
| ევრო | 2.1270 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3373 |
| რუბლი | 0.0695 |

## რუსეთის საინფორმაციო საშუალებები საქართველოს დაბომბვის თაობაზე

"ეს სულაც არ არის პირველი მსგავსი განცხადება ქართული მხრიდან, - განუცხადა ივანოვმა ჟურნალისტებს ნოვოსიბირსკში ჩაფრენისას, სადაც ის ციმბირის სამხედრო ოლქის ინსპექტირებას მოახდენს, - მასთან რუსეთს, ბუნებრივია, არავითარი კავშირი არა აქვს. რაღაც აფეთქებები, შესაძლებელია, საქართველოს მიერ პანკისის ხეობაში ბანდიტური ფორმირებების სალიკვიდაციო ოპერაციის დასაწყისი იყოს. თუ ეს ასეა, მე მას მხოლოდ მივესალმები და სწორი მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯს ვუწოდებ".

საინტერესოა, თავად მინისტრი მიხვდა თუ არა იმას, რომ მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის სიკვდილს მიესალმება. ალბათ, მან, უბრალოდ, აზრი არასწორად გამოთქვა. ამასთან, ივანოვის რეპლიკა ორმაგად წარუმატებლად შეიძლება ჩაითვალოს, თუ მას ლოგიკის თვალსაზრისით მივუდგებით. მაშინ გამოდის, რომ თუ საქართველო ყურად იღებს მოსკოვის დაჟინებას და ბოევიკების წინააღმდეგ კამპანიას გააჩაღებს, მშვიდობიან მოსახლეობაში იმდენსავე მსხვერპლს მიიღებს, რამდენიც რუსეთმა მიიღო ჩეჩნეთში. საქართველოშიც სწორედ ამისი ეშინიათ. რაც შეეხება პანკისის ხეობაში სპეცოპერაციის დაწყებას, ამ შემთხვევაში თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელმა იჩქარა. ის მხოლოდ მომავალ სამშაბათს დაიწყება და უფრო მეტად პოლიციური ხასიათი ექნება (ამერიკული "იროკეზების" გამოყენებით სამხედრო სწავლება ხეობისგან მოშორებით მოეწყობა). თუ ოპერაცია უკვე დაწყებულია, ოპოზიციური ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ის ჟურნალისტები მას აუცილებლად შეამჩნევდნენ, როგორც ეს მოხდა აპრილში, როდესაც მათ ტალახში ჩაფლული სატვირთო მანქანა აჩვენეს, რომელზეც ჯარისკაცები ისხდნენ.

იმაში, რომ დაბომბვა მართლა მოხდა, საქართველოში ეჭვი არავის ეპარება. საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა წარმოადგინა საავიაციო დაკვირვების მონაცემები, რომელშიც თვითმფრინავების დრო და მარშრუტია მითითებული.

***"გაზეტა.რუ"***

ლევან ღირსიაშვილი

23 აგვისტოს, რუსეთის მიერ საქართველოს დაბომბვის ფაქტთან დაკავშირებით, რუსეთის მასმედიამ გუშინ დილიდან დაიწყო ინფორმაციების გავრცელება.

**სააგენტო "ინტერფაქსი" 10:01:00**

საქართველოს უშიშროების სამინისტროს პრეს-სამსახურის ხელმძღვანელმა ნიკა ლალიაშვილმა განაცხადა, რომ, პანკისში ფართომასშტაბიანი ანტიტერორისტული ოპერაციის დაწყებასთან დაკავშირებით, ბოევიკთა ჯგუფმა პანკისის ხეობა დატოვა. ლალიაშვილის ინფორმაციით, თიანეთის რაიონში აღმოჩენილი ჩეჩენ ბოევიკთა რაზმი რამდენიმე ათეულ კაცს არ აღემატება.

ქართულმა ტელეკომპანია "რუსთავი 2"-მა, თიანეთის რაიონში ადგილობრივ მწყემსებზე დაყრდნობით, გაავრცელა ცნობა აღნიშნულ რაიონში, რუსლან გილაევის მეთაურობით, 500-კაციანი შეიარაღებული დაჯგუფების ყოფნის შესახებ.

ასეთი შესავლის შემდეგ **სააგენტო "ინტერფაქსი" 10:20**–ზე აქვეყნებს შემდეგ ინფორმაციას:

სამი ადამიანი დაიღუპა და რამდენიმე დაიჭრა რუსეთის სამხედრო ავიაციის მიერ საქართველოს პანკისის ხეობის მიმდებარე ტერიტორიის, კერძოდ, თიანეთის რაიონის სოფელ ბუხრების დაბომბვის შედეგად. ამის შესახებ "ინტერფაქსს" კახეთის მხარის პოლიციის უფროსმა ზურაბ ტუშურმა განუცხადა. მისი თქმით, **"პანკისის ხეობის მოსახლეობა პანიკამ მოიცვა".**

გაგრძელება A5 გვერდზე

## რუსული სცენარი მოქმედებაში

### რის ფასად ვეძახით დათვს ბაბაიას?

ეკა კვესიტაძე

გუშინ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული რუსული აგრესია ზუსტად ჯდება იმ მოვლენათა ჯაჭვში, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში მიზანმიმართულად და თანამიმდევრულად ვითარდება და, საბოლოო ჯამში, ერთი მიზნის გარშემო იკვრება – საქართველოზე სამხედრო გავლენის შენარჩუნება და ნავთობ და გაზსადენების ბლოკირება.

რუსეთის მორიგი დაბომბვა გუშინ უფრო ხანგრძლივი და ინტენსიური იყო, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მსხვერპლით დამთავრდა. დაიღუპა ერთი ადამიანი და რამდენიმე დაიჭრა. პანიკისა და საყოველთაო დაბნეულობის ფონზე კი საქართველოს ხელისუფლება უმწეოდ გამოიყურებოდა. პრეზიდენტის კომენტარიც ზედმეტი სიმწვავით არ გამოირჩეოდა და დიდად არ განსხვავდებოდა ადრე გაკეთებული შე-

გაგრძელება A2 გვერდზე

## წალკის „ბუნტი"

გიორგი კალანდაძე

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენმა და შაჰდენიზის გაზსადენმა საქართველოს წალკის რაიონზეც უნდა გაიაროს. "24 საათს" ხელში ჩაუვარდა წალკელთა კოლექტიური წერილი. მისი ადრესატია საქართველოს ხელისუფლება, რომლისგანაც ამ ორი გლობალური პროექტის შეჩერებას ითხოვენ. წერილში, რომელიც რუსულ ენაზეა შედგენილი და, რატომღაც, 2002 წლის 25 აგვისტოთია დათარიღებული, ნათქვამია, რომ **"ჩერნობილის კატასტროფა მონაგონი იქნება იმ საფრთხესთან, რაც საქართველოს ელის ამ ორი მილსადენის ავარიის შედეგად".**

ომი თურქეთის ბაზრისათვის – ამ სათაურის ქვეშ შეიძლება მოექცეს ის მოვლენები, რომელიც რუსულ-თურქული "ცისფერი ნაკადისა" და ბაქო-თბილისი-ერზერუმის პროექტების დასკვნით ფაზაში შესვლის შემდეგ განსაკუთრებით გააქტიურდა. მათ შორის, როგორც ჩანს, თავისი მოკრძალებული ადგილი უკავია მოვლენებს წალკის რაიონში.

გაგრძელება A4 გვერდზე

## „რუსეთს წარმოდგენა არა აქვს თავის სტრატეგიაზე საქართველოს მიმართ" - უცხოელი ექსპერტები პანკისის პრობლემის შესახებ

გიორგი ხელაშვილი

*ბოლო დღეებში საქართველოსა და რუსეთს შორის გამწვავებულ ურთიერთობას უცხოელი ექსპერტები აქტიურად გამოეხმაურნენ. რამდენიმე მათგანმა პრობლემის არსში ჩაწვდომა და დაპირისპირების ახლანდელი ეტაპის მიზეზების მოძებნა სცადა.*

შეერთებულ შტატებში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ანალიტიკური ინსტიტუტის – "სტრატეგიისა და საერთაშორისო კვლევების ცენტრის" ექსპერტი ზეინო ბარანი პანკისის ხეობასთან დაკავშირებით ვითარების გაუარესებას ამერიკის მიერ საქართველოში "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის დაწყებას უკავშირებს. რამდენიმე წლის განმავლობაში რუსები ცდილობდნენ, დაემტკიცებინათ, რომ ქართველები ვერ შეძლებდნენ პანკისის ხეობის ჩეჩენი მებრძოლებისაგან გაწმენდას. "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის დაწყებას, რომელიც პანკისის პრობლემის გადაჭრას ითვალისწინებდა, რუსების უცნაურად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. ზეინო ბარანის აზრით, რუსეთის მიზანია, თავად განახორციელოს სამხედრო ოპერაცია პანკისის ხეობაში. ამიტომაც რუსეთი მუდმივად უგულებელყოფს ფაქტს, რომ საქართველოს "ჩეჩნური პრობლემა" რუსეთ-ჩეჩნეთის ომის პირდაპირი შედეგია.

ბოლო ხანს საქართველოს წინააღმდეგ გამოთქმულ ბრალდებებს, ჩეჩენი მებრძოლებისათვის დახმარების გაწევის თაობაზე, ზეინო ბარანი რუსი სამხედროების მიერ ჩეჩნეთში ბოლო დროს განცდილ მარცხს უკავშირებს.

ზეინო ბარანის აზრით, რუსეთს ჯერ კიდევ აკავებს შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის პოზიცია, რომელიც საქართველოს სუვერენიტეტს უჭერს მხარს. მიუხედავად ამისა, რუსეთის აქტივობამ უკვე სახიფათო ზღვარს მიაღწია. ბარანი მიიჩნევს, რომ, შეზღუდული საშუალებების მიუხედავად, საქართველომ მაინც გადადგა გარკვეული ნაბიჯები პანკისში თავისი ხელისუფლების აღსადგენად.

გაგრძელება A5 გვერდზე

## პრეზიდენტის ახალი თამაში - „ცხრა მილიონ-დოლარობანა„

სოფო კვინტრაძე

ყბადაღებული ცხრა მილიონი დოლარი, რომელიც აშშ-ს მთავრობამ გამოყო, გუშინ საქართველოში აშშ-ს ელჩის რიჩარდ მაილსისა და სემეკის თავმჯდომარის ელიზბარ ერისთავის განხილვის საგანიც გახდა. თუმცა, მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე აცხადებს, რომ პირადად მას არ უნახავს ოფიციალურად ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც ამ თანხის გადმორიცხვას შეეხება. რიჩარდ მაილსის განცხადებით კი, ეს თანხა აშშ-ს ადმინისტრაციამ კომპანია "ეი-ი-ეს თელასს" გამოუყო გამრიცხველიანების პროცესის დასასრულებლად და მას არანაირი კავშირი არა აქვს ზამთრის პროგრამასთან.

მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარემ ვერ დააკონკრეტა, რომელ ცხრა მილიონ დოლარზე ლაპარაკობდა პრეზიდენტი შევარდნაძე თავის გამოსვლაში. ცნობისათვის, 19 აგვისტოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ აღნიშნული თანხა ტარიფის ზრდით გამოწვეული განსხვავების დაფარვას მოხმარდება. ელიზბარ ერისთავი კი აცხადებს, რომ **"მთავრობას უფლება აქვს, ეს ცხრა მილიონი დოლარი ისე გადაათამაშოს, როგორც უნდა".** როგორც ჩანს, პრეზიდენტს ერთმანეთში აერია კომპანია "ეი-ი-ესისთვის" გამოყოფილი და აშშ-ს განვითარების სააგენტოს მიერ ზამთრის გათბობის პროგრამის დასაფინანსებელი თანხები.

გაგრძელება A4 გვერდზე


A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პოლიტიკა

B2 კულტურა B3 რეკლამა B4-B5 TV-პროგრამა B6 სპორტი B7 სპორტი B8 სხვადასხვა

**ახმეტა.** ქართული მხარე პანკისის ხეობაში დაბომბვის განმეორებას ელის. ამიტომ, ახმეტის საავადმყოფოში ორმოც თბილისელ ქირურგს მოუყარეს თავი. რაიონულ საავადმყოფოში 7 დაჭრილი გადაიყვანეს. მედიკოსთა მტკიცებით, დაჭრილების მდგომარეობა მძიმეა და ისინი თბილისში გადაყვანას საჭიროებენ. კახეთის რეგიონის რწმუნებული ჯანდაცვის სამინისტროს დაუკავშირდა და დაჭრილთა თბილისში გადასაყვანად რეანომობილები მოითხოვა.

გუშინ საღამოს საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ამირან გამყრელიძე კახეთში ჩავიდნენ. მათ თელავში დაბომბვისას მძიმედ დაჭრილები მოინახულეს. მათ განაცხადეს, რომ დაჭრილთა მკურნალობის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**ერევანი.** პარტია "დაშნაკცუტუნის" ბიუროს თავმჯდომარე გრანტ მარქარიანი ორდღიანი ვიზიტით არგენტინაში, ურუგვაიში და ბრაზილიაში გაემგზავრა, სადაც სომხური დიასპორის წარმომადგენლებს გააცნობს სომხეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, ყარაბაღის კონფლიქტის მიმდინარეობას, ასევე სომხებით კომპაქტურად დასახლებულ ჯავახეთში არსებულ სიტუაციას.

ვიზიტის მსვლელობისას გრანტ მარქარიანი შეხვედრებს გამართავს ლათინური ამერიკის ქვეყნებში სომხური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და ლიდერებთან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** რუსმა რადიკალებმა გუშინ პიკეტი მოაწყვეს. პიკეტში მონაწილეობა რუსეთის ტრანსნაციონალური რადიკალური პარტიისა და საომარი ქმედებების საწინააღმდეგო საზოგადოებრივი კომიტეტის წარმომადგენლებმა მიიღეს. **"პროტესტს ვაცხადებთ უპრეცედენტო სამხედრო შანტაჟთან დაკავშირებით, რომელსაც ამჟამად რუსეთის ხელისუფლება საქართველოს მიმართ ანხორციელებს. მოვუწოდებთ ევროკომისიას, საქართველოს ევროკავშირში მიღების პროცესის დასაჩქარებლად ქმედითი ნაბიჯები გადადგას",** - განაცხადა რუსეთის რადიკალების საკოორდინაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკოლაი ხრამოვმა. მოპიკეტეები პუშკინის სკვერში პლაკატებით "ხელები შორს საქართველოსგან", "შეაჩერეთ ომი" და "ხელები შორს პანკისისაგან" გამოვიდნენ. პარალელურად პუშკინის მოედნის მოპირდაპირე მხარეს საქართველოს მხარდასჭერად პიკეტი "ვატანის" სახალხო-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმაც გამართეს. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**გორი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მორიგი კრიმინალური ინციდენტი მოხდა. ჯერჯერობით დაუდგენელი ოთხი შეიარაღებული ნიღბიანი თავს დაესხა სოფელ ქორდის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული ტყვიავის საავადმყოფოს მთავარ ექიმს აკაკი ქრისტესაშვილს, რომელიც მძიმე ავადმყოფების მოსანახულებლად მიდიოდა. ნიღბიანებმა იარაღის მუქარით ქრისტესაშვილი ავტომანქანიდან გადმოიყვანეს და მისი კუთვნილი "ნივა" გაიტაცეს. ამის შემდეგ ბოროტმოქმედები ცხინვალის მიმართულებით მიიმალნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ნავთობმომპოვებელმა ამერიკულმა კომპანიამ "ანა დარკომ" გეოლოგიური და გეოფიზიკური გამოკვლევის შედეგად შავი ზღვის შელფზე 600 მილიონი ტონა ნავთობის დიდი მარაგი აღმოაჩინა. საქართველოს ნავთობისა და გაზის მარეგულირებელი ეროვნული სააგენტოს ცნობით, ანალიზმა აჩვენა, რომ შავი ზღვის საქართველოს აკვატორიაში 200 მილიონი ტონა ნავთობია, ხოლო სახმელეთო ნაწილში 400 მილიონი ტონა. ამჟამად "ანა დარკო" ნავთობმოპოვებითი სამუშაოებისთვის პოტენციურ პარტნიორ ინვესტორს ეძებს, რომლის გამოჩენისთანავე ნავთობის მოძიებას დაიწყებს. შემუშავებული ბიზნეს-გეგმის თანახმად 600 მილიონი ტონა ნავთობის მოპოვების პროექტის განხორციელებას მილიარდი აშშ დოლარი სჭირდება.

ნავთობისა და გაზის მარეგულირებელ სააგენტოში ნავთობის მოძიების სამუშაოების დაწყების შემთხვევაში გარემოზე მავნე ზემოქმედების შესაძლებლობას გამორიცხავენ და აღნიშნავენ, რომ სააგენტოს შემუშავებული აქვს ნავთობისა და გაზის მომპოვებელი მარეგულირებელი წესები, რომელიც გარემოზე მავნე ზემოქმედებას გამორიცხავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ცხინვალის რეგიონში დისლოცირებული, რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდლის გენერალ ვასილი პრიზემლინის პასუხისმგებლობის საკითხს ქართული მხარე ოთხმხრივი საკონტროლო კომისიის წინაშე დააყენებს.

ცხინვალის რეგიონში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების სარდლის გენერალ ვასილი პრიზემლინის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით 21 აგვისტოს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განლაგებული რუსი სამშვიდობოების ასეული მანდატით განსაზღვრულ ტერიტორიას გასცდა და ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად დღემდე გაუგებარი მოტივით ახალგორის რაიონის ტერიტორიაზე რამდენიმე საათით დაბანაკდა.

ქართული მხარე სარწმუნოდ არ მიიჩნევს პრიზემლინის განცხადებას იმის თაობაზე, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფი ასეული ახალგორის რაიონში ქართული სამშვიდობო ძალების გატაცებული ვიცე-პოლკოვნიკის, ზურაბ დურგლიშვილის საძებნად გადავიდა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი გენერალ პრიზემლინის განცხადებას "სიცრუეს" უწოდებს და მის ქმედებას "ოფიცრისათვის ულირსად" მიიჩნევს. "ასეთი ოფიცრები საპასუხისმგებლო თანამდებობებს არ უნდა იკავებდნენ," - აცხადებს მენაღარიშვილი.

მისივე თქმით, საქართველოს საგარეო უწყების პრეროგატივა არ არის კონფლიქტის ზონაში მოქმედი სამშვიდობო ძალების სარდლის თანამდებობისათვის სამხედრო პირების შერჩევა, მაგრამ ქართული მხარე პრიზემლინის პასუხისმგებლობის საკითხს ოთხმხრივი საკონტროლო კომისიის წინაშე დააყენებს. **ინტერ-პრესი**

# ერთი სატელევიზიო სიუჟეტი არ შეიძლებოდა, დაბომბვის მიზეზი გამხდარიყო

პირველი გვერდიდან

**ბუხრების მკვიდრი, 60 წლის გურამ ოტიაშვილი, რომელიც დაბომბვის დროს, თანასოფლელებთან ერთად, ტყეში შეშის მოსაჭრელად მიდიოდა,"** - განაცხადა ახმეტის პოლიციის უფროსმა ავთანდილ თურქიაშვილმა. ინფორმაციას ადასტურებს უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნიკა ლალიაშვილი. მისი განცხადებით, გავრცელებული ინფორმაცია, რომ დაბომბვას სამი ადამიანი ემსხვერპლა, სიმართლეს არ შეეფერება. ნაპოვნია სამივე დაკარგული - ცოლ-ქმარი ჭილაშვილები და 15 წლის ბავშვი, რომლებიც მძიმედ არიან დაჭრილები და ამჟამად, დაბომბვის დანარჩენ შვიდ მსხვერპლთან ერთად, ახმეტის საავადმყოფოში გადიან მკურნალობის კურსს. მძიმედ არიან დაჭრილები გარდაცვლილი ოტიაშვილის ვაჟი და სოფელ ბუხრების მაცხოვრებლები - ძმები ყარაულაშვილები, რომლებიც დაბომბვის დროს ტყეში შეშის მოსაჭრელად იყვნენ წასული.

გავრცელებული ინფორმაციებით, რუსეთის სამხედრო ოპერაცია ჩეჩენ ბოევიკთა ლიდერის რუსლან გილაევის საქართველოს ტერიტორიაზე მოგზაურობის ამბავს მოჰყვა. უშიშროების სამინისტრო გილაევისა და მისი რაზმის საქართველოში ყოფნის ფაქტს კატეგორიულად უარყოფს: **"ჩეჩენი საველე მეთაურის რუსლან გილაევის ქვედანაყოფები, ისევე,**


*დაბომბვის მსხვერპლი* REUTERS

**როგორც თავად გელაევი, საქართველოს ტერიტორიაზე ნამდვილად არ იმყოფებიან,"** - განაცხადა საქართველოს უშიშროების სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ნიკა ლალიაშვილმა. მისი თქმით, უშიშროების სამინისტრო პანკისის ხეობას თავშეფარებულ დაჯგუფებათა საქმიანობას თუ გადაადგილებათა მარშრუტს აკონტროლებს. **"უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლებმა ზუსტად იციან, ვინ, სად, როდის და როგორ გადაადგილდება. ხეობაში მსხვილი უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებები აღარ იმყოფებიან. რამდენიმე ათეულმა ჯგუფმა ხეობა დატოვა,"** – ამბობს ნიკა ლალიაშვილი. თუმცა, იგი არ გამორიცხავს პანკისის ხეობაში ბოევიკთა გაფანტული ჯგუფების არსებობას, რომელთა წინააღმდეგაც მსხვილმასშტაბიანი ანტიკრიმინალური ოპერაცია იგეგმება. მისივე განცხადებით, უშიშროების სამინისტროს ანალიტიკური ჯგუფი, რუსეთის მოქმედებებიდან თუ განცხადებებიდან გამომდინარე, ვარაუდობდა, რომ რუსეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ აუცილებლად განხორციელდებოდა. **"პირადად მე, რუსული სცენარიდან გამომდინარე, არაერთხელ განვუცხადე ჟურნალისტებს, რომ, შესაძლოა, უახლოეს მომავალში რუსეთმა დაგვბომბოს-მეთქი. ასეც მოხდა. ამიტომაც უშიშროების სამინისტროს არ მიაჩნია, რომ დაბომბვა "რუსთავი-2"-ის ეთერით გადაცემულმა ერთმა სიუჟეტმა გამოიწვია. დაუშვებელია, ვიღაც მწყემსის თუ მონადირის რაღაც გამონათქვამი გამხდარიყო იმ აგრესიის საფუძველი, რომელიც რუსეთმა საქართველოში განახორციელა,"** – აცხადებს ლალიაშვილი.

პანკისის ხეობაში იმყოფება უშიშროების სამინისტროს, შსს-სა და თავდაცვის სამინისტროს სპეცშენაერთები, რომლებიც საბრძოლო მზადყოფნაში არიან. ხეობაში იმყოფება უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის სპეცდანიშნულების ბრიგადაც, ამერიკაში წვრთნაგავლილი რაზმი, რომელიც ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარებას გეგმავს.

რუსეთის სამხედრო ავიაციის მიერ გუშინ გამთენიისას პანკისის ხეობის დაბომბვის ფაქტთან დაკავშირებით უშიშროების სამინისტროში მიმდინარეობს მოკვლევა და უახლოეს დღეებში აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე - სხვა ქვეყნის მიერ საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების განხორციელების კვალიფიკაციით.

ხეობაში პანიკა სუფევს და მოსახლეობა სხვა რეგიონებში გადასვლას ჩქარობს.

თავდაცვის სამინისტროს ახმეტის რაიონში მყოფი ქვედანაყოფები სრულ საბრძოლო მზადყოფნაში არიან. ქართული სოფლების რუსული ავიაციის დარტყმებისაგან დაცვასთან დაკავშირებით მინისტრმა განაცხადა, რომ საქართველოს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვას ამ დაბომბვების აღკვეთის საშუალება არ გააჩნია.

# ბომბების ექო პარლამენტში

გიორგი ასანიშვილი

**"მე მიმაჩნია, რომ თუ აგრესია განმეორდება, საქართველომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა უნდა გაწყვიტოს",** - ასეთ მკვეთრ განცხადებას აკეთებს რუსული მოიერიშე თვითმფრინავების მიერ საქართველოს ტერიტორიის გუშინდელი დაბომბვისა და მის შედეგად გამოწვეული მსხვერპლის შესახებ საუბრისას პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ზვიად მუკბანიანი. მისივე თქმით, თუ ახლო მომავალში ვითარება არ გაუმჯობესდება და დაძაბული სიტუაცია შენარჩუნდება, სავარაუდოა, რუსეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ზურაბ აბაშიძე მოსკოვიდან თბილისში კონსულტაციებისთვის გამოიხმონ.

თუმცა, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან რაიმე რადიკალური ნაბიჯების გადადგმა მაინც ნაკლებად არის მოსალოდნელი, რადგან ოფიციალურ წრეებში ჯერ კიდევ ცოცხლობს მითი კეთილგონიერი რუსეთის შესახებ და გაბატონებულია მოსაზრება, რომ მოსკოვი პოზიციას შეიცვლის და საქართველოსთან კონსტრუქციულ ურთიერთობებზე წამოვა. კერძოდ, დათანხმდება ინციდენტის ერთობლივ გამოძიებას და კრიმინალ-ტერორისტ მფრინავებს თუ სხვა დამნაშავეებს დასჯის.

ამგვარი სასწაულის ლოდინში ქვეყნის უსაფრთხოება უკვე დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რეალობა კი ყველა სახელისუფლებო, მათ შორის, საკანონმდებლო სტრუქტურისგან, საგანგებო ღონისძიებების გატარებას მოითხოვს. რიგგარეშე სესიის მოწვევის აუცილებლობაზე გუშინ მხოლოდ ცალკეული ფრაქციების ("გაერთიანებული დემოკრატები", "მრეწველები") წარმომადგენლები ლაპარაკობდნენ. პროშევარდნაძისტული ძალები კი, ტრადიციულად, ჯერ თავიანთი ლიდერის სიგნალს ელოდებიან.

**"იქიდან გამომდინარე, თუ როგორ განვითარდება მოვლენები, შევარდნაძე თავად გადაწყვეტს, დაინიშნოს თუ არა საგანგებო სესია",** - აცხადებს ზვიად მუკბანიანი.

მუკბანიანის მოადგილის, გივი შუღაროვის ვარაუდით კი, საქართველოს წინააღმდეგ ღია აგრესია მოსკოვს იმიტომ დასჭირდა, რომ ჩაშალოს ანტიტერორისტული ოპერაცია, რომლის ჩასატარებლადაც საქართველოს ხელისუფლება სერიოზულად ემზადება.

**"პანკისში წესრიგის დამყარება არ შედის რუსეთის ინტერესებში. პირიქით: მოსკოვს სურს, რომ პანკისში შენარჩუნდეს არასტაბილური მდგომარეობა, რათა ამით ჩეჩნეთში საბრძოლო ოპერაციების გაჭიანურება გაამართლოს და საქართველოზე ზემოქმედების მძლავრი ბერკეტი შეინარჩუნოს",** - მიიჩნევს საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

შექმნილ დრამატულ სიტუაციას კომიკურ ელფერს სძენს ის ფაქტი, რომ რუსეთი ოფიციალურად შედის საქართველოს მეგობარი ქვეყნების რიცხვში და თბილისი სისხლხორციელად არის დაინტერესებული მოსკოვთან მეგობრობის შესახებ "ჩარჩოხელშეკრულების" გაფორმებით. შუღაროვი დანანებით აღნიშნავს, რომ 12 აგვისტოს თბილისში უნდა გამართულიყო მოლაპარაკებების ბოლო რაუნდი, რომლის შემდეგაც დოკუმენტი უკვე მზად იქნებოდა შევარდნაძისა და პუტინის მიერ ხელმოსაწერად. ვინაიდან ორ ქვეყანას შორის "ცივი ომი" თანდათან "ცხელში" გადაიზარდა, შესაბამისად, ფორმალური მეგობრობის ფორმალური გაფორმებაც, ალბათ, გაურკვეველი ვადით გადაიდება - "მეგობრის" მიერ ნასროლი ყუმბარებით მოყენებული პოლიტიკური ჭრილობების მოშუშებას დრო სჭირდება.

# რუსული სცენარი მოქმედებაში

პირველი გვერდიდან

ფასებებისაგან. განსხვავებული, რაც პრეზიდენტმა თქვა, იყო ის, რომ თუ ურთიერთობა გამწვავდა, შესაბამის ღონისძიებას საქართველოც მიიღებს და რუსულ ავიაგამანადგურებლებს ჩამოაგდებენ.

თუმცა, შევარდნაძის ეს ერთადერთი რადიკალური განცხადებაც თავდაცვის მინისტრის კომენტარმა სრულიად გააქარწყლა. **"რითი ჩამოვაგდო - "რაგატკით?"** - ასეთი იყო დავით თევზაძის მოკლე პასუხი.

**"საქართველოს რომ ხელისუფლება ჰყავდეს, მაშინ მას მოვთხოვდით, რომ რუსეთს პასუხი გასცეს. მაგრამ დღეს საქართველოს ხელისუფლება არ ჰყავს. ის განცხადება, რომელიც შევარდნაძემ გააკეთა, უთავმოყვარეობის აპოგეაა,"** - ასეთი კომენტარი გააკეთა გუშინ "ნაციონალურმა მოძრაობამ".

მიხეილ სააკაშვილმა ოპოზიციურ პარტიებს ერთიანი ფრონტის შექმნისკენ მოუწოდა, რომელიც, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად, რუსეთთან საერთო მიდგომებს შეიმუშავებს.

"იტერასათვის" "თბილგაზისა" და "აზოტის" გადაცემის დაბლოკვა, საქართველოდან რუსული ბაზებისა და რუსი სამშვიდობოების გაყვანა და ამ პროცესში საერთაშორისო საზოგადოების ჩართვა - ასე ჩამოყალიბდა ის ძირითადი მიდგომები, რომელსაც "ნაციონალური მოძრაობა", "გაერთიანებული დემოკრატები" და სხვა ოპოზიციური პარტიები თანაბრად იზიარებენ.

საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტები კი მიიჩნევენ, რომ ამ შემთხვევაში რისი გაკეთებაც შეიძლება, ეს რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის მობილიზება და იმ დოკუმენტური მასალის გავრცელებაა, რომელზეც გარდაცვლილი და დასახიჩრებული ადამიანები არიან აღბეჭდილნი.

თავად რუსეთი, როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს დაბომბვის ფაქტს უარყოფს და სამხილებს ითხოვს. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი სამხილები უკვე აქვს ეუთოს მისიას, რომელიც საქართველო-რუსეთის საზღვარზე დამკვირვებლის ფუნქციას ასრულებს. გავრცელებული ინფორმაციით, ეს სამხილები ეუთომ ვენაში უკვე გადააგზავნა.

საპასუხოდ, რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი უკვე ამ ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან საერთაშორისო ორგანიზაციასაც დაუპირისპირდა და მისი მუშაობა რუსეთ-საქართველოს საზღვარზე აბსოლუტურად არადამაკმაყოფილებლად შეაფასა. ეს იყო ერთადერთი კონტრარგუმენტი, რომელიც რუსეთის ოფიციალურმა პირებმა ეუთოს წინააღმდეგ მოიყვანეს. თუმცა, ყველაზე დიდი ცინიზმი სერგეი ივანოვმა მაშინ გამოამჟღავნა, როცა პანკისის დაბომბვა ქართველი სამართალდამცავების წარუმატებელ სპეცოპერაციას მიაწერა.

წითელი ხაზი, რომლის გადალახვასაც რუსეთი მთელი ამ ხნის განმავლობაში, ძირითადად, ამერიკის ფაქტორის გამო ვერ ბედავდა, უკვე გადალახულია. კონკრეტული გეგმა, რომლითაც რუსეთი დესტაბილიზაციას ამზადებს საქართველოში, როგორც ჩანს, უკვე ამოქმედდა.

*"აგვისტოს ბოლოს ან სექტემბრის პირველ რიცხვებში უნდა დაიწყოს ჩეჩენი ბოევიკების მკვეთრი გააქტიურება, რომლებიც რუსეთში, რუსი სამხედროების ვერსიით, პანკისის ხეობიდან მოხვდებიან. თუ რა ფორმით მოხდება ბოევიკების აქტივიზაცია, იქნება ეს ჩეჩნური (ან ჩეჩნეთის მეზობელი) დასახლებული პუნქტების დაკავება თუ რუსეთის ტერიტორიაზე შემოჭრა, ნაკლებად მნიშვნელოვანია. საპასუხოდ, რუსეთი დაიწყებს პანკისის ხეობის გაწმენდას – ან ქართულ ძალებთან ერთად, ან მხოლოდ საკუთარი ძალებით. ამერიკას, რომელიც დაკავებული იქნება 11 სექტემბრის ტერორისტული შეტევების წლისთავის აღნიშვნით, პროპაგანდისტული თვალსაზრისით, ხელ-ფეხი ექნება შეკრული და რუსეთის ანტიტერორისტული ოპერაციის მკვეთრ შეწინააღმდეგებას ვერ შეძლებს.*

*თითქმის პარალელურად, დროში მცირე განსხვავებით, დაიწყება პატარა უცნობი შენაერთების შეიარაღებული შეტევა აფხაზეთის წინააღმდეგ, ბუნებრივია - საქართველოს ტერიტორიიდან. აფხაზეთის შეიარაღებული ძალები მკვეთრი კონტრდარტყმით პასუხობენ თავდამსხმელებს და უკუაქცევენ მათ საკუთარი ტერიტორიიდან და, შესაძლოა, ცოტა გაერთონ დემორალიზებული მოწინააღმდეგის დევნით, შევლენ საქართველოს ტერიტორიაზე. აფხაზებს რუსეთის სამშვიდობო ძალები შეაჩერებენ.*

*ამის შემდეგ საქართველოში მასობრივი მღელვარება იწყება, სადაც მთავარი მოთხოვნა შევარდნაძის გადადგომა იქნება. მოტივი: შევარდნაძის გამო შეილახა საქართველოს ეროვნული სუვერენიტეტი, თანაც ზედიზედ ორ ადგილას. საქართველოს პრეზიდენტს ნდობის რეიტინგი ახლაც არ აქვს მაღალი და მას შემდეგ, რაც ის სულ "დაკარგავს სახეს", პანკისისა და აფხაზეთის გამო, ხელისუფლების შეცვლის საკითხი უფრო აქტუალური გახდება. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა პრორუსულად განწყობილი პოლიტიკური მოძრაობა. სავსებით შესაძლებელია, რომ საპროტესტო გამოსვლებს კომუნისტები ჩაუდგნენ სათავეში, როგორც ეს მოლდოვაში მოხდა. რუსი პოლიტიკოსები ახლა სულ არ უფრთხიან მოკავშირე რესპუბლიკების "მოვარდისფრო" შეფერილობის ხელმძღვანელებს.*

*მასობრივი სახალხო მღელვარების პირობებში, ამერიკელები ნამდვილად არ ჩაერევიან მოვლენებში – უკიდურეს შემთხვევაში, ნამდვილად არ ჩაერევიან სამხედროების მეშვეობით. ხოლო რუსული მხარე თავის მიზანს მიაღწევს იმ შემთხვევაშიც, თუკი შევარდნაძე შეძლებს ხელისუფლების შენარჩუნებას ან მას რუსეთის მიმართ ნაკლები სიმპათიით განწყობილი პოლიტიკოსი შეცვლის: ნავთობსადენების ახალი პროექტების დამფინანსებელი ინვესტორები დაფიქრდებიან, აქვს თუ არა აზრი ამხელა ფული ჩაიდოს ნავთობ და გაზსადენებში, რომელიც ასეთ არასტაბილურ რესპუბლიკაზე გადის. ყოველ შემთხვევაში, როგორც მინიმუმ, რუსეთი დროს მოიგებს.*

*იმ შემთხვევაში კი, თუ საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოვა რუსეთზე ორიენტირებული პოლიტიკოსი, ორმაგი მოგება გვრჩება: ნავთობისა და გაზის მილსადენების პრობლემის გადაჭრასთან ერთად, ჩნდება აფხაზეთის პრობლემის გადაჭრის საკმაოდ ნათელი პერსპექტივა. აუღიარებელი რესპუბლიკა შეძლებს, მიიღოს ფართო ავტონომია, თუმცა, დარჩეს სუვერენული, მაგრამ რუსეთის მეგობარი საქართველოს შემადგენლობაში. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების (აფხაზეთში რუსეთის ჯარების ყოფნის გარანტიით) ამ ვარიანტს აფხაზეთის ხელისუფლება, ალბათ, ვერ შეეწინააღმდეგება. კვლავ შეიძლება მოვიყვანოთ მოლდოვასა და თვითგამოცხადებული დნესტრისპირეთის რესპუბლიკის ანალოგია.*

*აი, ამგვარს სცენარს გთავაზობთ ჩვენ. რამდენად სწორი ვარაუდია, უახლოს მომავალში გამოჩნდება. სექტემბრამდე არც ისე დიდი დრო დარჩა."*


*სახალხო თავყრილობა ახმეტაში* მარიკა ამურველაშვილის ფოტო

ეს სტატია, რომლის სრული ვერსია "24 საათმა" უკვე დაბეჭდა, სულ ცოტა ხნის წინ გამოქვეყნდა რუსეთის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან გაზეთ "კომსომოლსკაია პრავდაში"

სტატიის ავტორების თქმით, რუსეთისათვის პანკისის პრობლემა, რა თქმა უნდა, საბაბია, რადგან დაპირისპირების მთავარი მიზეზი საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი მილსადენებია, რომელიც რუსეთს რეგიონში გაზისა და ნავთობის მიწოდების მონოპოლისტობას ართმევს.

ძალიან საგულისხმოა, რომ ბოლო პერიოდში შექმნილი რეალობა სულ უფრო ემთხვევა ამ სტატიაში მოყვანილ სცენარს. ისიც ფაქტია, რომ ამ სცენარის რეალობად ქცევაში დიდი წვლილი საქართველოს ხელისუფლებამაც, შესაძლოა უნებურად, მაგრამ მაინც შეიტანა.

გუშინ ყველა სამართალდამცავი სტრუქტურა რუსეთის აგრესიას "რუსთავი 2"-ის მიერ წინა დღით გავრცელებულ ინფორმაციას პირდაპირ უკავშირებდა და დამოუკიდებელ მასმედიას ანტისახელმწიფოებრივ აზროვნებაში ადანაშაულებდა. ვის-ვის და ხელისუფლებას, განსაკუთრებით კი, მის სამართალდამცავ შტოს, ნამდვილად არ აქვს მორალური უფლება, ანტისახელმწიფოებრივ ქმედებაში, საკუთარ თავზე მეტად, სხვები დაადანაშაულოს. თუ ვინმეს მიუძღვის წვლილი პანკისის პრობლემის შექმნასა და ამ ხეობის სრულ კრიმინალიზაციაში, ეს ქართველი სამართალდამცავებიც არიან, რომლებმაც ეს ხეობა სრულიად უკონტროლო ზონად გამოაცხადეს და ამ უკონტროლო სიტუაციით ხელს თავად ითბობდნენ.

არავის დავიწყებია ერთი წლის წინ ჩეჩენ ბოევიკებთან შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის საეჭვო კავშირებიც, და თუ დღეს რუსეთისათვის მიცემულ საბაბზეა საუბარი, მაშინ ეს საბაბი ჯერ კიდევ ძალიან ადრე გახდა პანკისის ხეობის უკონტროლო სიტუაცია და არა "რუსთავი 2"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომლის მსგავს ცნობებს ქართველი მალალჩინოსნები თავადაც ხშირად ახმაურებდნენ.

ეს ხელისუფლება, რომელიც დღეს პასუხისმგებლობას მასმედიას აკისრებს, რამდენიმე დღის წინ, "თბილგაზისა" და "აზოტის" საფასურად, რუსეთისაგან სტაბილურობის ყიდვას ცდილობდა. მაგრამ მოსკოვი საქართველოს უუნარო და კორუმპირებულ მთავრობას სტაბილურობას მარტო "თბილგაზსა" და "აზოტში" არ გაუცვლის. რუსეთისაგან ნაყიდი სტაბილურობა ამ ხელისუფლებას გაცილებით ძვირი დაუჯდება, შესაძლოა, ქვეყნის სუვერენიტეტის ფასადაც კი. ძალაუფლებაში ყოფნის რამდენიმე წლით გახანგრძლივებისთვის მან, შესაძლოა, ეს საფასურიც გაიღოს, თუ ამის საშუალება მოსახლეობამ მისცა.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. **ფოტო:** ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჭოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჭუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჭაოშვილი.

# დაბომბილი პანკისიდან დაკარგული აფხაზეთი ჩანს

პირველი გვერდიდან

*როგორც იქნა, მიტინგი დაიწყო.*

*ყველა ერთხმად გმობდა დაბომბვის ფაქტს. ყველა ერთხმად ითხოვდა დახმარებასა და თანადგომას. მხოლოდ ერთმა შაოსანმა ქალბატონმა არია მიტინგი და თბილისიდან ჩასული მასმედიისა და ხალხის წინაშე პირდაპირ მოითხოვა ჩეჩენი ლტოლვილების გასახლება. ამ ქალბატონს ჩეჩნებმა ქმარი რამდენიმე თვის წინ მისი და შვილის თვალწინ მოუკლეს. თუ გახსოვთ, მაშინ მთელი მატანი გამოვიდა და მკვლელის დასჯას ითხოვდა.*

**- მთელი სოფელი ჩემს გვერდით იდგა და აქციის გასამართად იყო მზად. მაშინ გამგეობა მხარში არ დამიდგა და ხალხი გააჩერა. ჩემი ქმრის მკვლელი დღესაც მთებში დასეირნობს. განა, მაშინაც არ შეეძლოთ ხალხის სოფლებიდან ავტობუსებით ჩამოყვანა, როგორც დღეს გააკეთეს. მაშინ რომ ასეთი ამბავი მომხდარიყო, ჩეჩნებისთვის რომ პასუხი მოეთხოვათ, გუშინდელი დაბომბვა აღარ მოხდებოდა. ესენი რომ არ შემოსულიყვნენ, ძალიან კარგი მშვიდობა გვქონდა,** - *ბობოქრობდა მაყვალა არევაძე.*

*ამ დროს ახმეტაში სახელმწიფო მინისტრი ჩამოვიდა. ხალხი პირდაპირ მას მივარდა და ტრიბუნამდე არ მიუშვა. მიტინგს ჩაშლა დაემუქრა.*

**- აღარ გვინდა მარტო დაპირებები. ადრეც ჩამოხვედით და არაფერი შეცვლილა. აღარ შეგვიძლია ასე ცხოვრება. როდემდე ვიყოთ შიშში, როდემდე ვუყუროთ ცას უმწეოდ. აფხაზეთიც ხომ ასე დაიწყო,** - *აღშფოთებით მიმართავდნენ სახელმწიფო მინისტრს.*

**- საქართველოში წესრიგის დამყარება პანკისიდან იწყება. აქ მე დაპირებებისთვის არ ჩამოვსულვარ, მერწმუნეთ, სამ დღეში ყველაფერი დამთავრდება,** - *ბრძანა ჯორბენაძემ.*

**- ჰო, დაგვბომბავენ და მართლა ყველაფერი დამთავრდება...**

*აქ ყველაზე მეტად აღარ სჯერათ მთავრობის. აქ ყოველ მათ ვიზიტს ეჭვის თვალით უყურებენ და დაპირებების მეტს აღარაფერს ელიან. თუმცა, საპროტესტოდ თუ საშველად მაინც ხელისუფლებასთან მიდიან.*

*ასე იყო ახმეტაში გამართულ გუშინდელ მიტინგზეც, სადაც გამგეობის წინ რაიონის ყველა სოფლიდან მოსულიყო მოსახლეობა და შეგუბებული მრისხანებით იდგა თაკარა მზის ქვეშ.*

**- ჩემი თვალით ვნახე, როგორ შემოფრინდა ჩრდილოეთის მხრიდან, რუსეთის მხრიდან სამი თვითმფრინავი. გაუთავებლად გვბომბავდნენ. მოსახლეობა პანიკაშია. მამაკაცებს რა გვიჭირს, ქალები და ბავშვები არიან ცოდვა. რუსეთს საქართველოს ჩათრევა უნდა სიბინძურეში, იმისთვის, რომ კავკასიაში რაღაცა მოახდინოს. მოსახლეობამ რა უნდა ქნას, რა შეუძლია... რასაც მთავრობა იტყვის, იმას გააკეთებს. ევაკუაციაშიც წავალთ, თუ გვეტყვიან, რომ საშიშია აქ დარჩენა. მაგრამ ჯერ ამაზე ლაპარაკი არ არის. ჩვენი ინფორმაციით, ხუთი ადამიანია მკვდარი** - *ამბობს დუისელი ალექსი ქავთარაშვილი.*

*ახმეტის გამგებელი ნუკრი ალავიძე:* **ხალხმა გადაწყვიტა, შეკრებილიყო და თავისი დამოკიდებულება გამოეხატა. დაღუპულია ერთი და დაჭრილი ექვსი ადამიანი. იყო ასეთი ინფორმაცია, რომ ცოლ-ქმარი დაიღუპა, მაგრამ ეს არასწორი ინფორმაცია იყო.**

*- იყო თუ არა ეს მორიგი აგრესია რუსეთის მხრიდან?*

**- წინა შემთხვევები რუსეთთან იყო დაკავშირებული, ამიტომ, მოსახლეობა ღრმადაა დარწმუნებული, რომ ამჯერადაც რუსები იყვნენ. ჩვენმა წარმომადგენლებმა 16 ჭურვი ნახეს. ეს ჭურვები სამი საფრენი აპარატიდან ჩამოყარეს. ყველაზე მეტად სოფელი ბუხრები დაზარალდა. აქ სულ ოთხიოდე ოჯახი ცხოვრობს. ფშაველები არიან, მეცხოველეობით ირჩენენ თავს.**

*- როგორ ხსნით, რომ აქამდე მხოლოდ დაუსახლებელ ტერიტორიას ბომბავდნენ, ახლა კი დასახლებული პუნქტებიც დაბომბეს.*

**- ვერ გეტყვით. ერთადერთი ლოგიკა, რასაც ვხედავ, არის ის, რომ უცხო ქვეყანა ქართული სახელმწიფოს შიდა საკითხებში ერევა. ამის უფლება არ აქვთ.**

**- ხალხი შეშფოთებულია. ყველაფერი დავინახეთ, გვესმოდა და ვიგრძენით. ჩვენ ეს ყველაფერი გამოვიარეთ, ჯერ ჩეჩნეთის საშინელება არ დაგვვიწყებია, მაგრამ გუშინ უფრო მაგრად შეგვეშინდა. ვფიქრობ, რომ რუსეთს, რაღაცნაირად, ქართველი ხალხის გამწარებაც უნდა. ეს ყველაფერი პოლიტიკაა და მე ამაში ვერ ვერკვევი, მაგრამ რუსებს ქართველებს და ჩეჩნებს შორის კონფლიქტი უნდათ. რუსის თვითმფრინავი იყო, აბა, რა იყო, მაგათ ხმაზე ვცნობთ უკვე,** - *ამბობს ჩეჩენი ქალი სოფელ ჯოყოლადან.*

*ქისტი თანასოფლელი კი უდასტურებს:*

**- ჩემი მეზობელი ამ დაბომბვისგან კინაღამ ჭკუიდან გადაცდა. ჩემ შვილს კი ეძინა და ძლივს დავამშვიდე, ისე წამოხტა ატირებული. რა ვქნათ, რა გვეშველება. ვინ იცოდა პანკისი, ჩვენთვის ვცხოვრობდით, ახლა მთელი მსოფლიო გვიცნობს. არაფერი გვინდა - ძველი, მშვიდი ცხოვრება დაგვიბრუნდეს. ახლა სოფელში ამბობენ, ქართული ჯარი უნდა შემოვიდესო, იქნებ წესრიგი დამყარდეს.**

*ახმეტაში დაავიწყდათ, რომ საჭმელი არ ჰყოფნით და ფული არ აქვთ. თუმცა, ერთი კითხვა კი მაინც აწვალებთ - მიიჩნევს თუ არა სახელმწიფო ამ ადამიანებს რაიმე ყურადღების ღირსად, და თუ მიიჩნევს, რით გამოხატავს ამას.*



*ამ მანქანაში ჩემი ძმა იჯდა*



*მამაკაცებს რა გვიჭირს...*



*ჩვენ ეს ყველაფერი ჩეჩნეთში გამოვიარეთ.* მარიკა ამირეჯიბის ფოტოები

# საქართველოს იმედი კვლავ საერთაშორისო საზოგადოებრიობაა

თამარ მჭედლიშვილი

***"მორიგი სისხლიანი დანაშაული" – ასე აფასებს საქართველოს საგარეო უწყება რუსეთის სამხედრო ავიაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის დაბომბვის ფაქტს, რასაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა. საგარეო საქმეთა მინისტრი მომხდარზე სრულ პასუხისმგებლობას რუსეთში მოქმედ იმ ჯგუფებს აკისრებს, რომლებიც "აგრესიულად არიან განწყობილი საქართველოს მიმართ".***

საგარეო საქმეთა სამინისტრო კვლავ მორიგი ოფიციალური განცხადებით მიმართავს საერთაშორისო საზოგადოებრიობას. სამწუხაროდ, სხვა ბერკეტი ქართულ მხარეს დღესდღეობით არ გააჩნია. საქართველოს ამ ეტაპზე არ სურს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა. პირიქით – როგორც მენაღარიშვილი აცხადებს, **"ქართული მხარის უმთავრესი ამოცანა ამ აგრესიის შეჩერებაა, რადგან არავინ იცის, ხვალ სად ჩამოვარდება რუსული ბომბები და ვინ იქნება მსხვერპლი. თუ ამას არ გავაკეთებთ, ჩვენ ვერ შევძლებთ მთავარი მიზნის მიღწევას – კავკასიის რეგიონში მეზობელი ქვეყნების მშვიდობიან თანაარსებობას".**

ირაკლი მენაღარიშვილის განცხადებით, **"მასმედიის საშუალებით რუსულმა მხარემ უკვე დაიწყო საქართველოს ტერიტორიის დაბომბვის ფაქტის უარყოფა. თუმცა, საგარეო საქმეთა სამინისტრო ფლობს დაბომბვის დამადასტურებელ უტყუარ ფაქტებს".** მინისტრის თქმით, ეს, პირველ რიგში, საავიაციო დაკვირვების მონაცემებია, რომელზეც რუსული სამხედრო ავიაციის საქართველოს საჰაერო სივრცეში შემოჭრის კონკრეტული დრო და ადგილია ასახული. მინისტრი ასევე აცხადებს, რომ ეუთოს დამკვირვებლები, რომლებიც საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის და ინგუშეთის მონაკვეთებზე მონიტორინგს ანხორციელებენ, ადასტურებენ პარასკევს დილით რუსეთის სამხედრო თვითმფრინავების მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევისა და ქვეყნის ტერიტორიის დაბომბვის ფაქტს.

ამასთან, საგარეო უწყება ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ რუსეთის მხრიდან ეს აგრესიული ქმედებები დაემთხვა პანკისში დაწყებულ ანტიტერორისტულ ოპერაციებს, რომლის დეტალებზეც ადრევე ეცნობა რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებას. **"ეს ოპერაცია ჩატარდება და საქართველო აღადგენს წესრიგს თავის ტერიტორიაზე",** - აცხადებს მინისტრი.

ქართულ მხარეს კვლავ მეგობარი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების იმედი აქვს. ისინი ყოველი დაბომბვის შემდეგ, როგორც წესი, არ აყოვნებენ და შესაბამის შეფასებებს აკეთებენ. ალბათ, სწორედ მათ უნდა უმადლოდეს საქართველო, რადგან, როგორც მინისტრი აცხადებს, რომ არა **"შესაძლო რეაქცია, რუსი სამხედროები კარგა ხანია, განახორციელებდნენ იმ ჩანაფიქრს, რომელიც, პირველ რიგში, მათი უწყების პირველ პირს აქვს საქართველოს მიმართ".**

**"ლოგიკურად ჩნდება კითხვა – რუსეთში ყველაა დაინტერესებული თუ არა ანტიტერორისტული ოპერაციის წარმატებაში? ხომ არ ფიქრობს ზოგიერთი, რომ, თუ პანკისში ვითარება სტაბილური იქნება, მაშინ საკმაოდ გართულდება ჩეჩნეთში საომარი მოქმედებების გამართლება,"** – აცხადებს მინისტრი. მისი თქმით, თუკი რუსული მხარე თავის მართლებას ქართულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციებით ეცდება, **"ეს კიდევ ერთი დასტური იქნება იმ ცინიზმისა, რომლითაც ისინი ისეთ ფასეულობებს ეკიდებიან, როგორიც ადამიანის სიცოცხლეა".**

ამასთან, ირაკლი მენაღარიშვილი ურჩევს რუსულ მხარეს, შეწყვიტოს სხვადასხვა ხერხების გამოყენება, რომელიც მიზნად ისახავს ბათუმიდან და ახალქალაქიდან სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებების გაჭიანურებას.

**"რუსმა სამხედროებმა უნდა დატოვონ და დატოვებენ კიდეც საქართველოს ტერიტორიას",** - აღნიშნა მან.

საგანგებო ბრიფინგს წინ უძღოდა მენაღარაშვილის შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩთან რიჩარდ მაილსთან. შეხვედრის დასასრულ, ამერიკის ელჩმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ **"შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანონობას და გმობს სუვერენული სეხელმწიფოს საჰაერო სივრცის დარღვევასა და მისი ტერიტორიის დაბომბვას, რომელსაც ადამიანების მსხვერპლი მოჰყვა."**




*ირაკლი მენაღარიშვილი ჟურნალისტებს უჩვენებს საავიაციო დაკვირვების მონაცემებს* გოგიტა ბუხაიძის ფოტო

# ეუთოს დამკვირვებელთა განცხადება

ეუთოს დამკვირვებლებმა, რომლებიც რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთის მონიტორინგს ანხორციელებენ, ოფიციალურად დაადასტურეს საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტი. ეუთოს მისიის მიერ პარასკევს თბილისში გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია:

**"23 აგვისტოს, ადგილობრივი დროით 05.15 საათსა და 06.00 საათს შორის, საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთიდან ორი კილომეტრის დაშორებით, დაფიქსირდა რამდენიმე ამოუცნობი საჰაერო აპარატი, რომლებიც ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მოძრაობდნენ. ეს ობიექტები მიფრინავდნენ ჯგუფებად, დიდ სიმაღლეზე, ისეთი სისწრაფით, რომელიც ბგერის სიჩქარეს არ აღემატებოდა. საქართველოს საჰაერო სივრცეში მათი შესვლიდან რამდენიმე წუთის შემდეგ, საზღვრიდან 30-40 კილომეტრის დაშორებით, ეუთოს ღამის პატრულმა დააფიქსირა აფეთქებით გამოწვეული ნათება და ხმები.**

**23 აგვისტო, 19 საათი და 52 წუთი"**

# თბილისი: დაბომბვასთან დაკავშირებით ვაშინგტონი განცხადებას ამზადებს

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის თედო ჯაფარიძის თქმით, პარასკევს დილით, საქართველოს სასაზღვრო ტერიტორიის დაბომბვის ფაქტთან დაკავშირებით, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი განცხადებას ამზადებს. ჯაფარიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ტელეფონით ესაუბრა თეთრი სახლის წარმომადგენლებს. იგი დაარწმუნეს, რომ **"ამერიკასა და რუსეთს შორის დიპლომატიური არხებით კონტაქტები მყარდება".** თედო ჯაფარიძემ, ამასთან, განაცხადა, რომ ის და საქართველოს ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები უშედეგოდ ცდილობენ რუს კოლეგებთან დაკავშირებას.

# პრეზიდენტის კომენტარი

პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ პარასკევს დილით რუსეთის ავიაციის მიერ პანკისის ხეობის და მიმდებარე ტერიტორიების დაბომბვის ფაქტის კომენტირებისას განაცხადა, რომ **"დროა, რუსეთმა შეწყვიტოს ქართულ სოფლებზე ნადირობა".**

მისი თქმით, თუ რუსეთის პრეზიდენტს სამხედროები არ ემორჩილებიან, ეს სხვა საკითხია. ედუარდ შევარდნაძემ "აღმაშფოთებელი" უწოდა რუსეთის მოქმედებებს საქართველოს წინააღმდეგ.

პრეზიდენტის სიტყვებით, თუ ეს ასე გაგრძელდება, საქართველო იძულებული იქნება, გამოიყენოს ყველა საშუალება მსგავსი ფაქტების აღსაკვეთად.

იგი იმედს გამოთქვამს, რომ ეს ქართული ტერიტორიების დაბომბვის ბოლო შემთხვევა იყო.

ედუარდ შევარდნაძემ ასევე განაცხადა, რომ ქალების, მოხუცებისა და ბავშვების გარდა პანკისის ხეობაში ჩეჩენი ლტოლვილები არ უნდა იყვნენ.

**"ყველა მამაკაცი ჩეჩნეთში უნდა დაბრუნდეს"**, - თქვა მან.

# ოპოზიციის რეპლიკა

**"შევარდნაძის დაცვა ყოველწლიურად 80-90 მილიონ ლარამდე ჯდება, მაშინ, როცა საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტზე ამ თანხაზე ცხრაჯერ ნაკლები იხარჯება. შევარდნაძის გადაადგილებისას, მის უსაფრთხოებას 3000-მდე პოლიციელი, 3 საბრძოლო თვითმფრინავი და 9 ვერტმფრენი იცავს, ამის ნახევარი საკმარისია იმისათვის, რომ საკუთარი საზღვარი და ქვეყანა დავიცვათ,"** - განაცხადა გუშინ მიხეილ სააკაშვილმა პანკისის დაბომბვასთან დაკავშირებით მოწყობილ სპეციალურ პრესკონფერენციაზე.

# მოსკოვში რუსი და ქართველი სამხედროების „ქვემოდან წამოსულ ინიციატივაზე" ლაპარაკობენ

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

რუსი სამხედრო ექსპერტები გამოთქვამენ ვარაუდს, რომ პრეზიდენტ პუტინისა და თავდაცვის მინისტრ ივანოვის მოსკოვში არყოფნის ფაქტი შემთხვევით დაემთხვა საქართველოს ტერიტორიების დაბომბვის "ინიციატივას ქვემოდან". სამხედროები არკვევენ, ვისი ინიციატივა იყო ეს - ქართველების, რუსების თუ ორივესი ერთად?

თქმა არ უნდა, პანკისის ხეობის დასაბომბად მოსკოვში ხელსაყრელი მომენტი შეირჩა. პრეზიდენტი პუტინი ვლადივოსტოკშია, თავდაცვის მინისტრი ივანოვი - მორიგ სამხედრო ტურნეში. ასე რომ, ღიად დარჩა შეკითხვა, თუ ვის აძლევდა ხელს საქართველო-რუსეთს შორის მორიგი სამხედრო-პოლიტიკური ესკალაცია და, კერძოდ, რომელი სტრუქტურიდან წამოვიდა პანკისის დაბომბვის ინიციატივა.

რუსეთის პარლამენტის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **სერგეი შიშკარიოვი** რიტორიკულ შეკითხვას სვამს - ემორჩილებიან თუ არა დღეს ქართველი სამხედროები საქართველოს პრეზიდენტს და ემორჩილება თუ არა მინისტრი ივანოვი პრეზიდენტ პუტინს? მსგავს ეჭვებს დღეს მოსკოვში არსებობის უფლება აქვს და ამ კონკრეტულ საკითხზე რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ წრეებში თვალსაზრისი ორად გაიყო. რუსეთის პარლამენტის სამხედრო ექსპერტი, კერძოდ, პარლამენტარ ალექსეი არბატოვის ერთ-ერთი თანაშემწე აცხადებს, რომ **"პანკისის ხეობის დაბომბვაში რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების გამტყუნება არ შეიძლება, რადგანაც მოსკოვს დღეს ხელს არ აძლევს სამხრეთ საზღვრებზე დაძაბულობის ახალი კერის შექმნა, რაც გაურკვეველ შედეგებამდე მიიყვანს თავად რუსეთს, რომელიც ჩეჩნეთში საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემას უშედეგოდ ებრძვის."**

რუსი ანალიტიკოსები, დიდი ხანია, საუბრობენ პრეზიდენტ პუტინსა და სხვადასხვა ძალოვან სტრუქტურებს შორის არსებულ დაპირისპირებაზე. არ არის გამორიცხული, ეს დაპირისპირება საქართველოში გამოიცადოს, მით უმეტეს, რომ ჩეჩნეთში რუსეთის სამხედრო მანქანამ უდიდესი და სამარცხვინო დამარცხება იწვნია.

რუსი სამხედრო ექსპერტები, ყველაფერთან ერთად, შიშობენ, რომ თუ ქართველი სამხედროები რუსეთის რომელიმე ტიპის საფრენი აპარატის ჩამოგდებაზე წავლენ, საქმე უმართავ სამხედრო პროცესებამდე მივა. რუსეთის პარლამენტის ექსპერტებს აფიქრებთ ეუთო-ს დასკვნის დაუსაბუთებლობაც. მათი მტკიცებით, **"იყო მომენტები, როცა ეს საერთაშორისო ორგანიზაცია ჩეჩენი ბოევიკების ბევრ ქმედებაზე თვალს შეგნებულად ხუჭავდა."** ასეთ თვალსაზრისს იზიარებს რუსეთის თავდაცვის მინისტრიც. ერთ რამეში პარლამენტისა და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები თანხმდებიან, რომ დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას ექსპერტთა ერთობლივი სამუშაო ჯგუფი ან კომისია, რომელიც პასუხს გასცემს ბევრ შეკითხვას. რუსეთის პარლამენტში "24 საათთან" საუბარში თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო დუმიდან რაიმე სანქცია პანკისის ხეობის დაბომბვაზე არ გაუციათ. იგივე ფაქტი დაადასტურა დიმიტრი როგოზინის მოადგილემ რადიო "ეხო მოსკვის" ღია ეთერში გამოსვლისას.

თუ იმავე სერგეი შიშკარიოვს მოვუსმენთ, საქართველოს ხელისუფლებას დღეს ხელს არ აძლევს პანკისის პრობლემის დარეგულირება, რადგანაც შევარდნაძეს ძალიან უნდა, საერთაშორისო საზოგადოების თვალში რუსეთის სახით მტერი ჰყავდეს. რუსი პოლიტიკოსის აზრით, დღეს შევარდნაძისათვის მომგებიანია რუსეთის მხრიდან სადამსჯელო აქციაზე საუბარი, რათა, ერთობლივი ანტიტერორისტული ოპერაციის გატარების ნაცვლად, ხელისუფლება შეინარჩუნოს. რუსი დეპუტატი ასევე გამოთქვამს ვარაუდს, რომ, შეიძლებოდა, ადგილი ჰქონოდა ქართველი ან რუსი სამხედრო მფრინავების უმეცარ ქმედებებს. ვარაუდების სიაშია რუსი სამხედროების მიერ დასმული შეკითხვაც - თუ რა ოპერაციის გატარებას აპირებს საქართველოს სამხედრო ხელმძღვანელობა - ამ მხრივ მოსკოვში საგულისხმოდ მიიჩნევენ შევარდნაძის განცხადება-მოწოდებას, ქალებისა და ბავშვების გარდა, ჩეჩნეთიდან ლტოლვილების მიერ პანკისის ხეობის დატოვებაზე. **"საქართველოს ხელისუფლებას ამაზე მაშინ უნდა ეფიქრა, როცა საკუთარ ტერიტორიაზე ლტოლვილებს იღებდა, ახლა ძალისმიერი მეთოდებით ლტოლვილების განდევნა საქართველოს ხელისუფლების დაუფიქრებელ ნაბიჯებზე მეტყველებს,"** - აცხადებს რუსეთის პარლამენტის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

## ბიზნესის ამბები

### Enron-ის საქმის ბრიტანული კვალი

დიდ ბრიტანეთში ქრთამის აღების ბრალდებით დააპატიმრეს კომუნალური კომპანია Wessex Water-ის აღმასრულებელი დირექტორი კოლინ სქელეთი. მან, გამოძიების მტკიცებით, შარშან, კომპანიის გაყიდვისას ქრთამად ერთი მილიონი გირვანქა სტერლინგი აიღო, - იუწყება გაზეთი The Times.

დეტექტივებმა კომპანიის ოფისიდან უკვე ამოიღეს საჭირო დოკუმენტაცია. ისინი აცხადებენ, რომ გამოძიების მსვლელობისას კომპანიის სხვა მენეჯერებს პრობლემები არ შეექმნებათ. ბრიტანული კანონმდებლობით, ბიზნესის სფეროში განხორციელებული გარიგებების დროს ქრთამის აღებისთვის მაქსიმალური სასჯელი შვიდი წლით პატიმრობა და დიდი ოდენობით ჯარიმაა.

კომპანია Wessex Water-ი ადრე აწ უკვე გაკოტრებულ Enron-ს ეკუთვნოდა. მიმდინარე წლის მარტში კომპანია 1,24 მილიარდ გირვანქად გაიყიდა მალაიზიურ კორპორაცია YTL-ზე, რომლის ხელმძღვანელი ფრენსის იეო ახლოს იცნობდა მალაიზიის პრემიერ-მინისტრს. როგორც ექსპერტები ვარაუდობდნენ, Wessex Water-ის ყველაზე რეალური მყიდველი იყო Royal Bank of Scotland-ი, ამიტომ დიდი გახლდათ ბრიტანეთის საქმიანი წრეების გაკვირვება, როდესაც გარიგება მალაიზიური კომპანიის სასარგებლოდ დასრულდა. გავრცელებეული ხმების თანახმად, მალაიზიელებმა გამარჯვებას მიაღწიეს იმის მიუხედავად, რომ Wessex Water-ში თავის კონკურენტზე ნაკლები გადაიხადეს.

როგორც კორპორაცია YTL-ის წარმომადგენლებმა განაცხადეს, მათ არაფერი იციან უკანონო ფულადი გადარიცხვების შესახებ.

### რუსეთი და ჩინეთი დასავლეთ აფრიკას ერთობლივად აითვისებენ

შანხაიში მიმდინარე რუსულ-ჩინური სამთავრობო მოლაპარაკებებისას გადაწყდა, რომ ორი ქვეყანა გვინეაში მდებარე, მსოფლიოში ბოქსიტების უდიდეს საბადოს "დიან-დიანს" ერთობლივად დაამუშავებს.

როგორც კომპანია "რუსული ალუმინის" გენერალური დირექტორის მოადგილემ ალექსანდრ ლივშიცმა განაცხადა, საბადოს დასამუშავებლად აუცილებელია ერთ მილიარდ დოლარზე მეტი ინვესტიციის განხორციელება. რუსულ კომპანიას კი მიზანშეწონილად მიაჩნია ამ საბადოს ერთობლივი დამუშავება.

ამ საკითხის გარდა, რუსებმა ჩინურ მხარეს შესთავაზეს ირკუტსკის ოლქში ალუმინის საწარმოს ერთობლივი მშენებლობა, რომელიც წლიურად 500 ათას ტონა ალუმინს გამოუშვებს. ამჟამად პროექტი სამშენებლო მოედნის ძიების სტადიაშია.

### მუშაობენ თუ არა „უოლ-სტრიტზე„ „კეისრის ცოლები„?

ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორმა ჯორჯ პატაკიმ ხელი მოაწერა ბრძანებულებას ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, რომლის ჩარჩოებშიც მოგროვდება ინფორმაცია აშშ-ს უმსხვილესი საფონდო ბირჟების, მათ შორის, New York Stock Exchange-სა და Nasdaq-ის, თანამშრომელთა შესახებ. ამასთან, გამოძიების ფედერალურ ბიუროში თითის ანაბეჭდებს აუღებენ არა მარტო ტრეიდერებსა და ბროკერებს, არამედ ბირჟების ტექნიკურ და დამხმარე პერსონალსაც.

ფინანსისტებისგან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, გამოძიების ფედერალური ბიურო შეამოწმებს, ჰქონდათ თუ არა მათ კრიმინალური წარსული. "კანონით უნდა დადგინდეს, რომ ჩვენი ბაზრის მექანიზმებთან არ მუშაობენ ადამიანები, რომელთაც შავბნელი წარსული აქვთ", - აღნიშნა პატაკიმ.

ბირჟების წარმომადგენლებმა ახალი წესი მოიწონეს. მათი განცხადებით, თითის ანაბეჭდების აღების წესი სამომავლოდ ამ სფეროში სტანდარტადაც კი იქცევა.

### „ისლამური კოლა„ პოპულარობას იხვეჭს

ირანში წარმოებული უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი Zamzam-Cola სერიოზულ კონკურენციას უწევს ამერიკული წარმოების ანალოგიურ სასმელებს. მის პოპულარობაში ლომის წილი მიუძღვის შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას – საუდის არაბეთსა და რეგიონის ზოგიერთ სხვა სახელმწიფოში ბოიკოტი გამოუცხადეს ამერიკულ პროდუქციას, მათ შორის, გამაგრილებელ სასმელებსაც.

Zamzam-Cola-ს მეორე კოზირი მისი სახელწოდებაა. "ზამზამი" ჰქვია წყაროს მექაში, რომელმაც, მუსლიმთა რწმენით, ალაჰის სურვილით გადმოხეთქა. გადმოცემით, ამ წყაროს წყალი წმინდაა და მას სამკურნალო თვისებები გააჩნია.

ბოიკოტის შედეგად საუდის არაბეთში ამერიკული პროდუქციის ექსპორტი 40 პროცენტით შემცირდა. Zamzam-Cola-მ ამ ქვეყანაში კი ისეთი პოპულარობა მოიპოვა, რომ სასმელის იმპორტიორებს ჭკუაში დაუჯდათ მისი ადგილზე წარმოება. ყოველ კვირას ირანიდან საუდის არაბეთში ხუთი მილიონი ლიტრი Zamzam-Cola-ს ექსპორტი ხორციელდება. ირანული სასმელის ადგილზე ჩამოსხმაზე ფიქრობენ მეორე არაბულ სახელმწიფოში - ბაჰრეინშიც, რომლის მოსახლეობის პირის გემოც Zamzam-Cola-მ სავსებით დააკმაყოფილა.

### ბილ გეიტსი Microsoft-ის აქციებს ყიდის

მსოფლიოს ნომერ პირველი კორპორაციის "მამა" ბილ გეიტსი Microsoft-ში კუთვნილი აქციების ნაწილს ყიდის.

აშშ-ს ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისიის მონაცემებით, 2002 წლის სამი ივნისიდან 13 აგვისტომდე ბილ გეიტსმა გაყიდა 599 მილიონი დოლარის ღირებულების 12 მილიონი აქცია.

მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი ბილ გეიტსი Microsoft-ის 650 მილიონ აქციას ფლობს.

Nasdaq-ის საბირჟო ვაჭრობაზე 21 აგვისტოს Microsoft-ის ერთი აქციის ფასმა 1,24 დოლარით აიწია და 52,28 დოლარი შეადგინა.

**ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 18 - 24 აგვისტოს მდგომარეობით**




**მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები**

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6585 | 0.638 | 0.0055 |
| US$ | 1.5187 | | 0.969 | 0.0083 |
| €uro | 1.5673 | 1.032 | | 0.0086 |
| ¥en | 182.31 | 120.04 | 116.31 | |

**2002 წლის 24 აგვისტოდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:**

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1270 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.3373 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4447 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1950 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3384 ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1830 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0695 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4479 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3882 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.1194 ლარი |

# პრეზიდენტის ახალი თამაში - "ცხრა მილიონ დოლარობანა"

პირველი გვერდიდან

მითიურ ცხრა მილიონი დოლარის გრანტზე საუბრისას, ორი დღის წინათ "ეი-ი-ეს თელასის" გენერალურმა დირექტორმა იგნასიო ირიბარენმა აღნიშნა, რომ ელექტროენერგიის ტარიფის ბოლო ვარიანტში ასახულია ის ინვესტიციები, რაც ამერიკულმა კომპანია "ეი-ი-ესმა" 2002 წელს განახორციელა საქართველოში. ცხრა მილიონი დოლარის ბედი კი უკვე გადაწყვეტილია. აშშ-ს მთავრობასთან წარმოებული მოლაპარაკებების შემდეგ გადაწყდა, თუ რა ფორმით მოხდება საქართველოსთვის ამ თანხის გადმორიცხვა. საქართველოს მთავრობა გრანტის სახით მიიღებს ცხრა მილიონ აშშ დოლარს, რაც საბიუჯეტო ორგანიზაციებში არსებულ ელექტროენერგიის დავალიანებების დაფარვას მოხმარდება. მას შემდეგ, რაც "ეი-ი-ეს თელასი" მიიღებს თანხას, იგი მას გამრიცხველიანების პროცესის დასრულებას მოახმარს. იგნასიო ირიბარენი აცხადებს, რომ თუ საქართველოს მთავრობას სურს, მოსახლეობას გაძვირებული ტარიფის დაფარვაში დაეხმაროს და "თელასს" გარკვეული კომპენსაცია მისცეს, ის წინააღმდეგი არ იქნება. თუმცა, ირიბარენი ძალზე სკეპტიკურადაა განწყობილი ამ საკითხისადმი და მიუთითებს, რომ იგი მხოლოდ რეალურ კომპენსაციაზე დათანხმდება და არა ფიქტიურზე.



*რიჩარდ მაილსი (მარჯვნივ) სემეკ-ში შეხვედრისას*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ასე რომ, სანამ მთავრობა "თამაშობს", მანამდე აშშ-ს ელჩი და სემეკის თავმჯდომარე "ეი-ი-ეს თელასის" პრობლემებს განიხილავენ. რიჩარდ მაილსმა ელიზბარ ერისთავს სთხოვა, ამერიკულ კომპანიას კომერციული დანაკარგების ამოღებასა და ელექტროენერგიის დამტაცებლების წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმაროს. როგორც მაილსი აცხადებს, მას განსაკუთრებული ინტერესი აქვს მარეგულირებელი კომისიის საქმიანობისადმი, რადგანაც იგი უშუალოდაა დაკავშირებული "ეი-ი-ესის" საქართველოში მოღვაწეობასთან.

რაც შეეხება ქართული მოსახლეობისთვის არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხს - ზამთრის გათბობის პროგრამას, რომელიც სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის მათ მიერ დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის გადახდას გულისხმობს და აშშ-ს განვითარების სააგენტოს (USAID) მიერაა დაფინანსებული, მაილსიც და ერისთავიც ერთხმად აცხადებენ, რომ პროგრამა გაგრძელდება. აშშ-ს ელჩის თქმით, ეს საკმაოდ უჩვეულო პროგრამაა, რომელსაც ამერიკა მხოლოდ საქართველოში ანხორციელებს. ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის, წელს რამდენ მილიონ დოლარს გამოყოფს აშშ-ს განვითარების სააგენტო, თუმცა, როგორც ელიზბარ ერისთავი აცხადებს, ეს თანხა შარშანდელზე, ანუ ხუთ მილიონ დოლარზე ნაკლები არ იქნება.

# მთავრობა ახალ საგადასახადო კოდექსს ბლოკავს

სოფო კვინტრაძე

*ევროგაერთიანებაში გაგზავნილ არასამთავრობო ორგანიზაციის განაცხადს გაუგებარ ვითარებაში აყალბებენ. "საქართველოს ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტის" წარმომადგენლები, რომლებიც ახალ საგადასახადო კოდექსზე მუშაობისას ევროპელი კოლეგებისაგან ტექნიკურ დახმარებას ითხოვდნენ, განაცხადის გაყალბებაში ფინანსთა სამინისტროს ადანაშაულებენ. ეკონომისტი ნიკო ორველაშვილი აცხადებს, რომ მთავრობას ახალი საგადასახადო კოდექსის დაბლოკვა სურს.*

მოქმედი საგადასახადო კოდექსის აუცილებელ ცვლილებებზე თანაბარი აქტიურობით საუბრობენ როგორც მთავრობის, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. "საქართველოს ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტის" თაოსნობით შექმნილია ახალ საგადასახადო კოდექსზე მომუშავეთა ჯგუფი, რომელსაც შემუშავებული აქვს საგადასახადო კოდექსის პროექტი, რომლის საბოლოო ვარიანტის დასაწერად ჯგუფის წევრებმა საკონსულტაციოდ ევროპელ კოლეგებს მიმართეს. კერძოდ, მათ მიერ ევროკომისიაში გაგზავნილ იქნა განაცხადი, სადაც კოდექსის დასახვეწად და მისი თანამდევი კანონების მოსამზადებლად არასამთავრობოები სამი ექსპერტის გამოგზავნას ითხოვენ. განაცხადში აგრეთვე მითითებული იყო, რომ, უცხოელ ექსპერტებთან ერთად, კოდექსზე ადგილობრივი ექპერტების განუსაზღვრელ რაოდენობას უნდა ემუშავა.

თუმცა, როგორც ჯგუფის ხელმძღვანელი ნიკო ორველაშვილი აცხადებს, ბრიუსელში გაგზავნილი განაცხადის შინაარსი მოულოდნელად შეიცვალა. ცვლილება ეხება ექსპერტთა რაოდენობას. შეცვლილ განაცხადში უცხოელი ექსპერტების რაოდენობა ორამდეა შემცირებული, ქართველ ექსპერტთა რაოდენობაც განუსაზღვრელის ნაცვლად ორამდეა დაყვანილი და თანაც მითითებულია, რომ ერთ-ერთი მათგანი აუცილებლად ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი უნდა იყოს. თუმცა, ნიკო ორველაშვილის თქმით, ეს ეწინააღმდეგება ევროგაერთიანების დადგენილ ნორმებს.

აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს ევროგაერთიანებისგან 200 000 ევროს ოდენობის დახმარებას, რაც გადაეცემა ტენდერში გამარჯვებულ ევროპულ საკონსულტაციო ორგანიზაციას, რომელიც შემდგომში, თავის მხრივ, კოდექსზე მომუშავე ქართველთა ჯგუფს გაუწევს დახმარებას. ნიკო ორველაშვილის განცხადებით, 200 000 ევრო ის თანხა არაა, რაც ქართველი ჩინოვნიკების მადას დააკმაყოფილებს, ამდენად, მისი აზრით, ადგილი აქვს მთავრობის მხრიდან პროექტის საბოლოო განხორციელების ჩაშლას.

**"ამჟამინდელი საგადასახადო კოდექსი ჩინოვნიკთა მთელი არმიისათვის უდიდესი საშემოსავლო წყაროა, ცხადია, მათ არ სურთ ისეთი კოდექსის შექმნა, რომელიც გამჭვირვალე იქნება და მათ საბიუჯეტო თანხების მიტაცების საშუალებას არ მისცემთ. გარდა ამისა, ახალი კოდექსის პროექტში უქმდება ბევრი ისეთი გადასახადი, რომელიც მეწარმეებს, და არა მარტო მათ, ნორმალური საქმიანობისა და ცხოვრების საშუალებას არ აძლევთ. ეს კოდექსი გამიზნულია საქართველოს მოქალაქეებისათვის და არა ჩინოვნიკებისათვის,"** – აცხადებს ნიკო ორველაშვილი.

ევროკავშირის ეროვნული კოორდინატორი თამარ ბერუჩაშვილი აცხადებს, რომ კოდექსზე მომუშავე ჯგუფის განაცხადს მან თავად მოაწერა ხელი და ბრიუსელში გააგზავნა, თუმცა, ბერუჩაშვილი არ ფლობს ინფორმაციას განაცხადის გაყალბების შესახებ. **"ჩემთან ჯერ არ მოსულა ოფიციალური წერილი ევროგაერთიანებიდან, ამიტომ მე ვერ გეტყვით, რა ცვლილებებზე ლაპარაკობს ორველაშვილი,"** – განაცხადა თამარ ბერუჩაშვილმა.

როგორც ნიკო ორველაშვილმა "24 საათს" განუცხადა, შეცვლილი განაცხადის ასლი მას ტენდერში მონაწილე ერთ-ერთი ევროპული საკონსულტაციო ორგანიზაციის დახმარებით ჩაუვარდა ხელში. ორველაშვილი არ ასახელებს ორგანიზაციის სახელს, თუმცა, ამბობს, რომ მისი წარმომადგენლები გაკვირვებულები დარჩნენ განაცხადში ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლის შეყვანით. ნიკო ორველაშვილი აცხადებს, რომ ამგვარი რამ საკონსულტაციო ორგანიზაციებს თავიანთ პრაქტიკაში არ ახსოვთ.

მიუხედავად დიდი მცდელობისა, ფინანსთა სამინისტროში არავინ აღმოჩნდა, ვინც აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარს გააკეთებდა.

ასე რომ, ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი ჰაერში ჰკიდია. ნიკო ორველაშვილი აცხადებს, რომ კოდექსზე მომუშავე ჯგუფს სხვა წყაროების გამოძებნა მოუწევს, რათა დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოს. თუმცა, რამდენ ხანში იქნება მზად ასე ნანატრი საგადასახადო კოდექსი, ამაზე პასუხი არავის არა აქვს.

# წალკის "ბუნტი"

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება უშუალოდ წერილს, მასში წალკის რაიონის მოსახლეობის ერთი ნაწილი სთხოვს საქართველოს ხელისუფლებას, შეაჩეროს **"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის დრაკონული პროექტი, რომელიც საქართველოსა და მთელ კავკასიის რეგიონს შუაზე ჰყოფს"**. წერილში ორივე პროექტი "ეშმაკისეულადაა" მონათლული, რომელთა განხორციელების შემდეგაც დაიწყება მილსადენების ირგვლივ მდებარე მიწის ნიადაგში მუტაციური პროცესები. **"ამის შედეგად, ადამიანები შეჭამენ მცენარეულ საკვებს, რომელშიც სიკვდილის ენერგია სიცოცხლის ენერგიაზე მეტი იქნება".**

წერილის თანახმად, კავკასიის რეგიონი სეისმურად არამდგრადია. ეს გარემოება ენერგოპროექტებს მეტად რისკიანს ხდის. გარდა ამისა, წერილის თანახმად, მიწისძვრისგან გამოწვეულმა ავარიამ, შესაძლოა, ისეთი აფეთქება გამოიწვიოს, რომ სპიტაკის მიწისძვრა მონაგონი იყოს. სხვათა შორის, წალკელთა წერილში საუბარია მიწიძვრის ხელოვნურად გამოწვევის შესაძლებლობაზეც.

**"გონს მოდით, ნუ შექმნით ბიბლიურ ჯოჯოხეთს ამ მშვენიერ სამოთხეში",** - ასე ამთავრებს 2800 წალკელი წერილს.

"24 საათთან" საუბარში წალკის რაიონის გამგებელმა ელდარ ხვისტანმა აღნიშნა, რომ იცის წერილის შესახებ და დაასახელა მისი შესაძლო ავტორი – ადრე სოფელ აშკალაში, ამჟამად კი რუსეთის ფედერაციის ქალაქ დონის როსტოვში მცხოვრები ვინმე ზურნაჩიანი. **"მან დაიწყო აგიტაცია თანასოფლელებში. როგორც ჩანს, ის რუსეთის სპეცსამსახურების დაკვეთით მოქმედებდა. ზურნაჩიანი ამჟამად წალკაში არ იმყოფება",** - მეტ ინფორმაციას ზურნაჩიანსა და მის კავშირზე ტრანსკასპიურ ენერგოპროექტებთან წალკის გამგებელი არ ფლობს. მან ასევე არ იცის, 25 აგვისტოს (ეს თარიღი წერილშია მითითებული) არის თუ არა წალკის რაიონში დაგეგმილი ადგილობრივი მოსახლეობის აქცია ენერგოპროექტების მშენებლობის წინააღმდეგ.

# "ჯენერალ მოტორზი" "ფიატს" ვერ გაურიგდა

თორნიკე შარაშენიძე

მსოფლიოს უდიდეს ავტომწარმოებელ "ჯენერალ მოტორზსა" და "ფიატს" შორის გარიგება არ შედგა. ამერიკული კომპანია დიდი ხნის განმავლობაში აწარმოებდა მოლაპარაკებას "ფიატის" ფინანსური მომსახურების შტოს, "ფიდისის" შესყიდვაზე, მაგრამ კომპრომისი ვერაფრით იქნა მიღწეული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფირმას "ფიატის" კრედიტორი იტალიური ბანკები ("ბანკა დი რომა," "ინტესაბსი," "სან-პაულო იმი") ჩაიგდებენ ხელთ. ბანკებსა და "ფიატს" შორის ამასწინანდელი გარიგების თანახმად კომპანიამ მოკლე ვადაში უნდა მოახდინოს რესტრუქტურიზაცია და დაიწყოს ვალების დაფარვა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სწორედ ამ ბანკების ხელში გადავა. როგორც ვხედავთ, საამისო პირველი ნიშნები უკვე გამოჩნდა "ფიდისის" სახით.

"ჯენერალ მოტორზი," რომელიც "ფიატის" 20 პროცენტს ფლობს, სერიოზულად იყო დაინტერესებული "ფიდისით." ამერიკულ გიგანტს გააჩნია საკუთარი ფინანსური მომსახურების ფირმა "ჯი-ემ-ეი-სი" და ახალი შენაძენით კიდევ უფრო გააძლიერებდა თავის ამ სერვისს. მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო, ყველაფერი ჩაიშალა. შესაძლოა, ეს განაპირობა "ჯენერალ მოტორზის" მიერ ერთი კვირის წინ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, 506 მილიონი დოლარი დაებანდებინა მის კონტროლქვეშ მყოფ იაპონურ ავტომწარმოებელ "ისუძუში." გარდა ამისა, კომპანია მნიშვნელოვან ფინანსურ პრობლემებს განიცდის საპენსიო და თანამშრომელთა დაზღვევის თანხების მხრივ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ავტოგიგანტმა ახალ შენაძენზე უარი თქვა, მით უმეტეს, რომ "ფიდისი" 1 მილიარდი დოლარი დაჯდებოდა. მაგრამ ეს თავშეკავება ამერიკელებს, შესაძლოა, საკმაოდ ძვირად დაუჯდეთ მომავალში, რადგან თუკი "ფიატმა" კრიზისი ვერ დაძლია, მას არჩევანი აქვს, თავისი საავტომობილო განყოფილება "ჯენერალ მოტორზს" გადაულოცოს (ამის შესახებ შეთანხმება ორ მხარეს შორის მაშინ იქნა მიღწეული, როცა ამერიკულმა გიგანტმა "ფიატის" 20 პროცენტი შეისყიდა). როცა დღის წესრიგში ეს გარიგება დადგება, "ჯენერალ მოტორზი" უსათუოდ ინანებს, რომ "ფიატის" ფინანსური მომსახურების ბიზნესი ხელიდან გაუშვა.

თუმცა, სანამ ეს გარიგება დადგება დღის წესრიგში, "ჯენერალ მოტორზმა" თავისი ფინანსური პრობლემები უნდა მოაწესრიგოს. მაგრამ იქამდე ალბათ ჯერ კიდევ დიდი დროა ("ფიატს," საქმეების გამოსასწორებლად, ბანკებისაგან კიდევ ორწლიანი ვადა აქვს მიცემული) და თუკი სასწაული არ მოხდა, კომპანიამ კრიზისი მალე უნდა დაძლიოს. "ჯენერალ მოტორზი" არ გახლავთ ერთადერთი ავტომწარმოებელი, რომელსაც ფინანსური პრობლემები გააჩნია. გლობალური მსოფლიო კრიზისი და სამომხმარებლო ნდობის დაცემა "ჯენერალ მოტორზს," "ფორდსა" და სხვებს აიძულებს, კლიენტთა წახალისების ახალი ფორმები გამოძებნონ, რაც საკმაოდ ძვირი უჯდებათ. სპეციალისტთა თქმით, "ჯენერალ მოტორზის" ხელმძღვანელობა ახლა სწორედ ამ მიმართულებით უნდა მუშაობდეს.

მოკლედ, ამერიკული ავტოგიგანტის პრობლემები, ალბათ, მაშინ გაქრება, როცა ბოლო მოეღება გლობალურ კრიზისს. თუმცა, ეს დიდი შეღავათი ვერ უნდა იყოს "ფიატისათვის," რადგან ამ უკანასკნელს ვალების გვარიანი ნაწილი ჩამოეწერებოდა "ფიდისის" გაყიდვის შემთხვევაში. იტალიის კორპორაციულმა გიგანტმა კარგი შანსი გაუშვა ხელიდან. არადა, დრო მის საწინააღმდეგოდ მუშაობს.

# შესაძლოა, ირანი აშშ-ს მორიგ სამიზნედ იქცეს

ლევან ღირსიაშვილი

ირანის სამხედრო ხელმძღვანელობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ირანი, თეირანზე აშშ-ს შესაძლო დარტყმების პასუხად, სერიული სამხედრო მანევრების ჩატარებას გეგმავს. **"ჩვენ კონკრეტული გეგმები შევიმუშავეთ და აშშ-ს მხრიდან დარტყმების განხორციელების შემთხვევაში წინააღმდეგობის გაწევისათვის ვემზადებით,"** - განაცხადა გენერალმაიორმა მოჰამად სალიმიმ. მისი თქმით, ირანის არმიის სარდლობა სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების მონაწილეობით ფართომასშტაბიანი მანევრების ჩატარებას გეგმავს.

როგორც ცნობილია, აშშ-ს პრეზიდენტმა ირანი "ბოროტების ღერძის" ქვეყნების სიაში დასახელა. ბუშმა თეირანს ტერორისტების მხარდაჭერაში დასდო ბრალი. აშშ-ს ადინისტრაციის ზოგიერთმა წარმომადგენელმა კი ირანში რეჟიმის შეცვლის აუცილებლობაზეც ისაუბრა. ამდენად, ირანის ხელისუფლება შიშობს, რომ თუ აშშ ერაყში ჰუსეინის დამხობის მისიას წარმატებით გაართმევს თავს, დღის წესრიგში თეირანის საკითხიც დადგება. **"ამერიკის მუქარა ჩვენთვის ახალი არ არის და ჩვენი არმია ჩვეული მანევრების ჩატარებას გააგრძელებს. როგორც არ უნდა დაგვემუქრონ, ჩვენ მათ თავდასხმას აღვკვეთავთ,"** - განაცხადა გენერალმა სალიმიმ.

ამავე დროს, ირანის თავდაცვის მინისტრის, ადმირალ ალი შამხანის აზრით, ერაყში აშშ-ს შეჭრის შემთხვევაში, ირანმა ნეიტრალური პოზიცია უნდა დაიკავოს, როგორც ეს თეირანმა სპარსეთის ყურის ომის დროს გააკეთა.

თანამედროვე ეტაპზე ირანი მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. ერთის მხრივ, ქვეყნის ხელისუფლებას ჰუსეინის რეჟიმის დამხობა სურს, თუმცა, ამ შემთხვევაში ისინი შიშობენ, რომ რეგიონში მთლიანად აშშ გაბატონდება, რაც თეირანის ისლამური რეჟიმის ეროვნული ინტერესებისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს.

# თურქეთის ეკონომიკის ყოფილი მინისტრი აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას იწყებს

ლევან ღირსიაშვილი

პიროვნება, რომლის სახელსაც უმწვავესი ფინანსური კრიზისიდან თურქეთის გამოყვანა უკავშირდება, პარასკევს თურქეთის მემარცხენე პარტიას შეუერთდა.

ქემალ დერვიშს დასავლეთის ფინანსური წრეები და ნატო-ს ხელმძღვანელობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ თურქეთში მრავალმილიარდიანი დახმარების მთავარ გარანტად მიიჩნევენ. მან თურქეთის სახალხო რესპუბლიკურ პარტიაში თავისი გაწევრიანების შესახებ ანკარაში, ამ პოლიტიკური ორგანიზაციის შტაბ-ბინაში განაცხადა, რასაც იქ დამსწრე საზოგადოება ოვაციითა და ტაშით შეხვდა. **"ყველა დაინახავს, რომ დერვიშის სახალხო რესპუბლიკურ პარტიაში გაწევრიანებით ახალი გრანდიოზული პოლიტიკური ძალა იწყებს მოღვაწეობას,"** - განაცხადა ამ მოვლენასთან დაკავშირებით გამართულ ცერემონიაზე პარტიის ლიდერმა დენიზ ბაიქალმა.



ქემალ დერვიში და და სახალხო რესპუბლიკური პარტიის ლიდერი დენიზ ბაიქალი REUTERS

თავის დროზე მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა და მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ბანკირად ცნობილმა ქემალ დერვიშმა გასულ თვეს თურქეთის ეკონომიკის მინისტრის პოსტი დატოვა. მან ამის მიზეზად პრემიერ-მინისტრ ბულენთ ეჯევითის კოალიციურ მთავრობაში უთანხმოების გაჩენა დაასახელა. **"ვიდრე მთავრობაში ჰარმონია არ დამყარდება, მე ქვეყნის ეკონომიკაზე პასუხისმგებლობას ვერ ავიღებ,"** - განაცხადა დერვიშმა გადადგომის დროს.

დერვიში, სახალხო რესპუბლიკურ პარტიასთან გაერთიანებით, 3 ნოემბერს დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებას გეგმავს, რაშიც დასავლეთის პოლიტიკური და ფინანსური წრეების მხარდაჭერის იმედი აქვს.

# რუსეთის საინფორმაციო საშუალებები საქართველოს დაბომბვის თაობაზე

პირველი გვერდიდან

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა თედო ჯაფარიძემ რუსეთის ბომბდამშენების მიერ საქართველოს ტერიტორიის ინტენსიური დაბომბვის შესახებ თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. **"დაბომბვას რამდენიმე სამხედრო თვითმფრინავი ანხორციელებდა და იგი 40 წუთს გრძელდებოდა,"** - განაცხადა თედო ჯაფარიძემ. ამავე სააგენტოს თანახმად, საქართველოს დაბომბვის ფაქტთან დაკავშირებით, რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ ოფიციალური თბილისის განცხადება უარყო. **"რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საჰაერო ძალების ავიაციას პარასკევს დილით რუსეთ-საქართველოს საზღვრებთან გაფრენა არ განუხორციელებია,"** - განუცხადა "ინტერფაქსს" რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების პრესცენტრის ხელმძღვანელმა, პოლკოვნიკმა ალექსანდრე დრობიშევსკიმ. მისი თქმით, რუსეთის საბრძოლო თვითმფრინავებს საქართველოს საზღვარი არ დაურღვევიათ.

უკვე **12:03:00**-ზე, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, **სააგენტო "ინტერფაქსმა"** საქართველოს თავდაცვის მინისტრის დავით თევზაძის განცხადება გამოაქვეყნა.

დავით თევზაძის ინფორმაციით, საქართველოს ტერიტორიების დაბომბვა რვა კილომეტრის სიმაღლიდან ხორციელდებოდა, ხოლო საქართველოს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა ასეთ სიმაღლეზე საფრენი აპარატების ჩამოსაგდებად არ აქვს. თუმცა, პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ პარასკევს ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ქვეყანას საფრენი ობიექტების ჩამოსაგდებად ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები გააჩნია, მაგრამ პრეზიდენტს **"არ სურდა და არც ახლა სურს მათი გამოყენება, რადგან ეს არ შეესაბამება ორი მოძმე და მეზობელი ხალხის ინტერესებს,"** - ნათქვამია "ინტერფაქსის" მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ამავე სააგენტოს მიხედვით, საქართველოს უშიშროების სამინისტროს პრეს-სამსახურის ხელმძღვანელმა ნიკა ლალიაშვილმა კითხვაზე - ხომ არ იყო რუსეთის დაბომბვა 22 აგვისტოს "რუსთავის 2"-ის ინფორმაციის შედეგად გამოწვეული – განაცხადა: **"ძნელი დასაჯერებელია, რომ რუსეთის სამხედროები თავიანთ ქმედებებს მწყემსებსა და სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებზე დაყრდნობით ანხორციელებდნენ."**

სააგენტომ ასევე გაავრცელა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის ვალერი ხაბურძანიას განცხადება, რომლის თანახმადაც ილტოს ხეობა და პანკისის მიმდებარე ტერიტორია 23 აგვისტოს, გამთენიისას ათმა რუსულმა სამხედრო თვითმფრინავმა დაბომბა.

აღსანიშნავია, რომ 23 აგვისტოს, დილით რუსეთის მასობრივი ინფორმაციის ყველა დანარჩენი საშუალება "ინტერფაქსის" ინფორმაციებზე დაყრდნობით გადასცემდა ცნობებს. ზემოთ მოყვანილ ინფორმაციას ავრცელებდნენ: **dni.ru, strana.ru, lenta.ru, ria-novosti, ntv.ru** და სხვა წყაროები.

უკვე **14:14:16**-ზე **"ლენტა.რუ"-მ** საკმაოდ ცინიკური სათაურით გაავრცელა ინფორმაცია: **"შევარდნაძე: საქართველოს შეუძლია თვითმფრინავების ჩამოგდება, ოღონდ ჯერ არ სურს."** შევარდნაძემ განაცხადა, რომ საქართველო არ იღებს ასეთ გადაწყვეტილებას, რადგან არ სურს რუსეთთან ურთიერთობის გამწვავება, - ნათქვამია ინფორმაციაში.

საინფორმაციო სააგენტო **"ბი-ბი-სი"-ს** რუსულმა რედაქციამ 23 აგვისტოს, დღის სამი საათისათვის გაავრცელა ინფორმაცია სათაურით: **"საქართველო რუსეთს კვლავ უყენებს ბრალდებებს."** სააგენტოს მიერ გადმოცემულ ცნობაში ნათქვამია, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ რუსეთი საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევაში კვლავ დაადანაშაულა. საქართველოს პრეზიდენტმა ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც პანკისის ხეობის ერთ-ერთ სოფელში, ავიადარტყმების შედეგად, სამი ადამიანის დაღუპვის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია. რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენელმა დრობიშევსკიმ კი უარყო საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის საბრძოლო თვითმფრინავების შეჭრის ფაქტი, - ნათქვამია "ბი-ბი-სი"-ს ინფორმაციაში.

23 აგვისტოს, დღის სამი საათისათვის სააგენტო **"რია-ნოვოსტიმ"** რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის განცხადება გამოაქვეყნა. სააგენტოს ცნობის თანახმად, ივანოვმა განაცხადა, რომ საქართველოში ეუთო-ს დამკვირვებელთა მისია თავს ვერ ართმევს დაკისრებულ მოვალეობებს. რუსეთის თავდაცვის მინისტრის მტკიცებით, ჩეჩენმა ბოევიკებმა რამდენიმე ხნის წინ საქართველო-რუსეთის საზღვარი ეუთოს დამკვირვებელთა ცხვირწინ დაარღვიეს და რუსეთის ტერიტორიაზე დაიწყეს საბრძოლო მოქმედებები. **"ამ დამკვირვებელთა მოქმედების მარგი ქმედების კოეფიციენტი ნულის ტოლია,"** - განაცხადა ივანოვმა. მან უარყო საქართველოს ხელისუფლების ბრალდება რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიების დაბომბვის შესახებ.

რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო სამსახური ყურადღებით ამოწმებს ცნობებს გილაევის რაზმის საქართველო-რუსეთის საზღვრის მახლობლად გადაადგილების შესახებ. თუმცა, ჯერჯერობით სასაზღვრო მონაკვეთზე რუსეთის მესაზღვრეებს გილაევის დაჯგუფება არ შეუნიშნავთ. აღნიშნული ინფორმაცია **"ლენტა.რუ"-მ** გაავრცელა.

# „რუსეთს წარმოდგენა არა აქვს თავის სტრატეგიაზე საქართველოს მიმართ" - უცხოელი ექსპერტები პანკისის პრობლემის შესახებ

პირველი გვერდიდან

ბარანი ყურადღებას ამახვილებს პრობლემის მეორე მხარეზე – რომ ჩეჩენ მებრძოლებს წასასვლელი არსადა აქვთ. მოსკოვი მათი ჩეჩნეთში დაბრუნების წინააღმდეგია, თან საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ჩეჩნებსაც არ ასვენებს და საქართველოს მათ მხარდაჭერაში ადანაშაულებს იმის მაგივრად, რომ საქართველოს ხელთ არსებული შესაძლებლობების სიმწირე აღიაროს.

"საქართველოს ესაჭიროება მეტი დახმარება საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან იმ შემთხვევაში, თუ ზოგიერთი ჩეჩენი მებრძოლი, რომლებიც რუსების მიერ ჩეჩნეთიდან გამოიდევნებიან, თავდაცვის მიზნით, ქართველების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში აღმოჩნდებიან ჩართულნი," – მიიჩნევს ზეინო ბარანი. "საქართველოში ქაოსის აღსაკვეთად საჭიროა შეერთებული შტატების სერიოზული ჩარევის გაგრძელება, განსაკუთრებით, პანკისის ხეობასა და [ჩეჩნეთთან] საზღვარზე". სტატიის დასასრულს ზეინო ბარანი საინტერესო დასკვნას გვთავაზობს: "შეერთებულმა შტატებმა ღიად უნდა მიანიშნონ პრეზიდენტ შევარდნაძეს, რომ თუ მას კვლავაც სურს შეერთებული შტატების ყურადღება და დახმარების გაგრძელება, მან აღარ უნდა მოითმინოს კრიმინალური ჯგუფები საქართველოში. . . სახელმწიფოს კრიმინალიზაციამ ისეთ დონეს მიაღწია, როდესაც იგი პირდაპირ უქმნის საფრთხეს საქართველოს დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს, რომლისთვისაც ქართველები ბოლო ათი წლის განმავლობაში იბრძოდნენ".

ზეინო ბარანის პათოსს იზიარებს "ჯეიმსტაუნის ფონდის" ექსპერტი ვლადიმირ სოკორი, რომელიც მიიჩნევს, რომ რუსეთის მიერ საქართველოზე განხორციელებული ზეწოლა თბილისის პროდასავლური ორიენტაციის შეცვლას ან არასტაბილურობის გარკვეული დონის შენარჩუნებას ემსახურება, რაც, საბოლოო ჯამში, მაინც თბილისის ორიენტაციის შეცვლას გამოიწვევს.

სოკორი მიმდინარე დაპირისპირების უშუალო გამომწვევად ორ ფაქტორს მიიჩნევს – პირველი, ჩეჩნეთში ბრძოლების გამწვავებას, რომელსაც მოსკოვი ჩეჩნებსა და "საერთაშორისო ტერორისტებს" აბრალებს და, მეორე, მოსკოვის გათვლას, რომ ერაყთან ომის წინა ეტაპზე ვაშინგტონი რუსეთის ნებისმიერ ქმედებას მოითმენს.

ეს თვალსაზრისი სოკორმა უფრო განავითარა ამას წინათ "უოლ-სტრიტ ჯორნელში" გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელშიც დაუშვა იმის შესაძლებლობა, რომ რუსეთი, ერაყთან ომში ამერიკის დახმარების სანაცვლოდ, პანკისის ხეობაში თავისუფალი მოქმედების უფლებას მოითხოვს.

სოკორი ყურადღებას ამახვილებს ოთხ შემთხვევაზე, როდესაც რუსეთმა პოლიტიკური იერიში მიიტანა საქართველოს წინააღმდეგ – 29 ივლისს რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა განაცხადა, რომ ვერ ხედავს პანკისის პრობლემის გადაწყვეტას, რუსეთის სამხედრო ჩარევის გარეშე; 31 ივლისს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა ამერიკის სახელმწიფო მდივან კოლინ პაეულთან საუბარში პანკისის ხეობიდან "ტერორისტთა შეტევები" მოიხსენია და ისინი პაკისტან-ინდოეთის საზღვარზე მიმდინარე მოვლენებს შეადარა; 1 აგვისტოს რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალმა გიორგი შპაკმა განაცხადა, რომ რუსეთის ავიაცია მზად იყო პანკისში სპეცოპერაციის ჩასატარებლად; ხოლო რუსეთის ფედერაციის საბჭოს საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ მიხაილ მარგელოვმა თქვა, რომ რუსეთის სენატი მზად იყო, თანხმობა მიეცა ამგვარ სპეცოპერაციაზე, თუ პრეზიდენტი ამას მოითხოვდა.

სოკორს იგივე დასკვნა გამოაქვს, რაც ბარანს – პანკისის პრობლემა ჩეჩნეთის ომის მიზეზი კი არა, შედეგია. სოკორის აზრით, რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში მძიმე დარტყმას მიაყენებდა რუსეთ-ამერიკისა და რუსეთ-ნატო-ს თანამშრომლობას.

კავკასიის საქმეების გამოცდილი ექსპერტის, პოლ ჰენცის აზრით, რუსეთის ამბიციები აშკარად სცილდება ჩეჩნეთს და საქართველოზეც ვრცელდება. მისი აზრით, მოსკოვი მუდმივად ცდილობს ვითარების არევას საქართველოში. ჰენცი პანკისის პრობლემის გამწვავებას რუსეთის მხრიდან აფხაზი და ოსი სეპარატისტებისათვის გაწეულ დახმარებასა და პრეზიდენტ შევარდნაძეზე მოწყობილ ტერაქტებს ადარებს.

რუსეთის სტრატეგიული კვლევების ცენტრის ექსპერტი ანდრეი პიონტკოვსკი რადიო "თავისუფლებისათვის" მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ რუსეთის ლიდერებს წარმოდგენა არა აქვთ, თუ რაში მდგომარეობს რუსეთის სტრატეგია საქართველოს მიმართ.

პიონტკოვსკის აზრით, პანკისიდან ჩეჩნეთში საზღვრის გადაკვეთა შედარებით მცირე პრობლემაა, რომელსაც მოსკოვი უზომოდ აზვიადებს. "რუსი გენერლებისათვის და პოლიტიკოსებისათვის მოსახერხებელია, თავი მოიტყუონ, თითქოს პრობლემის არსი პანკისის ხეობაში თავშეფარებულ ტერორისტებში იყოს. სამხედრო თვალსაზრისით, ამგვარი საფრთხის შესაძლებლობა უზომოდ მცირეა... (ჩეჩენი მებრძოლები) დახმარების, საკვებისა და იარაღის უდიდეს ნაწილს დაღესტნისა და ინგუშეთის საზღვრიდან იღებენ," – ამბობს პიონტკოვსკი. მისი აზრით, მოსკოვს არ გააჩნია გამოკვეთილი პოლიტიკა საქართველოს მიმართ და მისი დაბნეულობა ჩეჩნეთის ომის დასრულების უუნარობითაა გამოწვეული. "ეს განსაკუთრებით პრეზიდენტ პუტინს ეხება, რომელიც. . . ჩეჩნეთის კამპანიის შედეგად აირჩიეს".

პიონტკოვსკის ეხმაურება მეორე რუსი ექსპერტი სერგეი კარაგანოვი. მისი აზრით, რუსეთს არ გააჩნია არანაირი გეგმა საქართველოს მიმართ – "ამგვარი გეგმა, ალბათ, არც შეიძლება არსებობდეს, რადგან ვითარება მეტისმეტად რთულია". ძნელია, არ დაეთანხმო კარაგანოვს.

# წინასაომარი პოლიტიკური სამკუთხედი - ამერიკა-ერაყი-რუსეთი

გიორგი ხელაშვილი

*შეერთებული შტატების წინასაომარი შემართება ბოლო დღეებში შესამჩნევად დაცხრა, რასაც ვაშინგტონის მოკავშირეებმაც შეუწყვეს ხელი. რუსეთის მხრიდან ამერიკისგან განდგომას და ერაყთან დაახლოებას ვაშინგტონში მწვავე რეაქცია მოჰყვა.*

შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა თავისებური ულტიმატუმი წაუყენა რუსეთს – მოსკოვი ან თავს დაანებებს ერაყთან დაახლოებას, ან დასავლურ ინვესტიციებს დაემშვიდობება. "ერაყთან ვაჭრობის გაფართოება რუსეთს მთელი მსოფლიოს თვალში ტერორისტული სახელმწიფოების მეგობრად გადააქცევს და საერთაშორისო ინვესტორებს დააფრთხობს," – განაცხადა რამსფელდმა.

ეს განცხადება მოჰყვა ცნობას, რომელიც კვირას გამჟღავნდა – რუსეთი და ერაყი 10-წლიანი კონტრაქტის ხელმოწერას აპირებენ, რომელიც ერაყის ნავთობის სექტორის განვითარებას შეეხება და 40 მილიარდი ამერიკული დოლარის სამუშაოებს მოიცავს.

რამსფელდის განცხადება, რასაკვირველია, ამ მომავალ კონტრაქტზე ამერიკელების ოფიციალურ რეაქციას წარმოადგენდა, მით უმეტეს, რომ ამ "ულტიმატუმმა" პრეზიდენტ ბუშის ტეხასურ რანჩოში ამერიკის პოლიტიკის მთავარი ავტორების შეხვედრის შემდეგ გაიჟღერა. ამ შეხვედრას, პრეზიდენტთან ერთად, ესწრებოდნენ თავდაცვის მინისტრი რამსფელდი, უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველი კონდოლიზა რაისი და სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი.

ტეხასის რანჩოში ძირითადი ყურადღება, რა თქმა უნდა, ერაყთან მომავალ ომს დაეთმო, თუმცა, გენერალ ტომი ფრენკსის რანჩოში არყოფნა მოწმობს, რომ უშუალოდ სამხედრო ოპერაციის დეტალები ჯერ არ განხილულა. ამერიკის ადმინისტრაციას ახლა უცხოელ მოკავშირეებთან ურთიერთობების გარკვევა და ამერიკელების საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერა უფრო სჭირდება, ვიდრე ერაყის წინააღმდეგ იარაღის ჟღარუნი.

ჯორჯ ბუშის ერთ-ერთმა უახლოესმა მრჩეველმა რიჩარდ პერლმა ყველაზე კარგად გამოხატა ვითარების სირთულე ვაშინგტონისათვის: "რაც უფრო დიდხანს წარმართავ დებატებს, ხოლო შემდეგ თვეების განმავლობაში არანაირ ზომებს არ იღებ, მით უფრო მეტი ფასის გადახდა გიხდება".

საგარეო და შიდა მხარდაჭერის მხრივ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციას ყველაფერი რიგზე რომ არა აქვს, ეს ბოლო ხანს სულ უფრო აშკარა ხდება. ერაყის ომის წინააღმდეგ გამოვიდნენ ყოფილი რესპუბლიკელი მოღვაწეები - კისინჯერი და იგლბერგერი. საფუძვლიანი საბაბის გარეშე ომის დაწყების წინააღმდეგ გადაჭრით გაილაშქრა გერმანიის კანცლერმა შრედერმა და ერაყის წინააღმდეგ ომს "ავანტიურა" უწოდა; საფრანგეთმა თავიდანვე ორჭოფული პოზიცია დაიკავა; არაბული სამყარო ერაყთან ომის წინააღმდეგ თავიდანვე იყო განწყობილი; ხოლო თურქეთის მმართველი ელიტა ვითარების გამწვავების წინააღმდეგია, რათა, ეკონომიკური სიძნელეების ფონზე, სტაბილურობა შეინარჩუნოს. ვაშინგტონს უკანასკნელმა ყველაზე ერთგულმა მოკავშირემ, დიდმა ბრიტანეთმა "უღალატა", როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეკ სტრომ განაცხადა, რომ ერაყთან ომის თავიდან აცილება იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ბაღდადი გაერო-ს შეიარაღების ინსპექტორებს საეჭვო ობიექტებზე დაუშვებს. ევროპელი ლიდერების მხრიდან ერაყის ოპერაციის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება შეიძლება იმით აიხსნას, რომ მათ არ იციან, თუ ზუსტად რას გულისხმობს პრეზიდენტი ბუში, როდესაც ერაყთან ომზე საუბრობს.

შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკურ სიძნელეებს სერიოზული დარტყმა მიაყენა რუსეთმაც. მოსკოვი, რომელიც 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ ანტიტერორისტულ ომში ამერიკის ერთგულ მოკავშირედ იქცა და ერაყს ზურგი შეაქცია, ახლა კვლავ ძველ თამაშს უბრუნდება. კვირას გამოცხადებული ერაყული ნავთობის კონტრაქტის გარდა, რუსეთმა "ბოროტების ღერძის" კიდევ ერთ სახელმწიფოსთან გააღრმავა ურთიერთობა – პრეზიდენტი პუტინი ამ დღეებში საზეიმოდ შეხვდა ჩრდილოეთ კორეის ლიდერს კიმ ჩენ ირს და ეკონომიკურ პროექტებში თანამშრომლობაც აღუთქვა.

რუსეთის ამგვარ ქცევას არ შეიძლებოდა, არ გაეღიზიანებინა ვაშინგტონი და რეაქციამაც აღარ დააყოვნა – თავდაცვის მინისტრ რამსფელდის განცხადება, ალბათ, ყველაზე მკვეთრია მათ შორის, რომლის მოსმენაც რუსეთს 11 სექტემბრის შემდეგ მოუხდა.

რა მიზანს ისახავდა რუსეთი ერაყთან კონტრაქტის გამომზეურებით? ხომ არ აპირებს პუტინის "პრაგმატული" ადმინისტრაცია, რაც შეიძლება, მეტი ხეირი ნახოს ამერიკისა და ერაყის დაპირისპირებისაგან და ამ მიზნით ხომ არ ცდილობს, რაც შეიძლება, ძვირი დაუსვას ამერიკელებს თავისი მოკავშირეობა სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ? მეტიც, ხომ არ შეიძლება სწორედ ერაყთან მოსალოდნელ ომსა და ამერიკელებთან "სავაჭრო-პოლიტიკურ" გარიგებებს დავუკავშიროთ რუსეთის შესამჩნევი გააქტიურება კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში?

იმისდა მიუხედავად, ეთანხმება თუ არა რუსეთის პოლიტიკა ამ ლოგიკას, უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით მოსკოვის პოლიტიკური გათვლები წარუმატებელი აღმოჩნდა. რამსფელდის განცხადებამ ნაწილობრივ მაინც აშკარა გახადა, რომ ვაშინგტონი რუსეთთან მოკავშირეობისთვის იმაზე მეტის გადახდას არ აპირებს, ვიდრე რუსეთის მოკავშირეობა რეალურად ღირს.

რამსფელდის ახლანდელი განცხადება ძალიან წააგავს მის რიტორიკას რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების გაუქმების წინ, როდესაც ვაშინგტონს ამ ხელშეკრულების გასაუქმებლად მოსკოვის დაყოლიება დასჭირდა. მაშინაც, როგორც ახლა, რამსფელდმა სწორედ ეკონომიკისა და ინვესტიციების საკითხი წამოჭრა და მათი გავლენა ოსტატურად დაუკავშირა რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების პრობლემებს. მაშინ რამსფელდის არგუმენტებმა კარგად გაჭრა და რუსეთი დიდი ხმაურის გარეშე შეურიგდა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების გაუქმებას. მოჰყვება თუ არა მსგავსი შედეგი რამსფელდის მორიგ განცხადებას, დრო გვიჩვენებს, მაგრამ მოსკოვის მხრიდან რეაქციის პირველი ნიშნები უკვე გამოჩნდა – რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან უკვე გაისმა ხმები იმის თაობაზე, რომ ერაყთან ხელშეკრულების ვადები "ჯერ განსაზღვრული არაა". ანალიტიკური სააგენტო "სტრატფორის" მიერ მოპოვებული კონფიდენციალური ცნობების მიხედვით კი, 40-მილიარდიანი კონტრაქტის მოცულობა მეტისმეტად გაზვიადებულია და სინამდვილეში გაცილებით უფრო მცირე კონტრაქტთან გვაქვს საქმე.

რამსფელდის განცხადების დასკვნითი ნაწილი მოსკოვს საკმაო შანსს უტოვებს პოზიციის შეცვლისათვის: "მრჩება შთაბეჭდილება, რომ რუსეთის მთავრობა მოცემულ ეტაპზე საკმარისად პრაგმატულია და რომ მისი ინტერესი შეერთებული შტატების მიმართ უფრო ძლიერია, ვიდრე ერაყის მიმართ". ვნახოთ, გამოიყენებს მოსკოვი მიცემულ შანსს თუ რისკიან პოლიტიკურ თამაშში ჩაერთვება.

სატელევიზიო რეკლამების კვლევა და მონიტორინგი

ჯორჯიან რისარჩი

ჯორჯიან რისარჩი სატელევიზიო რეკლამების მონიტორინგს აწარმოებს 1997 წლის მაისიდან. [illegible]

[illegible]

ჩვენი ტელეფონებია: 25-35-48; (899) 51-19-94

## "შტამპიანა" ხორცმა 38 თიანეთელი მოწამლა

თამარ მაისურაძე

თიანეთის რაიონის ახალგაზრდებს ხინკლის ჭამა ძვირად დაუჯდათ. გავრცელებული ინფორმაციით, ამ რაიონში მცხოვრები 38 ადამიანი საქონლის ხორცით მოიწამლა. მოწამლულთა დიდი ნაწილი თიანეთელი ახალგაზრდებია, რომლებიც სკოლის დამთავრების შემდეგ, გამოსაშვებ საღამოს აღნიშნავდნენ. როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი პაატა იმნაძემ შეგვატყობინა, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა დღეს უკვე საგანგაშო აღარ არის. "რაიონში ჩავიტანეთ ნიმუშები, ჩავიყვანეთ ექიმები, ამდენად, ავადმყოფებს საავადმყოფოდან რამდენიმე დღეში გაწერენ. რაც შეეხება საქონლის ხორცს, მიმდინარეობს ლაბორატორიული კვლევა. ამ პროცესში ჩართულია მცხეთის რაიონის სანიტარული ინსპექცია," - გვითხრა პაატა იმნაძემ.

ამ ფაქტთან დაკავშირებით თიანეთის რაიონის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. როგორც მცხეთა-თიანეთის რაიონის პროკურორისგან ელეუზა საბაურისგან შევიტყვეთ, "ხორცს ექსპერტიზა უტარდება. იმ შემთხვევაში თუ გაფუჭებული ხორცი შეუმოწმებლად მოხვდა ბაზარში, მაშინ ბაზრის ხელმძღვანელობის პასუხისგებაში მიცემა გარდაუვალია." პაატა იმნაძე კი აცხადებს, რომ საქონლის ხორცს "შტამპი" ერტყა, ე.ი. ხორცი ბაზრის ლაბორატორიაში იყო შემოწმებული.

## ევროკომისია ჯანმრთელობისთვის საშიშ კოსმეტიკას ასახელებს

მაკა ჭაიანი

*ევროპა შეშფოთებულია. პოპულარული გამარეცხი კრემები, ლოსიონები და შამპუნები კანის დაავადებებს - ალერგიას, გამონაყარისა და ქავილის მიზეზი გახდა. ამის შესახებ ინფორმაცია პოპულარულმა გაზეთმა "The Times"-მა გაავრცელა.*

ევროკომისიის ექსპერტებმა აღმოაჩინეს ნივთიერება "მეთილდიბრომოგლუტარონიტრილი", რომელიც კანის დაავადებებს იწვევს. იგი სოკოს და სხვა ბაქტერიების ზრდის შესაჩერებლად გამოიყენება, მაგრამ ექსპერტების მოსაზრებით, ეს კონსერვანტი ძალზე მავნეა. მათი აზრით, ამ ნივთიერებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას არა მარტო მათ, ვინც ეგზემით იტანჯება, არამედ იმ ადამიანებსაც, ვისაც ჯანმრთელი კანი აქვს.

**"ეს ნივთიერება იწვევს სიწითლესა და გაღიზიანებას, განსაკუთრებით სახეზე, ყელსა და ხელებზე - იმ ადგილებში, სადაც კოსმეტიკური საშუალებები ყველაზე ხშირად გამოიყენება. მასზე ალერგია ეპიდემიას ჰგავს. ჩვენი რეკომენდაციით, მისი გამოყენება იქამდე უნდა აიკრძალოს, ვიდრე ნივთიერების უსაფრთხო დოზა არ დადგინდება,"** - ამბობს ლონდონის წმინდა თომას საავადმყოფოს დერმატოლოგ-კონსულტანტი, კოსმეტიკისა და არასაკვებო პროდუქტების სამეცნიერო კომისიის თავმჯდომარე, დოქტორი **იენ უაიტი**.

მეთილდიბრომოგლუტარონიტრილს შეიცავს კომპანიების: Boots-ის, Nivea-სა და Pantene-ს პროდუქცია. კერძოდ: გამარეცხი კრემი Boots Soltan, სახის ნიღაბი Boots Natural Collection Tea Tree, ხელის კრემი Boots Walnut Resemary Lemon, ბალზამ-კონდიციონერი No 7 Pre-Holiday, ტანის ბალზამი Ted Baker, ანტიბაქტერიული საპონი Cussons Carex, გელი Nivea Visage, სახის დამარბილებელი კრემი მამაკაცებისთვის Nivea for Men Double Action, Pantene Pro-V-ის ზოგიერთი შამპუნი და კონდიციონერი, აბაზანის ზოგიერთი გელი და ქაფი.

მეცნიერები საზოგადოების ყურადღებას იმ ფაქტზეც ამახვილებენ, რომ კანის ალერგიებს დღეს ხუთჯერ მეტი ადამიანი უჩივის, ვიდრე ათი წლის წინათ. 1991 წელს, მეთილდიბრომოგლუტარონიტრილზე ეგზემით დაავადებულების მხოლოდ 0,7 პროცენტი რეაგირებდა. 2000 წლისთვის კი მათი რაოდენობა 3,5 პროცენტამდე გაიზარდა, რაც ექსპერტთა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს.

მათ შეშფოთებას ისიც აძლიერებს, რომ კოსმეტიკური საშუალებების მწარმოებლები ამ საკითხს სერიოზულად არ ეკიდებიან. **"ჩვენ ამის თაობაზე კომპანიებს ერთი წლის წინათ გავაფრთხილეთ, მაგრამ არაფერი გააკეთეს,"** - აცხადებს იენ უაიტი. თავის მხრივ, კომპანიები აცხადებენ, რომ საკუთარი პროდუქციისა და მისი შემადგენლობის უსაფრთხოებას მუდმივად აკონტროლებენ. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო წრეებში მეთილდიბრომოგლუტარონიტრილის გამოყენებაზე ალაპარაკდნენ.

ევროკომისიამ რეკომენდაცია დაუგზავნა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს. იგი ყველას მოუწოდებს, შეზღუდონ ამ კონსერვანტის გამოყენება. მისი მაქსიმალურად დასაშვები რაოდენობა გამოიყენონ მხოლოდ იმ პროდუქციაში, რომელიც ტანიდან სწრაფად ჩამოირეცხება, მაგალითად, შამპუნებში და, საერთოდ, კრემებში მისი გამოყენება იქამდე უნდა აკრძალონ, ვიდრე მიზანმიმართული კვლევები ყველა კითხვას არ გასცემს პასუხს.

# 1000-დოლარიანი გრანტი 210 სკოლას

ეკატერინე ბახუტაშვილი

განათლების მინისტრის მოადგილეების რუსუდან გორგილაძისა და თამაზ ტატიშვილის, ასევე სამინისტროს სხვა წარმომადგენელთა პრესკონფერენციის ძირითადი თემა საშუალო განათლების სისტემის სამომავლო განვითარება და "საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი" იყო.

მსოფლიო ბანკის ზემოთ აღნიშნული პროექტის ფარგლებში, რომელიც საშუალო განათლების სისტემისთვის 12 წლის განმავლობაში 60 მლნ დოლარის კრედიტს ითვალისწინებს, უკვე 25,9 მლნ დოლარია გამოყოფილი. იგი ექვსი ძირითადი კომპონენტისგან შედგება და ითვალისწინებს ახალი ეროვნული კურიკულუმის (ანუ მიმართულების), ასევე შეფასებისა და გამოცდების ახალი მოდელების შექმნას და დანერგვას. გარდა ამისა, განათლების მუშაკთა პროფესიულ განვითარებას, სახელმძღვანელოებითა და დამხმარე სასკოლო მასალებით სკოლების უზრუნველყოფას, განათლების სისტემის მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნას და განათლების პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებას. როგორც თბილისის განათლბის განყოფილების გამგემ, ედიშერ მაჩაიძემ განაცხადა ბიუჯეტიდან თანხა გათვალისწინებულია 27 სკოლისათვის და მიმდინარეობს მათი აღდგენის პროცესი.

რუსუდან გორგილაძის თქმით, განათლების მუშაკთა პროფესიული განვითარების კომპონენტის ფარგლებში უკვე მომზადდა 100 მწვრთნელი, რომლებმაც, თავის მხრივ, ორდღიანი წვრთნები ჩაუტარეს საქართველოს სხვადასხვა კუთხის მასწავლებლებს. მწვრთნელებმა პედაგოგებს ახალი სასკოლო რეფორმა და სკოლების საგრანტო პროგრამა გააცნეს. ამ პროგრამით თითოეული რაიონიდან სამ სკოლას ექნება შანსი, მოიპოვოს 1000 დოლარის ოდენობის გრანტი. მიმდინარე წელს ასეთი 210 სკოლა იქნება. სასკოლო გრანტების გაცემის პროგრამა სამი წლის განმავლობაში გაგრძელდება და 840 სკოლას მოიცავს. გრანტის მიმღები ყველა დაწესებულება ჩაერთვება ერთიან სასკოლო ქსელში და ხელს შეუწყობს პედაგოგთა გადამზადებას. საგრანტო პროგრამაში გამარჯვებული სკოლები 26 აგვისტოს გამოვლინდებიან.



*რუსუდან გორგილაძე და ედიშერ მაჩაიძე*

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

მიმდინარე სასწავლო წელს კიდევ ერთი სიახლე იქნება. "საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის" ფარგლებში ოქტომბერში საგამოფენო კომპლექსი "ექსპოჯორჯია" სასწავლო თვალსაჩინოებების გამოფენას უმასპინძლებს. გორგილაძის განცხადებით, ექსპოზიციის დასათვალიერებლად და სასურველი თვალსაჩინოების შესარჩევად სამინისტრო ყველა სკოლიდან 2 წარმომადგენელს იწვევს. მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, თითოეული სკოლა 200-1500 დოლარამდე თანხას მიიღებს და გაღარიბებულ "არსენალს" შეავსებს.

საუბრისას გორგილაძე შეეხო სახელმძღვანელოთა გაქირავების სისტემას, რომელიც გასულ წელს, ექსპერიმენტის სახით, 33 სკოლაში დაინერგა. თითოეულ წელს სახელმძღვანელოს ქირაობისთვის მშობელი წიგნის ღირებულების 25 პროცენტს იხდის. სახელმძღვანელოები 4 წლის განმავლობაში სასკოლო ბიბლიოთეკებში რჩება, შემდეგ კი ისევ ახლით იცვლება. გორგილაძის თქმით, ეს პროცესი მოსწავლეებში სამოქალაქო აღზრდის განვითარებასაც შეუწყობს ხელს. სახელმძღვანელოთა გაქირავებიდან მიღებული თანხა სპეცანგარიშზე აკუმულირდება და მხოლოდ მათ ხელახალ გამოცემას მოხმარდება. გასულ წელს ასეთი 34873 სახელმძღვანელო დაიბეჭდა. სახელმძღვანელოების გაქირავებიდან ამოღებულმა თანხამ 100 პროცენტი შეადგინა. წლეულს ასეთი წიგნების დაბეჭდვა გათვალისწინებული არ არის.

## როდემდე იქნება ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი მოსკოვი?!

ნესტან ცეცხლაძე

ბათუმი

ბათუმში რვა რუსული სკოლა იყო. რუსულენოვანი მოსახლეობის მიგრაციის გამო, მხოლოდ ორი დარჩა. დანარჩენი ექვსი ქართულ-რუსულად გადაკეთდა. მოსწავლეთა სიმცირის გამო (58) გაუქმებას ჯერჯერობით მხოლოდ მახინჯაურის რუსული სკოლა ექვემდებარება. რუსული სკოლებია ქობულეთსა და ჩაქვშიც.

იმის გამო, რომ საქართველოში რუსულენოვანი სკოლებისათვის წიგნები პრაქტიკულად არ იბეჭდება, ისინი საკმაოდ მძიმე დღეში არიან. როგორც სკოლებში აღნიშნავენ, ქართული სახელმძღვანელოების პრობლემა არა აქვთ, მხოლოდ მათ სიძვირეს უსვამენ ხაზს. რაც შეეხება რუსულ სახელმძღვანელოებს, ისინი რუსეთიდან შემოდის და საკმაოდ ძვირი ღირს. როგორც ამბობენ, ტრანსპორტირების ხარჯების გამო. "ლუჟკოვი რომ არ გვყავდეს, წასულია ჩვენი საქმე", - ამბობს მოსკოვის მერის შესახებ ერთ-ერთი რუსული სკოლის დირექტორი. ასლან აბაშიძესთან კარგი ურთიერთობის და ქართულ – რუსული ურთიერთობების საზოგადოების (ხელმძღვანელი ბათუმის ვიცე-მერი კობა გრიგორიევი) წყალობით მოსკოვის მერია, უკვე რამდენიმე წელია, აჭარის რუსულ სკოლებს სახელმძღვანელოებს საჩუქრად უგზავნის. შარშან გამოგზავნილი წიგნების ნაწილი ბაზრობაზეც მოხვდა და ზოგიერთი სკოლა "საჩუქრის" გარეშე დარჩა. "გაუგებრობის" თავიდან ასაცილებლად ქართულ-რუსული ურთიერთობების საზოგადოებამ წიგნები საჯარო ბიბლიოთეკას გადასცა, საიდანაც სკოლები უნდა მომარაგებულიყვნენ.

რა იქნება წელს, ძნელი სათქმელია, ყოველ შემთხვევაში მოსკოვის მერიამ მორიგი საჩუქარი უკვე გამოაგზავნა. "ისე ჩვენი რუსული სკოლები რუსეთის დედაქალაქიდან გამოგზავნილი წიგნების მხოლოდ ნაწილით სარგებლობენ, რადგან ბევრი მათგანი ექსპერიმენტულია და ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო სტანდარტებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. "მშობლიური ენა და ლიტერატურა" საქართველოს რუსული სკოლებისათვის არ არსებობს, ამიტომ იძულებული ვართ დაწყებით კლასებშიც კი რუსეთის სახელმძღვანელოებით ვისარგებლოთ. სადაც, მაგალითად, ჩვენი ქვეყნის დედაქალაქია მოსკოვი, ან კიდევ ჩვენი სამშობლო "კალუჟსკი კრაი", - ამბობს რუსული სკოლის დირექტორი და დასძენს, რომ თუ საქართველომ რუსული სკოლებისთვის წიგნები არ გამოუშვა, შეიძლება ამან საბოოლოდ ძალიან მძიმე შედეგები გამოიღოს.

*თვალსაზრისი*

# სასექტემბრო მკვახე შეძახილი

გია მურღულია

სულ მალე ახალი სასწავლო წელი დაიწყება.

მოდით, ვიკითხოთ: საქართველოში ეს წინადადება ნიშნავს რაიმეს?

პრაქტიკულად - ბევრს არაფერს.

მერე რა, თუ დაიწყება?! განა ჩვენს სახელმწიფოს ან საზოგადოებას რამენაირად ანაღვლებს ის სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმე, რაც ჩვენში მხოლოდ ერთეულთა (რომელიმე ცალკე აღებული კარგი სკოლის, კარგი დირექტორის ან კარგი მასწავლებლის) საკეთებელი აღმოჩნდა?!

როგორც ჩანს, ქართველები ისე შეგვჭამა დამქანცველმა და ამღვრეულმა აწმყომ, რომ მომავალზე ფიქრისთვის ველარ ვიცლით...

შარშანაც დაიწყო ეს მავანისთვის აბეზარი სასწავლო წელი, მაგრამნაადრევად მოუწია წასვლა - მიწისძვრა ნანატრ მხსნელად მოევლინა განათლების სისტემის ხელმძღვანელ გვამებს. ცხადია, დაზიანებულ სკოლებში სასწავლო პროცესი ვერ გაგრძელდებოდა, მაგრამ საკუთარი მოვალეობების "შემსუბუქების" მიზნით, ყველა სხვა სკოლაშიც შეწყვიტეს სწავლება!

საზოგადოდ, საგანმანათლებლო პროცესის შესაჩერებლად ჩვენს ქვეყანაში ნებისმიერი მიზეზი კარგია:

ხან ძალიან ცივა, ჩვენ კი სკოლებს ვერ ვათბობთ, ე.ი. ზამთარში სწავლა ჯანმრთელობისთვის დიდად საზიანოა (პირდაპირ სკოლების ფასადებზე ხომ არ გამოგვეკრა ჯანდაცვის სამინისტროს განცხადება?!), ხან ძალიან ცხელა და, როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის გამოცდილება გვიჩვენებს, კონდიციონერების გარეშე სწავლა კი არა, ბიულეტენების გადათვლაც კი არ შეიძლება.

ხან წყალი არა გვაქვს.

ხან პედაგოგებს ხელფასს არ აძლევენ.

ხან კიდევ ვიღაცას ჭკუა არ ჰყოფნის.

და ვართ ასე.

გამოსავალი ყოველთვის მოსაწყენად ერთი და იგივეა - შევწყვიტოთ სწავლება და ყველაფერი თავისით მოგვარდება; სწავლის შეჩერება ყველაზე ნაკლებ ბოროტებად ესახებათ.

არავინ კითხულობს, რას ვშვრებით ამას, რას ვაკეთებთ, ჩვენს შვილებს რა პასუხს ვცემთო? შვილებისა და ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობა ხელისუფლების თვალსაწიერში ბოლო ადგილზე დგას.

"განათლების შესახებ" საქართველოს კანონი აცხადებს განათლების სფეროს პრიორიტეტულობას და ამ საფუძველზე სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის განხორციელების აუცილებლობას.

არც ეს პრიოტეტი ჩანს სადმე და აღარც საგანმანათლებლო პოლიტიკა.

წლები წლებს მისდევს "სარეფორმო ლაყბობაში". თაობები თაობებს ცვლიან. მარტო ჩვენ განათლების სისტემაში არ იცვლება არაფერი, უფრო სწორად კი - ერთი არაფერი მეორე არაფრით იცვლება!

სრული განცდა გვეუფლება იმისა, რომ ამ საქმისა ჩვენმა ხელისუფლებამ პრინციპულად და საბოლოოდ არაფერი იცის და ასევე პრინციპულად და საბოლოოდ არც ენაღვლება.

მთავრობისა და პარლამენტის სხდომებზე ისე "იხილავენ" და "ამტკიცებენ" საარაკო უვიცობით შექმნილ-შედგენილ "განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების" პროგრამას, რომ, ერთი-ორი კაცის გარდა, არც კითხულობენ მას!

თანაც, ეს "უკეთესი შემთხვევაა", რადგან, თუ მართლა კითხულობენ და მაინც ამტკიცებენ, ამას, სულ მცირე, "სახელმწიფოს ღალატის" კვალიფიკაცია უნდა მიეცეს.

განათლების სისტემაში კადრების შერჩევის (დაწყებული ყველაზე ზედა რგოლებიდან) მთავარი პრინციპებია: არაკომპეტენტურობა, უპასუხისმგებლობა, ხოლო თავხედობა და ცინიზმი - გემოვნების მიხედვით (მცირე გამონაკლისი სახსენებელიც კი არ არის).

შეფასების მთავარი კრიტერიუმია არაფრისმთქმელი სიტყვების მიეთ-მოეთი და არა რეალურად შესრულებული საქმის პოზიტიური შედეგი.

მაინც, როგორი შედეგები გვაქვს?

როგორი და, ტრაგიკული.

სკოლების მატერიალური, ტექნიკური და ფინანსური ბაზა - სავალალოდ მწირი;

პედაგოგთა შრომის ანაზღაურება - დამამცირებელი;

მასწავლებელთა პროფესიული კვალიფიკაცია - არცთუ იშვიათად შემაშფოთებელი;

მოსწავლეთა ცოდნის დონე - საშუალოზე დაბალი;

საგანმანათლებლო მოტივაცია - პრაქტიკულად არარსებული;

მართვა - არადემოკრატიული, ხოლო კორუფციის დონე - მაღალი;

"განათლების შესახებ" კანონი დანაშაულებრივად არ სრულდება;

განათლების რეფორმის პროგრამა მარტო მის შემდგენლებს მოსწონთ, სინამდვილეში კი უსუსური, უწიგნური, ცუდი ქართულით დაწერილი უპერსპექტივო დოკუმენტია.

ყველაფერ ამას "გარდაუვალი აუცილებლობით" ახლავს ის, რომ განათლების სამინისტროს ავტორიტეტი საზოგადოებისა და პედაგოგთა თვალში ნულის ნიშნულზე დაბლა დგას.

ხალხს, მასმედიას, ანტიკორუფციული საბჭოს წევრებსა და კონტროლის პალატას (მოკლედ, ყველას, ხელისუფლების გარდა) უკვირთ:

როდის მოასწრო ჩვენმა საგანმანათლებლო "ელიტამ" გამომშვიდობება პროფესიონალიზმთან და ზნეობასთან, ასე შორს რომ წასულა მათგან?!

თუმცა, როდესაც კონტროლის პალატის უმწვავესი შეფასებები და კატეგორიული მოთხოვნებიც კი ხელისუფლებისგან დამცინავად და უარყოფილია, რაღაზე უნდა ვილაპარაკოთ?

სკოლას სახელმწიფო პრაქტიკულად აღარაფერს აძლევს და აიძულებს არსებობის უკანონო გზები ეძიოს, ხოლო რაც კანონითაც დაშვებულია, იმას ბიუროკრატიული აპარატის საშუალებით უკრძალავს!

სამინისტროს ხელმძღვანელობამ უკანასკნელ წლებში მართვის დეკლარირებული დემოკრატიული სისტემის ნაცვლად "ფიქრის გაერთმნიშვნელიანებისა" და "მონური მორჩილების" სინდრომი დანერგა.

განათლების სისტემას საერთო მიზანი არ აერთიანებს და ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ პედაგოგმა ადამიანური და პროფესიული ღირსება დაკარგოს!

ჩვენდა სამარცხვინოდ და საზიანოდ, ყველაფერი ეს უკვე მიზანმიმართულ სახელმწიფო "საგანმანათლებლო" პოლიტიკად აღიქმება.

ჩვენი ხელისუფლება ან ვერ ხედავს განათლების სფეროში მიმდინარე პროცესების უკიდურესად ცუდ შედეგებსა და ტენდენციებს, ან ხედავს და არაფერს აკეთებს საქმის გამოსასწორებლად, ანაც თავად წარმართავს ამ პროცესებს სხვების დაკვეთითა თუ საკუთარი ინიციატივით.

სამივე ეს შემთხვევა ქართული საზოგადოების ტრაგედიაა!

ბოლო წლებში ჩვენს მასწავლებლებს გაუგონარი თვალთმაქცობითა და წამიერ-მოჩვენებითი პირფერობით "გმირებს" უწოდებენ.

რა არის, ბატონებო, "გმირობა" - უღირსი მოქალაქეობრივი და პროფესიული ცხოვრება?!

განა პიროვნებებს მხოლოდ პიროვნებები არ აღზრდიან? რა მაგალითი უნდა უჩვენოს ჩვენს ახალგაზრდობას დათრგუნულ-შეურაცხყოფილმა მასწავლებლობამ?!

არ შეიძლება მოსწავლეს აღაფრთოვანებდეს ის ადამიანი, რომელსაც სახელმწიფო ღიად ან დაუფარავად დასცინის!

არც ერთი ბავშვი არასდროს მიბაძავს ასეთ ვითარებაში ჩაყენებულ მოძღვარს.

აბა, ჰკითხეთ ჩვენს მოსწავლეებს, რამდენ მათგანს სურს მასწავლებლობა?

ასეთები პრაქტიკულად არ არიან - ეს პროფესია არავის ეოცნებება, იმიტომ, რომ ის არაფრით უკავშირდება ღირსებას, კეთილდღეობასა და სახელმწიფოებრივ თუ საზოგადოებრივ დაფასებას.

ჩვენმა ქვეყანამ წლების განმავლობაში "მოახერხა" მასწავლებლობის თავად იდეის დაკნინება და გაუცხოება.

ეს საკუთრივ განათლებისა და განათლებული კაცის ცხოვრების წესის დისკრედიტაცია და ფაქტობრივი უარყოფაა!

როგორც ჩანს, საქართველოს ნაკლებად ან საერთოდ არ სჭირდება განათლება და განათლებული კაცი! - მე ვლაპარაკობ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მიდგომებზე და არა "ცალკეულ (თუნდაც - თვალსაჩინო) წარმატებებზე", რასაც ხშირად ფარად და "კონტრარგუმენტად" იყენებენ ხოლმე ოპონენტები.

რა გველის?

არავითარი ეჭვი არ არის, რომ "დავრდომილი" ბიუჯეტის პირობებში (რაც არაადეკვატური ხელისუფლების უნიათო "მოღვაწეობის" პირდაპირი შედეგია) კვლავ თვეობით დააგვიანდება პედაგოგთა ხელფასებს და თუკი ისინი "მორიდებული გაბრაზებით" თავიანთი მიზერული ანაზღაურების თუნდაც მცირე ნაწილს მოითხოვენ, მათ კვლავ "აუხსნიან", რომ ქვეყანას უჭირს და ცოტა კიდევ უნდა მოითმინონ.

აი, ასე, მარტივად და გასაგებად - ჩვენს ქვეყანაში წლების განმავლობაში ვერდაძლეული გაჭირვების გამო, ამავე გაჭირვების "შემოქმედი" და ვერმომრევი ხელისუფლების გარდა ყველამ უნდა მოითმინოს!

მაგრამ მთავარი ის არის, რომ დრო არ ითმენს!

ის, რომ ჩვენი ქვეყანა განათლების რეფორმისთვის ნასესხებ ფულს (60 მილიონ ამერიკულ დოლარს) პრაქტიკულად უშედეგოდ, ან - უარეს შემთხვევაში - სისტემის საზიანოდ "დახარჯავს", დღეს სრულიად ნათელი და აშკარაა (დამტკიცებული პროგრამა, რომლის რეალიზაცია უკვე დაწყებულია, პოზიტიურ შედეგს არც ერთ შემთხვევაში არ მოგვიტანს).

ამდენი ფულის დაკარგვა საქართველოსთვის დიდი "ფუფუნებაა", მეტიც - დანაშაულია, მაგრამ კიდევ უფრო მეტი დანაკარგია დრო, რომელიც ბოლო რამდენიმე წლის სახით უაზროდ, ფუჭად გაიფლანგა!

ეს დრო ჩვენი შვილების ცხოვრების წლებია და მისი დაკარგვა აუნაზღაურებელია.

არ შეიძლება ათეულ მილიონობით დოლარი სესხად აიღო მხოლოდ იმისთვის, რომ წყალი ნაყო, არ შეიძლება ქვეყანა ფულს იხდიდეს დროის გაფლანგვაში!

ბოლო დროს განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობა მასწავლებელთა საერთო რაოდენობის ლამის ნახევრის (ანუ, დაახლოებით, 30 ათასის) შემცირებაზე ალაპარაკდა, თანაც სრულიად გაუგებარ კონტექსტში:

ისინი თუ არ შევამცირეთ, სწავლების ხარისხს ვერ გავაუმჯობესებთო(?)

მსგავსი განცხადებები, ცხადია, ლოგიკას შეურაცხყოფს, მაგრამ ბოლო დროს იმდენი ალოგიკური "ღონისძიება" განხორციელდა, რომ ეჭვი აღარ რჩება, შემცირებაზეც დიდხანს არ იფიქრებენ.

ის, რაც დღეს განათლების სამინისტროსა და, მისი გაუაზრებელი მოქმედებიდან გამომდინარე, მთელ სისტემაში ხდება, პირდაპირ და პრინციპულად უნდა შეფასდეს, როგორც ქაოსი და ეროვნული სირცხვილი.

ამ საგანმანათლებლო ვაკხანალიაში ყველაზე მთავარი და არსებითი - განათლების ხარისხი - განზე გვრჩება, რაც ჩვენი არა მხოლოდ აწინდელი, არამედ სამომავლო ჩამორჩენილობისა და მსოფლიო მარგინალურ სივრცეში მოხვედრის შემაშფოთებელი წინაპირობაც არის.

ხელისუფლება საზოგადოებას ყოველთვის ისე ექცევა, როგორც ამას საზოგადოება იმსახურებს.

რას იმსახურებს ჩვენი საზოგადოება?

თუკი ამგვარი "საგანმანათლებლო ლუარსაბობა" და მასობრივი პასიურობა გააგრძელა - კარგს არაფერს!

საზოგადოებრივი მოთხოვნა და შესაბამისი კონტროლი განათლების განხრით მოუთმენლად დაბალ დონეზე დგას.

დიდ შეცდომას დაუშვებს საზოგადოება, თუკი იფიქრებს, რომ განათლების საკითხი თითოეულმა ოჯახმა თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ცალ-ცალკე უნდა გადაწყვიტოს.

ქვეყნის საგანმანათლებლო კულტურა ამგვარ "მიდგომას" სრულიადაც არ გულისხმობს. უფრო მეტიც - ასეთი "საგანმანათლებლო ინდივიდუალიზმი" ამ სფეროში არადემოკრატიულობის, არათანაბრობისა და არათანაბარზომიერი განვითარების პირდაპირი გარანტიაა.

საქართველოს ეს არ უნდა სურდეს.

ამიტომაც, ჩვენი საზოგადოების უპირველესი ამოცანაა, რომ ყველა კანონიერი საშუალებით მოითხოვოს სახელმწიფოსგან და, კერძოდ, განათლების სისტემისგანაც საკუთარი დაკვეთის უპირობო შესრულება, რისთვისაც შესაბამისი კონტროლიც უნდა განახორციელოს.

საზოგადოებისთვის სულერთი არ უნდა იყოს ის, რომ ტოტალურად ირღვევა "განათლების შესახებ" კანონი და პასუხი უნდა მოსთხოვოს დამნაშავეებს.

საზოგადოებისთვის სულერთი არ უნდა იყოს ის, რომ განათლების რეფორმის პროგრამას, რომელზეც ათეულ მილიონობით დოლარი იხარჯება, არაკომპეტენტური ხალხი ქმნიდეს და ახორციელებდეს;

საზოგადოებისთვის სულერთი არ უნდა იყოს ის, რომ წლების განმავლობაში, უაზრო "სარეფორმო ლაყბობის" ფონზე, საქართველოში ვერ იქმნებოდეს ახალი საგანმანათლებლო სტანდარტები და პროგრამები, შესაბამისი სახელმძღვანელოები, ინოვაციები და საგანმანათლებლო ტექნოლოგიები, ვერაფრით მკვიდრდებოდეს მასწავლებელთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების თანამედროვე სისტემა და დემოკრატიული მართვა.

თუ საზოგადოებამ თავისი პრინციპული პოზიცია არ გამოკვეთა და საკუთარი საგანმანათლებლო დაკვეთა არ ჩამოაყალიბა და დაიცვა, ჩვენ კიდევ დიდხანს ვერ გავთავისუფლდებით მარაზმისგან განათლების სისტემაში!

აუცილებლად უნდა მოხდეს განათლების სფეროში მიმდინარე პროცესების მკაცრი საზოგადოებრივი შეფასება. ამისათვის, ჩემი ფიქრით, აუცილებელია ჯერ საქართველოს ყველა რეგიონში ჩატარდეს საზოგადოებრივი ფორუმები, ხოლო შემდეგ - თბილისშიც, სადაც რეგიონული ფორუმების წარმომადგენლობა თავის პრინციპულ სიტყვას ყველას გასაგონად იტყვის.

ამ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საგანმანათლებლო დანიშნულებით შექმნილ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებმაც საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების, გამოხატვისა და დაცვის ფუნქცია უნდა იტვირთონ.

ჩვენ უკვე ვნახეთ, რა შედეგები მოაქვს უპასუხისმგებლო სახელმწიფო მოხელე-ფუნქციონერთა საზოგადოებისგან უკონტროლო "მოღვაწეობას".

დადგა დრო, რომ ეს მიუღებელი ვითარება რადიკალურად შეიცვალოს.

ეს დრო პატიოსან, კომპეტენტურ და სამოქალაქო გაბედულების მქონე ადამიანებს მოითხოვს!

საქართველოში ასეთი ადამიანები ნამდვილად არიან და თუკი ისინი არ გაერთიანდნენ და ენერგიულად არ ამოქმედდნენ, ჩვენს ქვეყანაში განათლების დარგის დანგრევის გამო მთავარი პასუხისმგებლობა სწორედ მათ დაეკისრებათ!

როდესაც შენ ჩუმდები, არ შეიძლება ყველაფერი სხვისი ბრალი იყოს.

# პროკურორ-გამომძიებელთა საეჭვო ლმობიერება

ინგა ალავიძე

გენერალურ პროკურატურაში გამართული კოლეგია თითქმის დასრულებული იყო, როდესაც პროკურორთა თავყრილობა, ფაქტობრივად, ჩაიშალა. კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ბადრი ბიწაძემ კოლეგიას რეზიუმე არ გაუკეთა: **"ამ კოლეგიის ჩატარების წინააღმდეგი თავიდანვე ვიყავი, პოზიცია კოლეგიის მიმდინარეობისას კიდევ უფრო გამიმყარდა. მე არ ვეთანხმები წარმოდგენილ ცნობა-პროექტს, ამიტომაც კოლეგიას ვწყვეტ, გადაწყვეტილება გენერალურმა პროკურორმა მიიღოს,"** – ყველასთვის მოულოდნელად ასე შეწყვიტა სხდომა გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ.

გუშინ პროკურატურაში გამართული გაფართოებული კოლეგია მძიმე დანაშაულში ბრალდებულების პატიმრობიდან საეჭვო ვითარებაში გათავისუფლების თემას მიეძღვნა.

როგორც აღმოჩნდა, პატიმართათვის აღმკვეთი ღონისძიების – პატიმრობის უკანონოდ შეცვლამ სისტემატური ხასიათი მიიღო. გენერალური პროკურატურის მოკვლევასა და გამოძიების კანონიერებაზე ზედამხედველი სამმართველოს უფროსი რამაზ ჟღენტი კანონის იგნორირებასა და ბრალდებულთა მიმართ გამოჩენილ საეჭვო ლმობიერებაში, მოსამართლეების გარდა, პროკურორებსა და გამომძიებლებს ადანაშაულებს.

კოლეგიაზე კანონის დამრღვევ პროკურორ-გამომძიებელთა დატუქსვა მაინც მოხერხდა. ერთადერთი პროკურატურა, რომელმაც ზემდგომ პროკურორთა დადებითი შეფასება დაიმსახურა, ისანი-სამგორის პროკურატურა გახლდათ.

რამაზ ჟღენტის ინფორმაციით, ბოლო 7 თვის მონაცემებით, გასულ წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად – 670 ერთეულით, გაიზარდა მძიმე დანაშაული. დღეისთვის ორთაჭალის ციხეში პატიმრობაში იმყოფება 1564 ბრალდებული. მათგან 311 ბრალდებულს პატიმრობა შეეცვალა პირობითი სასჯელით. საპატიმროს დაემშვიდობა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში მხილებული 240 ბრალდებული. აქედან 122 პროკურორისა და გამომძიებლის შუამდგომლობით გათავისუფლდა, დანარჩენი კი - ადვოკატის მოთხოვნით. სასამართლოში განსახილველად გაიგზავნა 218 ბრალდებულის საქმე. აქედან 27 შეწყდა, ხოლო 8 ბრალდებულის მიმართ საქმე შეჩერდა.



ირი ლობოდინის ფოტო

პროკურატურის კოლეგიის სხდომა

ზედამხედველი პროკურორის სტატისტიკური მონაცემებით, პატიმრობა შეეცვალათ ისეთ მძიმე დანაშაულებში ბრალდებულებს, როგორებიცაა: განზრახ მკვლელობა, განზრახ მკვლელობის მცდელობა, სხეულის დაზიანება, თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა, თაღლითობა, ყაჩაღობა, ძარცვა, ქურდობა, ნარკოდანაშაული.

პატიმრობის შეცვლაში წამყვანი ადგილი უკავიათ სამხედრო პროკურატურას, იმერეთისა და თბილისის სამართალდამცველ სტრუქტურებს. მძიმე კატეგორიის დანაშაულში ბრალდებული 240 პირიდან პატიმრობა 140-ს შეეცვალა პროკურატურაში, შსს-ში - 96-ს, ხოლო უშიშროების სამინისტროში - მხოლოდ 4 ბრალდებულს.

რამაზ ჟღენტის განცხადებით, მძიმე დანაშაულში ბრალდებულ პატიმართა "შეწყალებას" პროკურორები და გამომძიებლები უსაფუძვლოდ, კანონის უხეში დარღვევით, ზოგჯერ კურიოზული მოტივებითაც კი ითხოვენ.

- ჩასატარებელია დიდი მოცულობის საგამოძიებო მოქმედებები და შეუძლებელია მოწმეების საპყრობილეში ტარება...

- საპატიმრო ვადა არ იყო გაგრძელებული...

- დანაშაული მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე კატეგორიას...

- ბრალდებულმა პირობა დადო, რომ გამოძიებას არ დაემალება...

- ბრალდებული უდანაშაულოა – ეს ჩამონათვალი პროკურორ-გამომძიებელთა მიერ დაყენებული ის შუამდგომლობებია, რომლებიც მძიმე დანაშაულში ბრალდებულთა პატიმრობის შეცვლის საფუძველი გახდა.

"მე ადამიანის საპყრობილეში გამომწყვდევის მომხრე კი არ ვარ. უბრალოდ, ვამბობ, რომ არ შეიძლება, მძიმე დანაშაულში ბრალდებულს აღმკვეთი ღონისძიება – პატიმრობა შეუცვალო. ჩვენ ვიმუშავეთ და მივედით დასკვნამდე, რომ პატიმრობის შეცვლისას საგამოძიებო ორგანოებმა სერიოზული საპროცესო დარღვევები დაუშვეს, რასაც ასევე სერიოზული რეაგირება უნდა მოჰყვეს," - განაცხადა კოლეგიის მთავარმა მომხსენებელმა რამაზ ჟღენტმა.

რატომ უცვლიან მძიმე დანაშაულობებში ბრალდებულ პატიმრებს აღმკვეთ ღონისძიებას? – ამ კითხვით დაინტერესებულმა ზედამხედველმა პროკურორმა და მისმა სამმართველომ ერთი თვე იმუშავა, ფაქტები მოიკვლია, მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, იმის გამო, რომ კოლეგია ჩაიშალა, დასკვნა ვერ გაკეთდა.

კოლეგიაზე განხილულ ფაქტებს, უფრო ზუსტად, პროკურორ-გამომძიებელთა საქმიანობაში დაშვებულ ხარვეზებს შეფასებას გენერალური პროკურორი მოგვიანებით მისცემს, მით უმეტეს, რომ დასასჯელ კანონდამცველთა შავი სია უკვე შედგენილია.

# გატაცებული ოქროულობა პატრონებმა დაიბრუნეს

ხათუნა ჯანგირაშვილი

სამი დღის წინ, მცხეთის ხიდზე თექვსმეტსაათიანი მოლაპარაკების შემდეგ, სნაიპერის ტყვიით ლიკვიდირებული ოქროს ბირჟის დამყაჩაღებლის, გალელი ლუხუმ ჯახიას მიერ გატაცებული ოქროულობა, რომლის ღირებულებაც, დაახლოებით, 100 ათას ლარს უტოლდება, გუშინ ქალაქის პროკურატურაში დაზარალებულებს დაუბრუნეს. საკუთარი ნივთების ამოცნობის შემდეგ, მოწმეებისა და ახლობლების თანდასწრებით, ოქროს ბირჟიდან გატაცებული ნივთები პატრონებს დაუბრუნეს. სამართალდამცველების ხელში მქონე ნივთების სიმრავლისა და ასევე მათთან მყოფი დაზარალებულების სიმრავლის მიუხედავად, პრობლემა არ შექმნილა: ოქროს ბეჭდები, საათები, სამაჯურები, საყურეები და ძეწკვები, მათი იდენტურობის მიუხედავად, პატრონებმა ერთი შეხედვისთანავე იცნეს.

ამ ოპერაციის მშვიდად და უპრობლემოდ ჩატარებით კმაყოფილმა ქალაქის პროკურორმა თენგიზ მახარაძემ ჩვენთან საუბარში გაიხუმრა კიდეც, ზოგი თავის შვილს ვერ ცნობს ისე, როგორც აქ მოსულებმა იცნეს საკუთარი ოქროო. მისივე თქმით, ერთი გრამი ოქროც არ დაკარგულა.

დაყაჩაღებისა და თექვსმეტსაათიანი მძევლობის ისტორიაზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში, ჯერჯერობით, ახალი არაფერი გამოკვეთილა. გამოძიებამ იცის მხოლოდ ის, რომ ჯახიას ნაყაჩაღარი ზუგდიდში უნდა ჩაეტანა. ამას ადასტურებენ დაკითხული მძევლადყოფილები, რომელთა განმარტებებითაც, გამტაცებელს მათთვის უთქვამს - 20 ათასი დღეს ზუგდიდში უსიკვდილოდ უნდა ჩავიტანოო. ვისთვის და რისთვის სჭირდებოდა ჯახიას ეს თანხა, ჯერ კიდევ გაურკვეველია. სავარაუდოდ, ლუხუმ ჯახიას, რომლის ვინაობაც სამართალდამცველებმა მისი ლიკვიდაციის შემდეგ დაადგინეს, ეს თანხა შავი სამყაროს წარმომადგენლებთან ჰქონდა წაგებული. გამოძიებაც სწორედ ამ ვერსიაზე მუშაობს.

**"პოლიციის ოპერატიულ სამსახურებს დავავალეთ იმ პირების დადგენა, ვისთანაც გარდაცვლილს მიეჩქარებოდა. ამ კუთხით მიმდინარეობს ოპერატიული ღონისძიებები",** - გვითხრა თბილისის პროკურორმა.



ბესო გულაშვილის ფოტო

ნაძარცვი ოქრო

როგორც გაირკვა, ლუხუმ ჯახიასთან რამდენიმე წლის წინ უშუალო შეხება ჰქონია პარლამენტარ ელენე თევდორაძეს. მაშინ, იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებით, სასამართლოს ჯახიასთვის სამწლიანი პატიმრობა მიუსჯია.

**"რამდენადაც ვიცი, ლუხუმ ჯახიას საქმის გამოძიებამ და სასამართლომაც უკანონოდ ჩაიარა. საქმის მასალებიდან ჩანდა, რომ, სინამდვილეში, იარაღი მას პოლიციამ ჩაუდო, შემდეგ კი დაიჭირა. მე მქონდა მასთან შეხვედრა. საკმაოდ აგრესიული იყო, მაგრამ ახლანდელი შეფასებები, რომ ის შეურაცხადია, სიმართლეს არ შეეფერება, რადგან საქმის მასალებში ჩადებული სამედიცინო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა მის შერაცხადობას ადასტურებდა",** - გვითხრა ელენე თევდორაძემ, რომელსაც სამი დღის წინ, გატაცებულ მძევლებთან ერთად, სამართალდამცველების ალყაში მოქცეულ ყაჩაღთან შეხვედრა უცდია.

**"შინაგან საქმეთა მინისტრს ვთხოვე, მოეცა შანსი, მიმეღწია ყაჩაღამდე. ვფიქრობდი, ჯერ ტელეფონით დაველაპარაკები, იქნებ რამე გამომივიდეს-მეთქი. ვიცი, ჩემი ნდობა უფრო ექნებოდა, ვიდრე - სამართალდამცველების. მათ ის არ დანებდებოდა. კობა ნარჩემაშვილმა მითხრა, საშინლად აგრესიულია და არ გირჩევთ მასთან შეხვედრასო. დარწმუნებული არ ვარ, რომ შედეგს ნამდვილად მივაღწევდი, მაგრამ ვთვლი, რომ ეს შანსი უნდა გამოეყენებინათ,"** – ამბობს ელენე თევდორაძე, რომელსაც, როგორც ადამიანის უფლებების დამცველს, თავის დროზე წერილობითი შუამდგომლობაც დაუყენებია ლუხუმ ჯახიას გათავისუფლების შესახებ.

ამბები

## ქურდს პოლიცია დაუდარაჯდა

25 წლის პაატა მიმინოშვილი მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის თანამშრომლებმა სწორედ იმ დროს დააკავეს, როდესაც ნაქურდალი ნადავლით ჩანთა გაავსო და გაუჩინარებას აპირებდა.

ვერის ბაღში მდებარე "ჭადრაკის სასახლის" შენობაში განთავსებულ შპს "უნივერსალ ჯორჯიაში" მან მორგებული გასაღებით შეაღწია და სხვადასხვა დასახელების სამედიცინო-სამკურნალო პრეპარატები გადაარჩია.

სიბნელესა და სიჩუმეში მძარცველი მშვიდად და აუჩქარებლად "მუშაობდა". გარეთ კი მას ხეებს ამოფარებული პოლიციელები ელოდებოდნენ. ნაძარცვით ჩანთაგავსებული და ხელდამშვენებული ქურდი აუღელვებლად ტოვებდა "ჭადრაკის სასახლის" შენობას. სამართალდამცველები მას მოულოდნელად დაადგნენ თავს და ქურდობის ნივთმტკიცებაც იქვე ამოიღეს. დაკავებულმა დანაშაული იქვე აღიარა და პოლიციელებს ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევის გარეშე დანებდა.

## მკვლელობა და ყაჩაღობა პოლიციის სახელით

გუშინწინ, ღამით ბორჯომის ხეობიდან თბილისისკენ საკუთარი ავტომანქანა "ლექსუსით" მომავალი გოჩა ოსეპაშვილი ავტომატით შეიარაღებულმა ნიღბიანმა თავდამსხმელებმა სიცოცხლეს გამოასალმეს.

გოჩა ოსეპაშვილი ბორჯომში დასასვენებლად მყოფი ცოლ-შვილის მოსანახულებლად იყო ჩასული. იქიდან მომავალს, გზაში, სოფელ რუისთან გამავალ ცენტრალურ ავტომაგისტრალზე "ბმვ"-ს ტიპის ავტომანქანა დაეწია, რომელსაც პოლიციის "ციმციმა" ჰქონდა დამაგრებული. "ბმვ"-ში მსხდომებმა წინ მიმავალ მანქანას გაჩერების ნიშანი მისცეს. გოჩა ოსეპაშვილმა, დარწმუნებულმა იმაში, რომ მას პოლიციის თანამშრომლები სთხოვდნენ მანქანის გაჩერებას, კანონი არ დაარღვია და მათი მოთხოვნა მაშინვე შეასრულა. მოულოდნელად პოლიციის მანქანიდან ავტომატებით შეიარაღებული ოთხი ნიღბიანი პიროვნება გადმოვიდა. გოჩა ოსეპაშვილის მეგზურს - მის ბიძაშვილს ლალი კილოვანს ერთ-ერთმა თავდამსხმელმა თავში ავტომატის კონდახი ჩაარტყა, რის გამოც მან გონება დაკარგა. დაბნეულმა ოსეპაშვილმა მობილური ტელეფონის გამოყენება სცადა. მან თავდამსხმელებთან დალაპარაკებაც ვერ მოასწრო, რადგან ავტომატიდან ორჯერ გასროლით ნიღბიანებმა თავის ქალის არეში მძიმე ჭრილობები მიაყენეს, რის გამოც იგი ადგილზევე გარდაიცვალა.

თავდამსხმელებმა გონებადაკარგული ლალი კილოვანი და დაუნდობლად მოკლული გოჩა ოსეპაშვილი იქვე დატოვეს. ავტომანქანა "ლექსუს"-ში ჩასხდნენ და მშვიდად გააგრძელეს გზა. პოლიციის უახლოეს საგუშაგოსთან მისულ ყაჩაღებს, რომლებიც პოლიციის "ციმციმათი" სარგებლობდნენ, ნამდვილმა პოლიციელებმა მისცეს ავტომანქანის გაჩერების ნიშანი. თავდამსხმელები სამართალდამცველების ბრძანებას არ დაემორჩილნენ და გზა განაგრძეს, თუმცა, საშიშროება მაშინვე იგრძნეს, გატაცებული ავტომანქანა სასწრაფოდ დატოვეს და საკუთარი "ბმვ"-თი გაიქცნენ. პოლიციის ოპერატიულმა სამსახურმა, ოპერატიულად ჩატარებული ოპერაციის მიუხედავად, მათ კვალს ვერ მიაგნო.

როგორც ქარელის რაიონის პროკურორმა დიმიტრი სამნიაშვილმა გვითხრა, შოკირებული ლალი კილოვანი, რომელსაც ყაჩაღები დაუნდობლად გაუსწორდნენ, სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებაზე კატეგორიულ უარს აცხადებს. გამოძიებას ეჭვმიტანილები ჯერჯერობით არ ჰყავს. თუმცა, რაიონის პროკურორი დარწმუნებულია, რომ დამნაშავეებს აუცილებლად იპოვნიან და ისინი ყაჩაღობისა და განზრახ მკვლელობისთვის აღძრული სისხლის სამართლის საქმის შესაბამისად აგებენ პასუხს.

*"24 საათი"*

## ახალგორში სამ საეჭვო პიროვნებას ეძებენ

თამარ კაციტაძე

ქართველი სამართალდამცველები დღეს უკვე არ უარყოფენ, რომ პანკისის ხეობიდან გამოქცეული სხვადასხვა ეროვნების კრიმინალები საქართველოს ტყეებს აფარებენ თავს.

14 აგვისტოს ახალგორის რაიონის სოფელ გარუბანში სამი გაურკვეველი ეროვნების პიროვნება გამოჩნდა, რომლებმაც იქაურ ქალბატონს საჭმელი სთხოვეს და ჰკითხეს, რაიმე სამუშაო ხომ არა გაქვთ, რომ ვიმუშაოთო.

გარუბნის პოლიციამ აღნიშნულ ფაქტზე მიღებული ინფორმაციისთანავე საეჭვო პიროვნებების ძებნა დაიწყო და რამდენიმე დღის შემდეგ, სოფელ დიღმის შესასვლელთან, მართლაც დააკავეს გაურკვეველი ეროვნების ფენი განჯაევი, რომელიც მოსახლეობის მიერ აღწერილი პიროვნება უნდა ყოფილიყო. დაკავებული აღნიშნავდა, რომ დედით დაღესტნელი იყო და საქართველოში აზერბაიჯანის მხრიდან არაკანონიერად შემოვიდა, მაგრამ, როგორც მოგვიანებით მცხეთა-მთიანეთის რეგიონის უშიშროების განყოფილებაში გაარკვიეს, მას კრიმინალთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა. როგორც რეგიონის უშიშროების უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ზურაბ წიკლაურმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, **"დაკავებული პიროვნება ჩვეულებრივი გონებასუსტი "ბომჟია", რომელიც საკუთარ სახლს ვერ პოულობდა. ამიტომ იგი ავტობუსში ჩავსვით და თბილისში გავუშვით. რაც შეეხება სამ საეჭვო პიროვნებას, ჩვენ მათ დღესაც ვეძებთ, მაგრამ, ჯერჯერობით, კვალს ვერ მივაგენით".**


ქ. თბილისის

უსინათლო ბავშვთა რესპუბლიკური საშუალო სპეციალური სკოლა-ინტერნატი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას მოსამზადებელ კლასში, 2002-2003 სასწავლო წლისათვის.

- სწავლება ქართულ ენაზეა.
- სწავლების პერიოდში მოსწავლეები სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე იმყოფებიან.
- საშუალო განათლების მიღებასთან ერთად მოსწავლეები ეუფლებიან ჯაგრისების დამზადებასა და მასაჟისტის პროფესიას, რის შემდეგაც ენიჭებათ მე-3 და მე-4 თანრიგის ოსტატისა და მედიცინის დის კვალიფიკაცია, ჯანმრთელობის დაწესებულებებში მუშაობის უფლებით.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ:

ქ. თბილისი, ისან-სამგორის სახ. რაიონი, გუთნის ქ. №6 (მეტრო ავლაბარსა და სასტუმრო "მეტეხს" შორის).
ტელეფონები: 77-14-83, 77-32-33, 77-32-10

# ექს-მინისტრების მისია რუსეთში

## რა ზიანი ადგება საქართველოს მოსკოვში ენის ფხანით

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

ზვიად გამსახურდიას მთავრობის ფინანსთა მინისტრი გურამ აბსანძე, როგორც თვითონ აცხადებს, პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ, მოსკოვში იმყოფებოდა და საქართველოს საელჩოს სასტუმროშიც ცხოვრობდა. თუმცა, ამ ინფორმაციას საელჩოს თანამშრომლები და სასტუმროს ადმინისტრაცია არ ადასტურებენ. გურამ აბსანძე უარყოფს ხმებს იმის შესახებ, რომ მოსკოვის გარეუბანში მდებარე ერთ-ერთ პანსიონატში მკურნალობს და გვარწმუნებს, რომ ამჯერად კიევში იმყოფება საკუთარი პარტიის ორგანიზაციული საქმეების მოსაგვარებლად.

ექს-მინისტრმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ 28 ოქტომბერს თბილისში დანიშნულია მისი პარტიის ყრილობა, რომლის მთავარი თემაც საქართველოს არალეგიტიმური ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლა და შევარდნაძის რეჟიმის ასევე მშვიდობიანი დამხობა იქნება. შეკითხვაზე, თუ როგორ ესახება მშვიდობიანად ასეთი მიზნების განხორციელება, აბსანძე პასუხობს, რომ ძალადობა მათი ტაქტიკა არ არის და პარტიას, რომელიც ციხიდან გამოსვლისთანავე დააარსა, საქართველოში კანონიერი ხელისუფლების კანონიერად დაბრუნების მშვიდობიანი მოდელი უკვე შემუშავებული აქვს. უფრო დაწვრილებითი ინფორმაციისათვის თბილისში ჩვენი პარტიის ოფისს მიაკითხეთო, - გვირჩია მან.

**"შევარდნაძესა და მის უკანონო ხელისუფლებას მიუძღვის ბრალი ქვეყნის დანგრევასა და საზოგადოების გათიშვაში. ამიტომ შევარდნაძის ხროვამ პასუხი უნდა აგოს ქართველი ხალხის წინაშე - სიტყვასიტყვით ასე დაწერეთ!"** - განაცხადა აბსანძემ.

გამსახურდიას ხელისუფლებისდროინდელი ფინანსთა მინისტრი ქართულ საზოგადოებას უახლოეს მომავალში ჰპირდება **"შევარდნაძის რეჟიმისა და საქართველოს ცრუ ოპოზიციის გაშიფვრას".** აბსანძე ამტკიცებს, რომ **"ხალხის თვალის ასახვევად ოპოზიცია ხელისუფლების დაკრულზე ცეკვავს".**

შეკითხვაზე, თუ რა ურთიერთობა აქვს თენგიზ კიტოვანთან და უშიშროების ექს-შეფ იგორ გიორგაძესთან, გურამ აბსანძე პასუხობს, რომ მათთან არავითარი კავშირი არ აქვს და დიდი ხანია, თვალით არც ერთი უნახავს და არც მეორე. მათი მიზნების შესახებ შევარდნაძეს მოკითხეთო, - დასძინა ექს-მინისტრმა.

რამდენიმე თვის წინ ცნობილი სამართალდამცავის, პარლამენტარ სერგეი კოვალიოვის თანაშემწემ საქართველოს პრეზიდენტის სახელზე გაგზავნილი წერილი დუმაში აკრედიტებულ კორესპონდენტებს გადასცა. წერილში საუბარი იყო საქართველოში პოლიტიკური პატიმრებისათვის თავისუფლების მინიჭების აუცილებლობაზე. ამ წერილის გავლენითა თუ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, საქართველოს პრეზიდენტმა ციხიდან რამდენიმე კაცი გამოუშვა. თითქმის ყველა შეწყალებული დღეს თავს რუსეთს აფარებს და შევარდნაძის რეჟიმისათვის ძირის გამოთხრას საზღვარგარეთიდან აპირებს. როგორც ჩანს, ექს-მინისტრებს ასაფრენად რუსეთის თვალუწვდენელი ტრამალები სჭირდებათ - არც მეტი, არც ნაკლები. რუსეთის დუმის დეპუტატებთან ან უბრალო სამხედრო ჩინოვნიკებთან ენის ფხანისას, ყოფილები ანგარიშს არ უწევენ, რომ საქართველოს გამათავისუფლებლის მანტიით, ბრმად და ანგარიშმიუცემლად ასრულებენ ვიღაცის სურვილს თუ მითითებას.

ამასთან, იგორ გიორგაძე, თენგიზ კიტოვანი, გურამ აბსანძე და სხვები, თავს შეურაცხყოფილად მიიჩნევენ, როცა მათ თანამემამულეებს ლოგიკურად უჩნდებათ აზრი, რომ სამშობლოსაგან მოშორებით, უცხო გარემოცვაში, თვით ყველაზე სამართლიან გადატრიალებაზე საუბარიც კი ელემენტარულად საზიანოა ისევ იმ ხალხისთვის, ვისზე ფიქრითაც, ვითომც, ყოფილი მინისტრები დღეს და ღამეს ასწორებენ.

სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს - „ხალხის პირისპირ". ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს. თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

ინსტრუქციები კითხვის შედგენისათვის:

შეკითხვის ტექსტი:

პასუხის ტექსტი:

სახელი და გვარი:

ბინის მისამართი:

სამუშაო ადგილი:

სამსახურის ტელეფონის ნომერი:

ბინის ტელეფონის ნომერი:

მობილური ტელეფონის ნომერი:

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

# ვიაჩესლავ იზმაილოვი: საერთაშორისო ტერორისტებს საქართველოში რუსეთის სპეცსამსახურები გზავნიდნენ

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

ასე აცხადებს "24 საათისათვის" მიცემულ ინეტრვიუში "ნოვაია გაზეტას" სამხედრო კორესპონდენტი **ვიაჩესლავ იზმაილოვი**.

მოსკოვის ჟურნალისტურ წრეებში იზმაილოვს "კგბ"-ს ყოფილ თანამშრომლადაც იცნობენ, ამიტომ მისი მოსაზრებები გარკვეულ მომენტში, შეიძლება, მხედველობაშიც იყოს მისაღები. ამჟამად ჟურნალისტი იზმაილოვი რუსეთის ხელისუფლების ოპოზიციაშია და ჩეჩნეთში ანტიტერორისტული ოპერაციის მიმდინარეობაზე საკუთარ გაზეთში კრიტიკულ პუბლიკაციებს აქვეყნებს.

- როდის იმყოფებოდით პანკისში და რას იტყვით იქ შექმნილ ვითარებაზე?

**- უკანასკნელად იქ მარტის თვეში ჩავედი და დავრწმუნდი, რომ ხეობაში ბოევიკები ნამდვილად იმყოფებიან. მე ისინი ჩემი თვალით ვნახე, რამდენიმე მათგანს გავესაუბრე კიდეც. ისინი, როგორც წესი, ყალბი პასპორტებით იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე. მე დანამდვილებით ვიცი, რომ რუსეთის სპეცსამსახურებმა დოკუ უმაროვი 2000 წლის მარტის თვეში გაგზავნეს პანკისში, რაშიც დიდი გასამრჯელოც გადაუხადეს. ადრე გროზნოში მან ჭრილობა მიიღო და ნალჩიკის სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში მკურნალობდა, რუსეთის სპეცსამსახურების კონტროლის ქვეშ. მისი დახმარებით აღმოაჩინეს გენერალ შპიგუნის დამარხვის ადგილი, მისი დახმარებით გაათავისუფლეს ფრანგი მძევალიც. არ გამოვრიცხავ, რომ რუსეთის სპეცსამსახურებშიც არიან გამყიდველები. მე იმის უტყუარი მასალაც მაქვს, რომ დოკუ უმაროვს რუსეთის ფსბ-ს წარმომადგენლები თბილისის ერთ-ერთ კაფეში შეხვდნენ და იქ ესაუბრნენ.**

- კონკრეტულად ვინ იყვნენ ეს "წარმომადგენლები", შეგიძლიათ, დაგვისახელოთ?

**- ისინი ჩეჩენი ეროვნების არიან. მე ამ ხალხს პირადად ვიცნობ. დოკუ უმაროვის გარდა, შემიძლია დაგისახელოთ ჰუსეინ ესაბაევიც, რომელიც ადამიანებით ვაჭრობს და ხალხის გატაცების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორია. ესაბაევიც რუსეთის სპეცსამსახურებმა, სხვა გვარით, საქართველოში გაგზავნეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩრდილო-კავკასიის საოლქო სამმართველოს მანქანით გადაიყვანეს. საერთაშორისო ტერორისტების რუსეთიდან საქართველოში გადატყორცნაში ბევრი რუსი ჩეკისტის ხელიც ურევია, რომლებსაც მე რუსეთის პატრიოტებს ვერ დავარქმევ.**

- პანკისში, ბოევიკებთან ერთად, მათი საწვრთნელი ბაზებიც თუ ნახეთ?

**- მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ პანკისში ჩემი თვალით ვიხილე კომუფლიაჟიანი ბოევიკები, რომლებსაც ადგილობრივი მცხოვრებლები მეგზურობას უწევდნენ. მაგრამ იმის მტკიცებაც შემიძლია, რომ იქ საერთაშორისო ტერორისტთა საწვრთნელი ბაზები არ არის. მე ვცხოვრობდი ხალაწანში, ვცხოვრობდი დუიშვილებისა და მარგოშვილების ოჯახში. ეს სოფელი ოსებისაგან ბოევიკმა ძმებმა ახმადოვებმა იყიდეს. მართალია, საქართველოს ხელისუფლება ამას უარყოფს, მაგრამ ვიცი, რომ ეს ხალხი ადამიანების გატაცებით ცხოვრობს. იტაცებენ ყველას, ეროვნების მიუხედავად. იმ სოფელში ყოფნისას რუსლან გილაევთან შეხვედრაც შემომთავაზეს.**

- თქვენი აზრით, რა ნაბიჯები უნდა გადაგას ქართულმა მხარემ, რომ ამ განუკითხაობას დააღწიოს თავი?

**- პირველ რიგში, საჭიროა, საქართველოს სპეცსამსახურებმა, ქისტი მოსახლეობის დახმარებით, შეძლოს ბოევიკებისაგან პანკისის ხეობის გაწმენდა, სხვა გამოსავალს მე ვერ ვხედავ. რუსეთი აღარ გაჩერდება, ამიტომ საქართველოს ძალოვანმა სტრუქტურებმა დროზე უნდა იყოჩაღონ. ქისტებთან მოლაპარაკებაა საჭირო. თავად ქისტებიც დაღალა ბანდიტების თარეშმა. მე ვიცი ადგილობრივი მოსახლეობის განწყობა - ისინი ქართველებს აღმერთებენ. საქართველოს სპეცსამსახურებს იქ რომ საკუთარი აგენტურა და ინფორმატორების საკუთარი ქსელი ჰყოლოდათ, საქმე აქამდე არ მივიდოდა.**

- იქნებ განუკითხაობის მიზეზი ისაა, რომ ოფიციალური თბილისი პანკისის ხეობაში ვერ შედის?

**- შეთანხმება ყველასთან შეიძლება. თქვენ იცით, როგორ შევედით პანკისში? არ დამიჯერებთ. ერთი პოსტი ახმეტასთანაა, მეორე - დუისთან, იქ სპილოები გაივლიან. მანქანიდან არც გადავსულვართ, მძღოლმა ვიღაცას - გამარჯობა, ზურიკოო - დაუძახა, არც შეგვამოწმეს. უკანა გზაზეც იგივე სურათი იყო, თანაც უნომრო მანქანით ვიყავით ექვსი კაცი... გეთანხმებით, ვერ აკონტროლებს ოფიციალური ხელისუფლება პანკისის ხეობას, მაგრამ არც უმოქმედობაა მოსაწონი. სხვანაირად, საქართველოში მალე მეორე ჩეჩნეთს მივიღებთ.**

- თუ ჩეჩნეთში რუსეთის სამხედრო გამოცდილებაზე ვილაპარაკებთ, ვერაფერი პერსპექტივაა საქართველოსათვის.

**- მე ოფიცერი ვარ და სოლიდარობას ვუცხადებ ქართულ მხარეს, რადგანაც კარგად ვიცი, რომ დღეს რუსეთის სპეცსამსახურებს, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებს თავის გასამართლებელი არაფერი აქვთ და, საკუთარი უნიჭობის გამო, საქართველოზე იყრიან ჯავრს. ჩეჩნეთში რუსეთი ჩეჩნების გარეშე შეეცადა წესრიგის დამყარებას და კისერიც წაიტეხა. საქართველოში იგივე სურათი არ უნდა განმეორდეს. თუმცა, დღეს აღარც ქართველი სამხედროების მჯერა. ძალზე საწყენია, რომ დღეს ქართულ არმიაში მსახურობენ ისინიც, ვისაც რუსეთის სპეცსამსახურებთან აქვთ კავშირი. ასეთი არმია საკუთარ ქვეყანაში წესრიგს ვერ დაამყარებს.**

- როგორ ფიქრობთ, რატომ დუმდა და დუმს პანკისის დაბომბვის ფაქტზე რუსეთის პრეზიდენტი?

**- მე ვერ წარმოვიდგენ, რომ თავდაცვის მინისტრი ივანოვი თავის განცხადებებს პრეზიდენტთან შეუთანხმებლად აკეთებდეს. თუ ასეა, მაშინ უნდა ვამტკიცოთ, რომ პუტინს საკუთარი სამხედროები აღარ ემორჩილებიან, რაც ნაკლებად სარწმუნოა. პუტინმა აუცილებლად უნდა მისცეს რეაგირება პანკისის ხეობის დაბომბვას და უნდა დაგვაჯეროს, რომ მან ეს არ იცოდა, სხვანაირად სიტუაცია გაუგებარი დარჩება. ნორმალური იქნება, თუ პუტინი თავდაცვის მინისტრს - ივანოვს დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლებს. თუ რუსეთის პრეზიდენტი ასე არ მოიქცევა, საქართველო უარეს დღეებს უნდა ელოდოს, რადგანაც პანკისის ხეობა ჩეჩნეთის გამოძახილია.**



ვიაჩესლავ იზმაილოვი

# რუსეთის აგრესია და თავისუფალ სიტყვაზე შეტევის შანსი

თამარ კაციტაძე

რუსეთის მხრიდან საქართველოს საჰაერო საზღვრის დარღვევა ამჯერად უფრო მძიმე შედეგით დასრულდა. ილტოსა და ივრის ხეობების დაბომბვას მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლე შეეწირა.

საქართველოს უშიშროებამ და გენერალურმა პროკურატურამ დაბომბვასთან დაკავშირებით ერთობლივად კიდევ ერთხელ აღძრეს სისხლის სამართლის საქმე. რამდენად შედეგიანი იქნება უცხო ქვეყნის სამხედროების წინააღმდეგ დაწყებული საქმის გამოძიება, ადვილი სათქმელია.

რუსულმა მხარემ კი ტადიციული გეგმით მუშაობა დაიწყო. ჩრდილოელმა მეზობელმა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მსოფლიოს გასაგონად უკვე გაავრცელა ინფორმაცია, რომ რუსულ ავიაციას გუშინ საქართველოს მიმართულებით არანაირი ფრენა არ განუხორციელებია და დაბომბვა ისევ ქართველების შეცდომას დააბრალა.

ტრადიციულად, ჩვენი უმაღლესი ხელისუფალნი დიპლომატიურ ნოტებს ამზადებენ. სამართალდამცველებს კი დამნაშავის პოვნის იმედი, ქვეყნის გარეთ თუ არა, შიგნით მაინც აქვთ.

**"ის, რაც "რუსთავი-2"-ის სიუჟეტში გადაიცა, ქვეყნის ღალატია. თითოეული მოქალაქე ვალდებულია, დაიცვას სახელმწიფო ინტერესები",** - ამ სიტყვებით შეხვდა ქვეყნის დაბომბვითა და პოლიციის მუნდირის ღირსების შელახვით აღშფოთებული შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ზურაბ ჩხაიძე გუშინ ჟურნალისტებს.

ზურაბ ჩხაიძის განცხადებით, "კურიერის" სიუჟეტში მოყვანილი ფაქტები შორს არის რეალობისგან. მისი თქმით, თიანეთის ტერიტორიაზე ჩეჩენი ბოევიკები არ გადაადგილდებიან და, მით უმეტეს, კრიმინალებს ქართველ პოლიციელებთან არანაირი კავშირი არ აქვთ. მინისტრის პირველი მოადგილე უკვე აღარ მალავს იმას, რომ პანკისის ხეობიდან გარკვეული კრიმინალური დაჯგუფებები მთებს მართლაც აფარებენ თავს. **"მაგრამ ეს არის ათიოდე კაცისგან შემდგარი დაჯგუფებები და არამც და არამც ხუთასი შეიარაღებული ჩეჩენი, რომელთაც გილაევი ხელმძღვანელობს და როგორც ამას "რუსთავი-2"-ის კორესპონდენტი ამტკიცებდა",** - აღნიშნავს ჩხაიძე და კრიმინალების პანკისიდან გასვლას ხეობაში შინაგანი ჯარების სპეცოპერაციის დაწყებით ხსნის. **"პანკისში არიან სხვადასხვა ეროვნების კრიმინალები, რომლებსაც არ სურთ, საკუთარ ოჯახებს დაუბრუნდნენ. ამასთან, იციან ისიც, რომ ოპერაციის დროს მათ წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა გამოცხადდება, ამიტომ ისინი მთებში გადაადგილდებიან, მაგრამ კრიმინალების მარშრუტს ვაკონტროლებთ და როცა საჭირო იქნება, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ზომებსაც მივიღებთ",** - გაგვიმხილა მინისტრის პირველმა მოადგილემ.

თიანეთის რაიონის პოლიციას კრიმინალებთან რომ კავშირი არ აქვს, ამის დასამტკიცებლად შინაგან საქმეთა სამინისტროში ჟურნალისტები მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური პოლიციის უფროსს ჯემალ ჯიქურაულსა და თიანეთის რაიონის პოლიციის უფროსს ნუგზარ გულუზაურს შეგვახვედრეს.

გუშინ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი მარტო თავისი მოადგილის შეფასებით არ დაკმაყოფილებულა. ჩხეიძესთან დასრულებული პრესკონფერენციის შემდეგ ჟურნალისტები მინისტრმაც მიგვიწვია. პოლიციის მუნდირის დასაცავად ნარჩემაშვილმა მსხვერპლად საკუთარი თავიც გადადო. **"თუ ვინმე მომიტანს რეალურ ფაქტებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს რომელიმე თანამშრომელს ბოევიკებთან შეხება ჰქონდა, მზად ვარ, უმწვავესი გადაწყვეტილების მიღება საკუთარი თავიდან დავიწყო",** - აღნიშნა მინისტრმა, რომელმაც რუსეთის ავიაციის მხრიდან საქართველოს დაბომბვა ღია აგრესიად შეაფასა.

თავის მხრივ, ნარჩემაშვილიც აღიარებს, რომ, შინაგანი ჯარების სპეცოპერაციის შიშით, კრიმინალებმა მთებს შეაფარეს თავი. მაგრამ ის, რომ ქართული მხარე ბოლომდე ვერ ახერხებს დამნაშავეთა გაკონტროლებას, ამაში ნარჩემაშვილი საგანგაშოს ვერაფერს ხედავს. **"ბოევიკები პრობლემას მსოფლიოს უქმნიან. დღეს რუსეთის ტერიტორიაზეც უამრავი ტერორისტული აქტი ხდება, მაგრამ დამნაშავეებს თავადაც ვერ აკონტროლებენ. აქედან გამომდინარე, რა გასაკვირია, რომ საქართველოსაც უჭირს კრიმინალების გაკონტროლება",** - აღნიშნა შინაგან საქმეთა მინისტრმა და მიუხედავად მომხდარისა, ჟურნალისტებთან აუდიენცია შედარებით იმედიან ნოტაზე დაასრულა. **"ათი თვის წინ პანკისის პრობლემა დაუძლეველი მეგონა, მაგრამ დღეს რეალური პერსპექტივები უკვე გამოიკვეთა, რასაც პანკისის ხეობაში სამუდამო მშვიდობა მოჰყვება".**

დაბოლოს, ცალკე კომენტარს იმსახურებს შსს-ს მინისტრის პირველი მოადგილის მიერ, "რუსთავი-2"-ის დადანაშაულება დაბომბვის პროვოცირებაში; მით უმეტეს, რომ ზურაბ ჩხაიძე ერთადერთი არ ყოფილა, ვინც სცადა, მომხდარი დამოუკიდებელ ტელეკომპანიაზე შეტევისთვის გამოეყენებინა.

ქართული სოფლების დაბომბვასთან "რუსთავი-2"-ის სიუჟეტს რომ არაფერი აქვს საერთო, ამას ძალზე კარგად აცნობიერებს ზურაბ ჩხაიძეც და ყველა ის ადამიანი, ვისაც გუშინ განსაკუთრებულად გაეხსნა სახელმწიფოებრივი აზროვნება და მედიას გაუგონარი ბრალდებები დააყარა. მაგრამ მათთვის ეს იყო შესანიშნავი შემთხვევა, ახალი იმპულსი მიეცათ თავისუფალი სიტყვის, საერთოდ, თავისუფალი საზოგადოებრივი ინსტიტუტების წინააღმდეგ დაწყებული კამპანიისთვის (მკითხველს უბრალოდ შევახსენებთ შარშანდელი ნოემბრის ცნობილ მოვლენებს, სულ ახლახან თავდასხმას "თავისუფლების ინსტიტუტზე" და გენპროკურორის გამოსვლას მთავრობის სხდომაზე). ბოლო ორი კვირის განმავლობაში სახელმწიფო მინისტრის მეცადინეობამ ეს კამპანია ცოტა მიანავლა, გუშინ კი, დემოკრატიაყელშიამოსულთ (დააკვირდით, ერთი და იგივე სახეები) მიეცათ შანსი, რომლის ხელიდან გაშვებაც არ შეიძლებოდა - ეს იყო და ეს. საბედნიეროდ, ვერც ადრე და ვერც ახლა, მათ ვერ შეძლეს საზოგადოებრივი აზრის სათავისოდ პროვოცირება.



ზურაბ ჩხაიძე

გოგიტა ბუბაიძის ფოტო

www.24hours.ge 24 B

# ვანესა და "რაგატკები"

გიორგი გვახარია

დიდი ბრიტანელი მსახიობი, ვანესა რედგრეივი თბილისში მაშინ ჩამოვიდა, როცა რუსეთის თვითმფრინავებმა საქართველოს ტერიტორიები დაბომბეს, თავდაცვის მინისტრმა "რაგატკები" გაიხსენა და ამით საქვეყნოდ აღიარა, რომ საქართველოს არა აქვს თავისი საჰაერო სივრცის დაცვის საშუალება. მომდევნო დაბომბვის მიზეზად ხელისუფლებამ "რუსთავი 2" დაასახელა, შევარდნაძემ კი განაცხადა, რომ ჩეჩენმა მამაკაცებმა დაუყოვნებლივ უნდა დატოვონ საქართველოს ტერიტორია.

საქართველოს დაბომბვამდე ერთი დღით ადრე ედუარდ შევარდნაძე ვანესა რედგრეივმა მოინახულა, მსახიობმა, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, სიტყვის თავისუფლებისთვის იბრძვის და არაჩვეულებრივი ურთიერთობა აქვს... ჩეჩენ მამაკაცებთან, რომლებთანაც შეხვედრის შანსს თბილისში ვიზიტის დროს იგი ხელიდან არ გაუშვებდა. მართალია, ვანესა რედგრეივის მეგობარი ქეთი დოლიძე განუწყვეტლივ აღნიშნავდა, რომ ბრიტანელი მსახიობი თბილისში თავისი შვილის, კარლო ნეროს ფილმში გადასაღებად და მეგობრების მოსანახულებლად ჩამოვიდა ("ღამის კურიერში" რედგრეივმა ჩეჩნები ახსენა, მაგრამ ქალბატონმა ქეთიმ ოსტატურად მოიყრუა თავი და "დაკმაყოფილდა" ვანესას როლით ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტში), მაგრამ ვანესა რედგრეივის თაყვანისმცემლებმა ხომ კარგად ვიცით, რომ იგი არის დამფუძნებელი საერთაშორისო ორგანიზაციისა ჩეჩნეთის დასაცავად, არის აქტიური წევრი პარიზში შექმნილი ორგანიზაციისა "ჩეჩნეთი", ერთ-ერთი ავტორი ჩეჩნეთში ადამიანის უფლებათა დარღვევის წინააღმდეგ მიმართული მანიფესტისა "შიში უბრუნდება ევროპას", რომელსაც სხვებთან ერთად გიუნტერ გრასმა, უმბერტო ეკომ და ბერნარდო ბერტოლუჩიმ მოაწერეს ხელი ("ვლადიმირ პუტინს ჰგონია, რომ ყველაფრის უფლება აქვს,"- აღნიშნულია მანიფესტში). სწორედ ვანესა რედგრეივმა მოახერხა შარშან ასლან მასხადოვის მოადგილის, ახმედ ზაკაევის ჩაყვანა სტრასბურგში, სწორედ მან შეახვედრა წელს ზაკაევი ჰააგის ტრიბუნალის გენერალურ პროკურორს, კარლა დელ პონტეს, რომელსაც მასხადოვის მოადგილემ ვლადიმირ პუტინის წინააღმდეგ სასამართლო პროცესის ჩატარება სთხოვა.

ვანესა რედგრეივის მოღვაწეობას კარგად იცნობენ არა მარტო თაყვანისმცემლები, არამედ მისი დაუძინებელი მტრები (2000 წლის 3 ნოემბერს ბრიტანელი მსახიობის მოღვაწეობა მიწასთან გაასწორა "როსიისკაია გაზეტამ"). ჩეჩენი ბავშვების შესახებ გადაღებული ფილმის პრემიერის შემდეგ (ვანესა რედგრეივის დოკუმენტური ფილმის ჩვენება რუსეთის ტელეარხებმა ვერ გაბედეს) რუსმა ჟურნალისტებმა გაიხსენეს, რომ ვანესა რედგრეივი "ტროცკისტია", რომ პალესტინელებს უჭერს მხარს, რომ 2001 წელს ჰომოსექსუალისტებმა თავიანთ საყვარელ მსახიობად აღიარეს (ეს, რა თქმა უნდა, "ცუდს" ნიშნავს). ვანესა რედგრეივს სამშობლოშიც ჰყავს მტერი; არალეგალურმა ორგანიზაციამ "კომბატ-18" იგი უკვე შეიყვანა "აუცილებლად გასანადგურებელი" ადამიანების სიაში... და, როგორც ჩანს, სწორედ მსახიობის მტრისგან დაცვა მოინდომეს ვანესა რედგრეივის ქართველმა მეგობრებმა, როცა აქ არ გაახმაურეს მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ფაქტები. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ მათ არა იმდენად მტრის, რამდენადაც ჩვეულებრივი ქართველი ობივატელის შეეშინდათ; რამდენიმე წლის წინ, როცა მსახიობმა რუსთაველის თეატრში მონოსპექტაკლი გამართა, ჩვენი, ეგრეთ წოდებული "შემოქმედებითი ინტელიგენცია" წარმოდგენის მეათე წუთზე "წამოიშალა" და დემონსტრატიულად, ხმაურით დატოვა დარბაზი ("კომუნისტი ყოფილა", "ეტყობა დაბერდა და იმიტომ", "ეტყობა საყვარელი აღარ ჰყავს" - ასეთი რეპლიკები უხვად ისმოდა მაშინ). საქართველოში არც არასდროს უყვარდათ მსახიობები "სტერვას"-ს გარეგნობით (ვანესა რედგრეივი კი ნამდვილად ჰგავს ლამაზ "სტერვა"-ს ), არ უყვარდათ მეტისმეტად აქტიური დედაკაცები, რომელთაც, როგორც წესი, "ფემინისტის" იარლიყს მიაკერებდნენ ხოლმე. არა და სწორედ ასეთი სახე შექმნა ვანესა რედგრეივმა კინოში, როცა 1969 წელს კარელ რეიშის "აისედორაში" შეასრულა მთავარი როლი ("პირველი ჰიპის" როლი) და კანის ფესტივალის პრიზითაც დაჯილდოვდა, როცა 1977 წელს ითამაშა ერთ-ერთი საუკეთესო როლი კინოს ისტორიაში ფრედ ცინემანის "ჯულიაში", როლი არისტოკრატი ქალისა, რომელმაც მშვიდ ცხოვრებას ანტიფაშისტურ მოძრაობაში მონაწილეობა არჩია და შეეწირა კიდეც თავის იდეებს (ამ როლისთვის რედგრეივი "ოსკარით" დაჯილდოვდა), როცა 1987 წელს, სტივენ ფრირზის სურათში "დაცქვიტე ყურები" სექსუალურ უმცირესობათა მხურვალე დამცველის როლში მოგვევლინა.


ვანესა რედგრეივი REUTERS

არისტოკრატი ბრიტანელი ქალი - გრძელი კიდურებით, ტეხილი მოძრაობებით... ასეთი დაამახსოვრდა იგი მაყურებელს მიქელანჯელო ანტონიონის "ბლოუ აფში". მას შემდეგ ვანესა რედგრეივი თითქმის არ შეცვლილა. დღეს იგი უკვე 65 წლისაა და როგორც ჩანს, არ აპირებს დაბერებას. იგი არც დროს ემორჩილება, არც სექსისტ მამაკაცებს და არც იმათი ეშინია, ვინც "განადგურებით" ემუქრება. ეტყობა ეს ჩვენ გვეშინია მის მაგივრად, ვანესა რედგრეივის თაყვანისმცემლებს და მეგობრებს. ვანესას უყვარს ქართველი ხალხი. ჩვენ გვიხარია, მაგრამ, რა თქმა უნდა მასზე უკეთ ვიცით, თუ სად ვცხოვრობთ... ქვეყანაში, რომელსაც ბომბავენ, მაგრამ მტერს ისევ ქვეყნის შიგნით ეძებენ, ქვეყანაში, სადაც ხალხი "რაგატკებით" შეიარაღებას იწყებს.

"სანამ რუსეთს დავაბრალებთ, ჩვენს თავს მივხედოთ," - განაცხადა პოეტმა რეზო ამაშუკელმა გუშინ, "მოამბეში"... იგი ჩვენი "შემოქმედებითი ინტელიგენციის" წარმომადგენელია და როგორც ცნობილია, გულზე არ ეხატება ფემინისტები და სძულს ჰომოსექსუალები. მივმართავ ქეთი დოლიძეს - "დაიცავი ვანესა ასეთი პოეტებისგან, თქვი, რომ დიდი მსახიობი საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ თავისი შვილის ფილმში გადასაღებად ჩამოვიდა!"

# ინფანტილური როდრიგესის ბავშვური გასართობი

"იცით, რა უნდა გავაკეთო? "

**"პატარა ჯაშუშები-2: დაკარგული ოცნებების კუნძული" (2002 წ.)**
**ხანგრძლივობა: 1 სთ. 30 წთ.**
**სათავგადასავლო/მძაფრსიუჟეტიანი/საბავშვო**
**რეჟისორი: რობერტ როდრიგესი,**
**პროდიუსერები: რობერტ როდრიგესი, ელიზაბეტ აველანი;**
**სცენარის ავტორი: რობერტ როდრიგესი**
**ოპერატორი: რობერტ როდრიგესი**
**კომპოზიტორი: რობერტ როდრიგესი**
**მონტაჟი: რობერტ როდრიგესი**
**როლებში: ანტონიო ბანდერასი, კარლა გუჯინო, დერილ საბარა, დენი ტრეხო, რიკარდო მონტალბანი, ჰოლანდ ტეილორი;**

თამარ ბაბუაძე

დიდება "დესპერადოთი" მოვიდა. ისე უეცრად, რომ ვერავინ წარმოიდგენდა ამას. მომხიბვლელი "ელ მარიაჩის" – მოხეტიალე მუსიკოსის ისტორია, რომელიც გმირად იქცევა, რობერტ როდრიგესის მხოლოდ მესამე ფილმი იყო. რეჟისორები კი წარმატებას ასე მოკლე დროში ხშირად ვერ აღწევენ ხოლმე. "დესპერადოზე" ზოგმა მართლაც გულწრფელად ინერვიულა, ზოგმაც მასში სერიოზულად გაკეთებული მძაფრსიუჟეტიანი ფილმების შარჟი დაინახა. თავად როდრიგესი ბანდერასის გმირზე ამბობს: "განსაკუთრებით აღმაფრთოვანებს ის ფაქტი, რომ ელ მარიაჩი არ არის ყოფილი პოლიციელი, რომელიც შემდეგ ყაჩაღობის გზას ადგება. ის გახლავთ ხელოვანი, რომელიც საკუთარ თავს შემოქმედებითად ველარ გამოხატავს, ამიტომ ემოციებს გასაქანს აძლევს და ფეთქდება. სწორედ ასე მინდა, რომ ხალხმა მისი გმირი აღიქვას".

როდრიგესი სერჟიო ლეონეს კვალზე წასული, ტარანტინოს გავლენის მქონე რეჟისორია, რომელიც ამავე დროს ყველასგან განსხვავდება. აბსოლუტურად განსხვავებულია მისი "გარეჟისორების" ისტორია. მან ერთ-ერთი პირველი ფილმის El Mariachi-ს გადასაღებად ფული მეცნიერულ ექსპერიმენტში მონაწილეობით შეაგროვა – 1991 წელს, კოლეჯის საზაფხულო არდადეგებზე, 23 წლის დამწყებმა რეჟისორმა ერთი თვე კვლევით ცენტრში გაატარა, სადაც ექიმები მასზე ახალ მედიკამენტს სცდიდნენ. ამ თავგანწირვაში 3 ათასი დოლარი გადაუხადეს, დანარჩენი 4 ათასი მეგობარს გამოართვა და ასე უცნაურად შედგა როდრიგესის იუმორის, გამორჩეული სტილისა და ფანტაზიის კინოდებიუტი.

"დესპერადოს" "ოთხი ოთახი" მოჰყვა, მას კი "დაისიდან აისამდე", "ფაკულტეტი" და ბოლოს, როდრიგესის უკანასკნელი ნამუშევარი "*პატარა ჯაშუშები-2*". შეიძლება ითქვას, რომ, ცხადად თუ მალულად, როდრიგესის კარიერას წითელ ხაზად გასდევს ტარანტინოს გავლენა. იგივეს თქმა შეიძლება Spy Kids-ის ორივე ნაწილზეც (განსაკუთრებით კი ფილმში გამოყენებულ იუმორზე). თუმცა, 7 აგვისტოდან, პრემიერის დღიდან დაწყებული, ტარანტინოსა და როდრიგესის მეგობრობა აღარავის ახსოვს. ახლა "პატარა ჯაშუშებს" ხან ჰარი პოტერს ადარებენ, ხანაც ჯეიმს ბონდის სერიებს.

ერთი სიტყვით, რეჟისორმა მიზანს მიაღწია – მედია და საზოგადოება კიდევ ერთხელ აალაპარაკა. "პატარა ჯაშუშების" რეცენზიებმა გაზეთის ფურცლები გადაჭედეს. შეფასებები ერთმანეთს ცვლიდნენ. თუმცა, ყველაზე ზუსტად და ორიგინალურად როდრიგესის ახალი ნამუშევარი და თავად რეჟისორის ფსიქოლოგია "ლოს ანჯელეს ტაიმსის" ჟურნალისტმა ახსნა: "რობერტ როდრიგესი საკუთარ სულში არსებულ ბავშვთან კონტაქტს არ წყვეტს. მას და ამ პატარას შორის დამყარებულია მეტად "მომგებიანი პარტნიორობა", რისი შედეგიც გახლავთ Spy Kids-ის ორივე ნაწილი. უნდა ითქვას, რომ მეორე ფილმიც თითქმის ისეთივე კარგია, როგორც პირველი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ როდრიგესი, ალბათ, ყველაზე ნიჭიერი რეჟისორია, რომელიც მძაფრსიუჟეტიან-სათავგადასავლო და ამავე დროს საოჯახო ფილმებს იღებს".

ანუ, ის რომ ფილმი, სპეცეფექტებისა და უკიდეგანო ფანტაზიის გამოყენების გამო, ზედმეტად მსუყე, ფერადი და ხმაურიანია, როდრიგესის ინფანტილურობას უნდა მივაწეროთ. ინფანტილურობას, რომელსაც რეჟისორი კი არ მალავს, არამედ წარმატების მისაღწევად იყენებს.

პირველის მსგავსად, მეორე "პატარა ჯაშუშებიც" სუპერაგენტი კორტესების ოჯახურ ისტორიებს ასახავს. თუმცა, ამ ნაწილში ცოტაა ინტრიგა – მთავარი სათქმელი უკვე ნათქვამია – პატარა კარმენსა და ჯუნის სუპერაგენტი მშობლები ჰყავთ. ამიტომ მეორე ნაწილის გამოცოცხლებას რეჟისორი ათასი დაუჯერებელი ისტორიის შექმნით ცდილობს, რასაც წარმატებით ახერხებს კიდეც. როცა სუპერაგენტების ოჯახს უკანასკნელად შევხვდით, მაშინ ბავშვები თავიანთი მშობლების გამოხსნას ცდილობდნენ. ახლა კი ამოცანა გართულებულია – კარმენსა და ჯუნის კონკურენტებად სუპერაგენტი ბავშვების (თურმე, მათი სკოლა არსებობს) მთელი არმია მოევლინებათ. (აღსანიშნავია, რომ კრიტიკოსებმა ასოციაციურად სწორედ ეს მომენტი დაუკავშირეს "ჰარი პოტერში" გამოყენებულ ჯადოქრობის სკოლას).

ეკრანზე როდრიგესის ფანტაზიების ნაყოფი პირველივე ეპიზოდში ჩნდება. კარმენსა და ჯუნისთან ერთად, შევდივართ თემატურ პარკში, სადაც საოცარი ატრაქციონებია ნაჩვენები. ფილმში ჩნდება ახალი პერსონაჟიც – აშშ-ს პრეზიდენტის ქალიშვილი, რომელიც მამის მზრუნველობასა და ყურადღებას არის მოკლებული. ერთ მომენტში კარმენი და ჯუნი გოგონას გადაარჩენენ, თუმცა, მათ დამსახურებას მეტოქე და-ძმა გარი და გერტი გიგლზები მიითვისებენ და შემდეგ კორტესები სულ იმის ცდაში არიან, რომ შემდეგი დავალება თავად მოიპოვონ. ეს კონკურენცია ბავშვებს დაკარგული ოცნებების კუნძულამდე მიიყვანს, სადაც ოდნავ გიჟ გენეტიკის მკვლევარ მეცნიერს და მის უცნაურ, სასაცილო ქმნილებებს გაიცნობენ. აი, კიდევ ერთი ეპიზოდი, სადაც როდრიგესი საკუთარ ფანტაზიას ფრთებს ბოლომდე აშლევინებს. კუნძულზე ბავშვები ეძებენ სპეციალურ მოწყობილობას, რომელსაც ელექტროენერგიის გათიშვა მთელ პლანეტაზე შეუძლია. ერთი სიტყვით, მათ მსოფლიო უნდა გადაარჩინონ. ეს მისია კი ისეთი მნიშვნელოვანია, ხოლო საფრთხე ისეთი აშკარა, რომ შვილი კორტესების დასახმარებლად მშობლები და ბებიაბაბუა აგენტებიც კი ამოქმედდებიან. ერთი სიტყვით, როდრიგესის მორალი ასეთია: ოჯახმა თავი ერთიანობით უნდა გაიტანოს, ყველაზე მთავარი ერთმანეთის სიყვარული და მფარველობაა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ დრომოჭმულ და ბანალურ იდეას რეჟისორი იუმორითა და თვითირონიით ნიღბავს და ზედმეტ სენტიმენტალობას ასე იცილებს თავიდან.

ფილმი ბავშვებისთვის ნამდვილი მისწრებაა. საკუთარი ინფანტილურობის წყალობით, როდრიგესი ახერხებს ბავშვების ოცნებებს და ფანტაზიებს ზუსტად უპასუხოს. მისი ნახვით ის დიდებიც ისიამოვნებენ, რომელთაც როდრიგესის იუმორი მოსწონთ. თუ მის ადრეულ ნამუშევრებში რეჟისორი იმ დიდ ბავშვს ჰგავდა, რომელიც ფილმების გადაღებით ერთობა, ოხუნჯობს და მაყურებელსაც ართობს, "პატარა ჯაშუშებში" ის მართლაც დაუვიწყარ დროს ატარებს.

ალსანიშნავია, რომ რეჟისორი "პატარა ჯაშუშებს" მხოლოდ საკუთარ ფილმს უწოდებს. თუმცა, მას ამ ხმამაღალ განცხადებას ცუდ ტონად არავინ უთვლის. პირიქით - თუ დააკვირდებოდით, შენიშნავდით, რომ რეჟისურიდან დაწყებული, მონტაჟით დამთავრებული ყველაფერი თვითონ აქვს გაკეთებული. მეტიც, რეჟისორი ფილმში გამოყენებული სამი სიმღერის თანაავტორიც გახლავთ. ანუ, როდრიგესისთვის ფილმის შექმნის პროცესი ერთი დიდი დროსტარებაც არის და მუხლჩაუხრელი მუშაობაც. ის, თურმე, ბავშვობიდან ასეა: "ოთხი ძმა და ხუთი და მყავს, მაგრამ დედა საოჯახო საქმეებს ყოველთვის მე მავალებდა. როცა პროტესტს გამოვთქვამდი, მპასუხობდა ხოლმე: თუ რამე გინდა გააკეთო, საქმე დაკავებულ ადამიანს დაავალე! მართალიც არის. მე ყველაფერს ისე ვაკეთებ, რომ მერე მავიწყდება კიდეც ჩემი გაკეთებული რომ არის. ჩემს თავს ვეკითხები ხოლმე – კამერის ეს მოძრაობა საიდან? ან ეს დიზაინი როდის გავაკეთე? ისე არ მახსოვს არაფერი, რომ ხანდახან მგონია, სანამ მეძინა, გნომები მოვიდნენ და ჩემი საქმე თვითონ გააკეთეს. თუმცა, ვიცი, ეს იმიტომ ხდება, რომ როცა ვშრომობ, შემოქმედებით სიჩქარეში დეტალებს და შრომის შედეგს ვერც ვამჩნევ. მე ამას ფიქრის სისწრაფით მოქმედებას ვუწოდებ".

დაბოლოს, როდრიგესი ბავშვურია არა მხოლოდ კამერასთან. თავის ფანტაზიებს და იუმორს პირველ რიგში ცხოვრებაში იყენებს. მის შვილებს მსოფლიოში ყველაზე უცნაური სახელები ჰქვიათ: როკეტ (რაკეტა) ვალენტინი, რეისერ (მრბოლელი) მაქსიმილიანო და რებელ (აჯანყებული) ანტონიო. ასეთი უცნაური იდეები როდრიგესს წამიერად მოსდის ხოლმე. ერთხელ, საკუთარ ვერანდაზე მდგომმა (რომელიც მდინარეს გადაჰყურებს) "ნიუ იორკ ტაიმსის" ჟურნალისტს ბავშვურად აღტაცებულად უთხრა: "იცით, აქ რა უნდა გავაკეთო? ამ მდინარეში ზღვის სელაპის თავი უნდა დავამონტაჟო. შემდეგ აივანზე ბავშვებს გამოვიყვან, საიდუმლო ღილაკზე დავაჭერინებ თითს და მათ ბრძანებაზე მდინარიდან თავს სელაპი ამოყოფს. შემიძლია ამის გაკეთება. ეს ხომ ფანტასტიკური იქნება".


კადრი ფილმიდან REUTERS


ანტონიო ბანდერასი და რობერტ როდრიგესი REUTERS

## უნიკალური აღმოჩენა დმანისში

მაშავერას ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებმა დმანისის რაიონის სოფელ განთიადში 1998 წელს დაწყებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად უნიკალური ნივთები იპოვეს. აღმოჩენილია 1 მეტრი და 10 სანტიმეტრის სიმაღლის ქვის სტელა, სადაც გამოსახულია ღვთისმშობელი მაცხოვრით ხელში.

არქეოლოგების ვარაუდით, სტელა მეხუთე-მეექვსე საუკუნეებს განეკუთვნება, ადგილი კი, სადაც იგი აღმოჩენილია, შესაძლოა, ადრე ქვის სათლელი სახელოსნო იყო. არსებობს მეორე ვერსიაც, თითქოს, ამ ადგილებში მართლმადიდებლური ეკლესია იდგა, რომელიც, სავარაუდოდ, VII-VIII საუკუნეებში დაინგრა.

აღმოჩენილ სტელაზე ასომთავრულით ამოტვიფრულია სიტყვა „დღე“. როგორც მაშავერას ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის ერთ-ერთმა წევრმა კახა კახიანმა განაცხადა, სოფელ განთიადში გათხრების შედეგად უკვე აღმოჩენილია ჯვრის ფრაგმენტები, უძველესი საკულტო რელიგიური ძეგლები, ქვის ჯვრების ფრაგმენტები მცენარეთა ორნამენტებით, ფარშევანგის გამოსახულებით.

## გია ყანჩელი რიგაშია

რიგაში დაიწყო სასულე მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც სახელმწიფო აკადემიური გუნდის, “ლატვიის” 60 წლისთავს ეძღვნება. დომსკის ტაძარში, ფესტივალის გახსნის ცერემონიაზე კონცერტი გამართა ცნობილმა კომპოზიტორმა გია ყანჩელმა. კომპოზიტორი რიგაში საგანგებოდ ფესტივალისთვის ანტვერპენიდან ჩავიდა.

სექტემბრისთვის ყანჩელი მოსკოვში, კალიაგინის თეატრში რობერტ სტურუასთან ერთად სპექტაკლზე დაიწყებს მუშაობას.

## CIFA-ს სიმბოლო წელს ქართული ჩოხა იქნება

კავკასიის საერთაშორისო რეკლამის ფესტივალის CIFA-ს თანაორგანიზატორი კომპანია „მაგი-სტილი-ოგილვი“ ფესტივალის საფირმო სტილზე ზრუნავს.

„მაგი-სტილი-ოგილვის“ არტ-დირექტორის ირინე კაჭარავას თქმით, წლეულს CIFA-ს სიმბოლო ქართული ჩოხა იქნება. ჩოხის გულისპირი, რომლის ბუდეები და მასრები კლავიშების ასოციაციას იწვევს, მუსიკალურ ნოტებთან „სი“ და „ფა“-სთან იქნება გაიგივებული. უცვლელი დარჩება CIFA-ს ლოგოტიპი.

კომპანია „მაგი-სტილი-ოგილვი“ 13 სექტემბერს გეგმავს სარეკლამო ფოტოების გამოფენას, სადაც წარმოდგენილი იქნება ფოტოგრაფებისა და დიზაინერების ერთობლივი ნამუშევრები. კავკასიის საერთაშორისო ფესტივალი 11 სექტემბერს გაიხსნება და ხუთ დღეს გაგრძელდება.

## პეტერბურგში გიორგი ტოვსტონოგოვის ძეგლი გაიხსნება

პეტერბურგში ქართველი მოქანდაკის, თეიმურაზ მურვანიძის შექმნილი გიორგი ტოვსტონოგოვის ძეგლი გაიხსნება.

დიდით ქართველი ცნობილი საზოგადო მოღვაწე, რეჟისორი, პეტერბურგის თეატრალური სკოლის მამამთავარი და მცირე თეატრის დამაარსებელი, გიორგი ტოვსტონოგოვი 1950-იანი წლების ბოლომდე თბილისის გრიბოედოვის სახელმწიფო რუსული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო.

ტოვსტონოგოვის ძეგლზე თეიმურაზ მურვანიძემ მოქანდაკე გია ჯაფარიძესა და არქიტექტორ, ვლადიმირ პოპოვთან ერთად იმუშავა. ძეგლის გახსნა პეტერბურგში 27 მარტს - თეატრის საერთაშორისო დღეს იგეგმება. ამავე დღეს პეტერბურგის დიდ დრამატულ თეატრში გიორგი ტოვსტონოგოვის ხსოვნის საღამო მოეწყობა, რომელსაც მისი ქართველი მოსწავლეებიც დაესწრებიან. საბოლოო გადაწყვეტილება, სად დაიდგმება ძეგლი, ჯერ-ჯერობით არ მიუღიათ. გარდა ამისა, თეიმურაზ მურვანიძე გიორგი ტოვსტონოგოვის ქანდაკების შექმნასაც გეგმავს, რომელიც სავარაუდოდ, ერთ წელიწადში იქნება მზად. ქანდაკების შექმნის ხარჯების ნაწილს საქართველო გაიღებს.

## თბილისს მსოფლიოს საუკეთესო მუსიკალური კლუბების შემსრულებლები ეწვევიან

შემოდგომაზე თბილისში მსოფლიოს საუკეთესო მუსიკალური კლუბების შემსრულებელთა ფესტივალი დაიწყება. ფესტივალი ქართველი პრომოუტერებისა და ინგლისელი პროდიუსერის "ლეიბელ ცელულოიტის" ერთობლივი ორგანიზებით გაიმართება. მის ფარგლებში თბილისს მსოფლიოს საუკეთესო კლუბების, მათ შორის პარიზის "დელ მარისა" და "ბუდა-ბარის", ლონდონის "მინისტრი ოფსენდის" შემსრულებლები ეწვევიან.

მსოფლიოს საუკეთესო მუსიკალური კლუბების ფესტივალი თბილისში 2003 წლის ოქტომბრამდე გაგრძელდება.

სცენარების კონკურსი
http://www.internews.ge/geo/psa
"ინტერნიუსი" აცხადებს კონკურსს სოციალური რეკლამების საუკეთესო სცენარების გამოსავლენად
თემები: ტრეფიკინგი და არალეგალური მიგრაცია
შერჩეული იდეების ავტორები მონაწილეობას მიიღებენ პროექტის შემდგომ განხორციელებაში და დაჯილდოვდებიან ფულადი პრემიით
სრული ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ "ინტერნიუსის" ოფისში მისამართზე:
ჭავჭავაძის გამზირი 74, მე-6 სართული
ტელ.: 25-38-60, 25-38-61, 25-38-62
info@internews.ge
http://www.internews.ge/geo/psa
პროექტების "ინტერნიუსში" წარდგენის ბოლო ვადაა 2002 წლის 7 სექტემბერი

# მოდა - სხეული - მოდა

## მეოცე საუკუნე

ანა კორძაია-სამადაშვილი

მოდის ყველაზე დამახასიათებელი თვისება მისი წარმავალობაა: მუდამ იცვლება, მუდამ ახლისკენ ილტვის. სწორედ ამ ცვალებადობის შესახებ გიამბობთ ერთი, მეოცე საუკუნის მაგალითზე.

ყოველი ეპოქის ფოტომოდელებს რომ გადავხედოთ, ჩვენს თვალწინ მთელი მეოცე საუკუნე ჩაირბენს – მოდა ხომ ოცნებებისა და სურვილების სარკეა.

საუკუნის დასაწყისი, ათიანი წლები, Belle Epoque. დღეს ჩვენთვის იმდროინდელი ყველაფერი მიამიტი და ძველმოდურია – არამარტო ვარცხნილობა, ტანსაცმელი და აქსესუარები. თვით იმდროინდელი სილამაზის იდეალები, ფოტოებზე ასახული ადამიანების მიმიკა და ჟესტებიც კი ხელოვნურია და უსიცოცხლო.

ამ ეპოქის ფოტოგრაფიას სინამდვილეში მოდასთან არაფერი აქვს საერთო. სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობით მოდელების გადაღება მხოლოდ ოციან წლებში დაიწყეს. გაჩნდა უამრავი ახალი ილუსტრირებული ჟურნალი და ფოტოხელოვნებამ მოდის პროპაგანდისტის როლი იკისრა. Golden Twenties დროინდელი მოდის დევიზი “დანახვა და ჩვენება” იყო. ქალები უკვე სულ სხვა პოზებში დგანან: თავდაჯერებული, თავისუფალი ქალები. ამის მიზეზი ძალიან მარტივია – ომი გამოვიარეთ, მამაკაცები შემოგვაკლდა, თავს უნდა ვუშველოთ! ამდროინდელი ე.წ. ახალი ქალი – იდეალურ ვარიანტში – ათიანი წლების საოცნებო ქალბატონისაგან ძალიან განსხვავდება: მუშაობს, თან დედაა და დიასახლისი, სპორტულად აცვია, თმა მოკლედა აქვს შეჭრილი და მამაკაცის თანასწორად გრძნობს თავს.

30-იან წლებში მუნჯიდან ხმოვან კინოზე გადასვლამ ამ ხელოვნების პოპულარობას დამატებითი ბიძგი მისცა. იმდროინდელ მოდას სწორედ კინოვარსკვლავები ქმნიდნენ და ისინი იყვნენ ძირითადად ფოტომოდელებიც. ასე გაჩნდა სილამაზის სრულიად ახალი იდეალები. მოდის ინდუსტრიის არნახული აყვავება მოხდა გერმანიაში, განსაკუთრებით, ბერლინში, სადაც შესანიშნავი ფოტოგრაფები და მოდელები მოღვაწეობდნენ. ნაციონალ-სოციალისტების ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ მათ ქვეყნის დატოვება მოუწიათ: სონია გეორგი, კარლ-ლუდვიგ ჰენხენი, ივა. 30-იანი და 40-იანი წლების სიმბოლო მარლენ დიტრიხი გახდა: მკაცრი და სექსუალური, მამაკაცებისა და ქალებისთვის თანაბრად მიმზიდველი.

ისევე, როგორც ყველაფერ სხვას, მეორე მსოფლიო ომმა მოდასაც დაღი დაასვა. ფასეულობები შეიცვალა, აღარავის მოსწონდა მილიტარისტული სტილი და მკვეთრი ხაზები. მიუხედავად სირთულეებისა, 50-იანებში მოდის ინდუსტრია ნელ-ნელა აღორძინდა. იმ წლებისათვის დამახასიათებელია Newlook – ნაზი და რომანტიული მოდა. ქალები კვლავ ხაზგასმით ქალურები ხდებიან, ჭრელ ტანისამოსს ატარებენ, თმას იზრდიან და საათობით ტრიალებენ სარკის წინ – მოგვბეზრდა ომი, მშვიდობაა, მოდი, გავიპრანჭოთ! სწორედ მაშინ აღაფრთოვანა მსოფლიო თეთრმა, დიდმკერდიანმა და ფუმფულა მერლინ მონრომ.

დადგა სამოციანი წლები – სამშვიდობო დემონსტრაციები, აღმოსავლური ფილოსოფია, თანასწორუფლებიანობისთვის ბრძოლა და სხვა და სხვა. ჰიპების Flowerpower ყველაფერში აისახა, ცხადია, მოდაშიც. 60-ანებში მოდაში შემოსული ტანსაცმლის ტარება თითქოს სრულიად წარმოუდგენელი იყო, სილამაზის ეტალონებად ისეთი ქალები იქცნენ, რომელთაც მანამდე თანაგრძნობით თუ გააყოლებდნენ თვალს – მინიკაბები მოურიდებლად აშიშვლებდა გამხდარ ფეხებს, გაწეწილ თმაში ყვავილები იყო ჩაბნეული. მშვენიერი ქალბატონები იყვნენ, მხიარული, საინტერესო, უასაკო: ჯეინ ბირკინი, ნიკო, ტვიგი...

თუმცა, შემდეგ ათწლეულში სამოციანელთა იდეები და შემართება არააქტუალური გახდა, სილამაზის იდეალები და სტილი დიდად არ შეცვლილა. ქალები უკან აღარ იხევდნენ, იმ წლების მოდა თითქოს არად აგდებდა მამაკაცების გემოვნებას: თუ არ მოგწონვართ, თვალი აგვარიდეთ!

ხოლო რაც შეეხება გასული საუკუნის ბოლო ორი ათწლეულის მოდას, მის შესახებ ლაპარაკი საკმაოდ რთულია. 80-იან და, განსაკუთრებით, 90-იან წლებში ამ ცნებამ თითქოს საერთოდ დაკარგა აზრი: თუ ლამაზი სხეული გაქვს – ხელს ვინ გიშლის, გაშიშვლდი, თუ დაოსი ბერის იმიჯი გიზიდავს – არც ესაა პრობლემა! ამიერიდან ყველაფერი ნებადართულია! მთავარია, ჩვენ ვიყოთ კარგად.


ოდრი ჰეპბერნი



კრისტი ტარლინგტონი


Belle Epoque


ნიკო

# წითელი და თეთრი

## ახალგაზრდული სენსაცია ამერიკიდან

ვერა ნეფარიძე

**White Stripes მორიგი მუსიკალური საოცრებაა ამერიკიდან, ოღონდ არა ნიუ-იორკული (ისევე როგორც The Strokes), - უაიტების დუეტი მუსიკალურ სამყაროში დეტროიტიდან შემოიჭრა. ისინი ნამდვილი ნიჰილისტები არიან. ბრიტანული ტურნეს წყალობით უაიტები ინგლისში ნამდვილ ვარსკვლავებად აღიარეს, ამერიკელები კი სრულად იზიარებენ ინგლისელთა აღფრთოვანებას.**

და-ძმამ, ჯეკ და მეგ უაიტებმა, ჩვენს თვალწინ სასწაულების მთელი წყება მოახდინეს: ისინი უკრავენ ყველაზე მოსაწყენ მუსიკას – ბლუზს, მაგრამ ისე გაბედულად, რომ მათი შესრულებით ეს მუსიკა სხვაგვარად, ახლებურად ჟღერს; ისინი იცმევენ მხოლოდ თეთრსა და წითელ ტანსაცმელს და ასეთი, არაჩვეულებრივად შეხამებული ფერები ამერიკაში თანადათან მკვიდრდება მოდაში. “ერთხელ აფთიაქში შევედით, დავინახეთ პიტნის შაქარყინული და გავიფიქრეთ, რომ სწორედ ასეთი მუსიკა გვაქვს – ახალგაზრდული და სულელური. მაშინ გადავწყვიტეთ, წითელი და თეთრი ჩვენი ფერები ყოფილიყო,” – ამბობს ჯეკი.

პირველი, რითაც ყურადღებას იქცევს ეს ჯგუფი, შემადგენლობაა. White Stripes-ში ორი, ირონიული და ნიჭიერი წევრია – 25 წლის ჯეკი და 23 წლის მეგი უაიტები. უკრავენ ალტერნატივას – საშუალოს, მძიმე ფოლკ-როკსა და ავტო-ფარეხების ტიპიურ პროდუქციას შორის. რა თქმა უნდა, ანდერგრაუნდულ მუსიკაში არ გაგიჭირდებათ აღმოაჩინოთ ბევრი ისეთივე ჟღერადობის ჯგუფი, როგორიც White Stripes-ია, მაგრამ, უაიტების დუეტი იმდენად ახალგაზრდული და მშვენიერია, რომ მათი ადგილი ნამდვილად არ არის ნესტიან ავტოფარეხებში.

White Stripes-ის ჟღერადობის მარცვლები ბლუზსა და პანკში უნდა ეძიოთ. მათი მუსიკა საკმაოდ სხვადასხვაგვარია: ქარიშხლისმაგვარი ყვირილიდან ისინი იოლად გადადიან რბილ და ნათელ პოპ-სიმღერებზე, Kinks-ის სტილში; შემდეგ კვლავ შეშლილ მუსიკას უბრუნდებიან და ა.შ. რომანტიული და მძაფრი მუსიკის ასეთი გამთლიანება Pixies-ის შემდეგ არ აჟღერებულა. უკრავენ ორწუთიან კომპოზიციებს; შესრულების ტექნიკა მეორეხარისხოვანია – ორ და სამ-აკორდიანი კომპოზიციებისთვის ტექნიკა ხომ დიდად არაა საჭირო. ჯეკი ალტერნატიული მუსიკოსებისთვის დამახასიათებელი ვოკალით მღერის – ასეთია მათი იმიჯი წლების განმავლობაში. უაიტები 1997 წლიდან უკრავენ და წერენ ალბომებს, მაგრამ მათი დრო ახლა დადგა, როდესაც გამოვიდა დისკი White Blood Cells, - წლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მსოფლიო მუსიკალური მოვლენა.

“გვინდა, ჩვენი მუსიკა დაშორდეს იმ ადგილს, სადაც სიყალბე იბადება,” – ჯეკის ამ ფრაზას ფონს უქმნის ჯგუფის მოღვაწეობის სტილი. ახალგაზრდები არანაირად არ ცდილობენ ხმამაღალი, სკანდალური და ორიგინალური ხერხებით საზოგადოებისა და მასმედიის ყურადღების მიპყრობას. თუმცა, ისინი მაინც გაიხლართნენ პოპულარული ადამიანებისთვის დამახასიათებელი ინტრიგების ქსელში.

ჭორები იმის შესახებ, რომ ჯეკი და მეგი ცოლ-ქმარი არიან, ევროპაში მას შემდეგ უფრო გამყარდა, რაც ინტერნეტში წარმოდგენილი იყო საქორწინო კონტრაქტის ასლი, რომელიც ჯეკისა და მეგის ქორწინებას ამტკიცებდა. ამ დოკუმენტის მიხედვით, მათი ქორწინება 1996 წლის 21 სექტემბერს დარეგისტრირდა, ხოლო ცერემონია მიჩიგანში გაიმართა. ვინმე ჯეფ საბიტინი ამტკიცებს, რომ საქორწინო დოკუმენტი დეტროიტში Wayne County Records-ის ოფისიდან აიღო. თუმცა, ამის დადასტურება შეუძლებელი გახდა, რადგანაც აღნიშნული ოფისის წარმომადგენლები არ პასუხობენ პრესის შეკითხვებს.

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 აღსავალი 08.20, 10.10, 21.55, 00.45 მუსიკა 08.25 მხ.ფ. "ზღვის მიღმა" 10.20 მხ.ფ. "ქალაქებიდან შორს" 20.00 მხ.ფ. "სექტემბერი" 22.30 მხ.ფ. "ლტოლვილი მატარებელი" 00.50 ღამის ფილმი

### პირველი სტერეო

07.30 "მადლიანი ცნობა" 10.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა" 12.30 "ვიდეო-რადიო" განმეორებით 14.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "როკისა და ბულვინკლის თავგადასავალი" 16.00 "უცნობი" 17.00 მუსიკა 19.00 ქართული მუსიკა 19.30 "ვიდეო-რადიო" 21.00 რომანტიკული მუსიკა 22.00 ინფორმატორი 23.00 "ცენტრი" 00.00 "ბრავო" მხ.ფ. "გოროტების სამყოფელი". მთ. როლებში მილა იოვოვიჩი, მიშელ როდრიგესი 01.40 ღამურა "ძალიან ველური რამეები". მთ. როლებში კრისტიან სლეიტერი, ჯონ ფავრო 03.10 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 ინდ. მხ.ფილმი 14.30 მხ.ფ. "შემართულად" 16.00 მხ.ფ. "ლამაზმანი ჯო" 17.30 მხ.ფ. "გოძილა" 19.40 მხ.ფ. "ბებერ ჯაგლაგები" 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 21.40 მხ.ფ. "დიდების 15 წუთი" 00.20 მხ.ფ. "დრაკულა"

### მეცხრე არხი

09.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" 09.20, 11.50, 13.20, 18.45, 20.50, 23.55 მუსიკა 09.35 მულტფილმი "მეომარი ბაყაყები" 10.00, 15.00 "დილა" 11.20 "ევროპის სტადიონებზე" 12.00, 17.50 დისქავერი 12.30 გადაცემა "საუბრები სტუდიაში" 13.35 მხ.ფილმი "ჩვენ ჯაზიდან ვართ" 16.20 მხ.ფილმი "ალი ბაბა და 40 ყაჩაღი" 19.10 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 19.30 "მსოფლიო ფეხბურთი" 20.00 სად? რა? როდის? 21.00 დოკ. ფილმი "მიკროკოსმოსი" 22.15 მხ.ფ. "მოიშორეთ კარტერი". მთ. როლებში სილვესტერ სტალონე, მიკი რურკი 00.15 მხ.ფ. "სასტიკი რომანსი". მთ. როლებში ლარისა გუზეევი, ნიკიტა მიხალკოვი

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი "ბურთი და მოედანი" 09.55 Слово 10.25 სათავგადასავლო ფილმი "ნაპოლეონი" 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 12.15 ვესთერნი "მხედარი გვიახლოვდება" 14.10 დრამა "შინდერის სია", 2 სერია 16.15 მულტფილმი "ცეროდენა გოგონა" 17.40 თრილერი "უკანასკნელი მსხვერპლი" 19.20 დოკუმენტური ფილმი 20.45 ქართული მხატვრული ფილმი "ჭრიჭინა" 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 22.30 Новости в воскресенье 22.50 "სათქმელი" 23.20 დოკუმენტური ფილმი 00.30 დრამა "ჰილარი და ჯეკი" 03.30 კომედია "ლიფტი" 05.00 დოკუმენტური ფილმი

### VII არხი

18.00,19.30,01.30 ანონსი 18.30,21.50 ამინდის პროგნოზი 18.25 "ლა-ლა-ლა" 19.00 "აჩიკუდა" 19.30 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 20.05 "მელოდია" 20.35 "ავტოტრეკინგი" 21.17 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 21.55 "კინოკლუბი" - "მაღალი ქერა შავფეხსაცმლიანი მამაკაცი". საფრანგეთი. 1982 წელი. კომედია. რეჟ. ივ რობერი როლებში: პიერ რიშარი. 23.10 "მელოდია" 23.45 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 00.15 "კინოკლუბი" - "მხიარული აღდგომა" .შ.შ. 1984 წელი. კომედია. რეჟისორი - ჟორჟ ლოტნერი. როლებში: ჟან პოლ ბელმონდო, სოფი მარსო. 01.55 "სახლიდან გაუსვლელად" 02.30 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.50 "ТАЙНА ДВУХ ОКЕАНОВ". 2-я серия. 09.00, 15.00 Новости. 09.10 Служу России! 09.40 Дисней-клуб: "Тимон и Пумба". 10.05 "ЗАБЫТОЕ УБИЙСТВО". Часть 2-я. 11.00 Новости (с субтитрами). 11.10 Непутевые заметки с Дм.Крыловым. 11.30 Пока все дома. 12.05 "РАСПИСАНИЕ НА ПОСЛЕЗАВТРА". 13.45 "Ералаш". 14.00 Спасатели. Экстренный вызов. 14.30 Дисней-клуб: "Микки Маус и его друзья". 15.10 Живая природа. "Правда о гризли". 16.10 Сериал "БЕГЛЕЦ". 17.00 "Знатоки" возвращаются. в детективе "ПОДПАСОК С ОГУРЦОМ". Дело N 14. 2-я серия. 18.50 Концерт "Завтра в школу". 19.55 Джон Траволта в супербоевике Джона Ву "СЛОМАННАЯ СТРЕЛА". 22.00 Время. 22.30 Марлон Брандо и Вэл Килмер в остросюжетном фильме "ОСТРОВ ДОКТОРА МОРО". 00.25 "На футболе" с Виктором Гусевым. 00.50 Мэрилин Монро живет по-соседству в фильме "СЕМЬ ЛЕТ ЖЕЛАНИЯ".

### РТР

07.45 Андрей Войновский, Роза Агишева в фильме "ЧУДАК ИЗ ПЯТОГО "Б". 09.10 "Русское лото". 10.00 "ТВ Бинго шоу". 10.35 "Америка: год спустя. Цветы на камнях". 11.05 "Америка: год спустя. Памятная черта". 11.40 "ХА". Маленькие комедии. 11.50 "Городок". 12.25 Леонид Куравлев, Татьяна Пельтцер в комедии "ТЫ - МНЕ, Я - ТЕБЕ". 14.10 "Поколение "икс"- поколение "ноль"? 15.00 ВЕСТИ. 15.20 "Вокруг света". 16.15 "Диалоги о животных". 17.05 "Два рояля" 18.05 "Комната смеха". 19.00 Джек Николсон, Мишель Пфайффер в фильме "ИСТВИКСКИЕ ВЕДЬМЫ". 21.00 ВЕСТИ. НЕДЕЛИ. 22.10 Роберт Де Ниро, Джеймс Вудс в фильме Серджо Леоне "ОДНАЖДЫ В АМЕРИКЕ". 02.20 Чемпионат мира по автогонкам в классе "Формула-1".

### НТВ

07.40 Анонс дня. 07.45 Сериал "Неизвестная планета". 08.30 "Star старт" 09.00 Сегодня. 09.15 "ГУСАРСКАЯ БАЛЛАДА". 11.00 Сегодня. 11.20 Детектив "ОХОТА НА ЗОЛУШКУ" 12.20 "Растительная жизнь". 13.00 Сегодня. 13.25 Служба спасения. 14.00 Фильм "ДОЖИВЕМ ДО ПОНЕДЕЛЬНИКА". 16.05 Своя игра. 17.00 Сегодня. 17.25 Ток-шоу. "Принцип "Домино". 18.35 "Очная ставка". "Четырнадцать негритят". 19.10 "Новейшая история": "1986г. "Гибель "Адмирала Нахимова". 20.00 Сегодня. 20.30 "ОХОТА НА ЗОЛУШКУ" 21.35 "ДОННИ БРАСКО - СТУКАЧ" (США). 00.00 "ОХРАННИК ДЛЯ ДОЧЕРИ (САРА)" (Польша). 02.15 - 04.00 "Пепси-чарт".

# "მე, დევიდ ბექჰემი...."

ნინო პირველი

სავარაუდოდ, ასე ერქმევა წიგნს, რომელიც დღის სინათლეს 2003 წლის შემოდგომაზე იხილავს და, გამომცემელთა აზრით, მაშინვე ბესტსელერად იქცევა. დიახ, "მანჩესტრ იუნაიტედისა" და ინგლისის ნაკრების ექსტრაორდინარულმა ვარსკვლავმა დევიდ ბექჰემმა ავტობიოგრაფიის დაწერა გადაწყვიტა, რისთვისაც ის გამომცემლობა "HerperCollins"-ს დაუკავშირდა. "ბექსი" ფრიად სოლიდურ ჰონორარს მიიღებს - წიგნის გამოსვლის შემდეგ თავის მრავალმილიონიან ბიუჯეტს ის კიდევ ხუთი მილიონი ევროთი გაამდიდრებს.

საგამომცემლო სახლის დირექტორი მიხაელ დოგარტი აღფრთოვანებულია ამ იდეით და ეჭვიც არ ეპარება, რომ "სპაის ბოის" ავტობიოგრაფია საზოგადოებაში დიდ რეზონანსს გამოიწვევს. "ეს ჩვენთვის საოცრება იყო. ამაზე უკეთესს ვერაფერს გამოვცემდით. ბექჰემის ბიოგრაფია 2003 წლის ბესტსელერი გახდება", - ირწმუნება დირექტორი.

თავად "ბექსისაც" სჯერა, რომ საზოგადოება უყურადღებოდ არ დატოვებს მის ნაშრომს. "ეს ჩემი პირველი ნამდვილი ავტობიოგრაფია იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ცხოვრების ცალკეული ეპიზოდები ადრეც მომიყოლია სახალხოდ. მიმაჩნია, რომ საკმაოდ საინტერესო ცხოვრების გზა გავიარე. შევეცდები, ჩემი ისტორია ხატოვნად გადმოვცე", – პირობას იძლევა ინგლისის ნაკრების კაპიტანი.

წიგნში ასახული იქნება ბექჰემის როგორც სპორტული, ისე პირადი ცხოვრების დეტალები. ბექჰემი ისაუბრებს "მანჩესტერ იუნაიტედზე", ინგლისის ნაკრებზე, აზიურ მუნდიალზე, არგენტინის ნაკრების კარში გატანილ ისტორიულ თერთმეტმეტრიანზე... "ბექსი" არც პირადი ცხოვრებისთვის აპირებს გვერდის ავლას, მკითხველი გაეცნობა ბექჰემისა და ვიქტორია ადამსის ოჯახურ ცხოვრებას, მათ ვაჟიშვილს - ბრუკლინს და მეორე ბავშვსაც, რომელიც სექტემბერში დაიბადება. ფეხბურთელი ირწმუნება, რომ ფანებს ყველაფერს გულახდილად მოუყვება. იქნებ საზოგადოებამ ახლა მაინც გაიგოს, თუ რატომ იცვლის "ბექსი" ასე ხშირად ვარცხნილობებს და რატომ აქვს მიდრეკილება ისეთი ფემინალური აქსესუარებისკენ, როგორიცაა ფრჩხილების ლაქი და ბიკინი.

ავტობიოგრაფიის დაწერის იდეა ორიგინალური სულაც არ არის. ბექჰემამდე "მანჩესტერ იუნაიტედის" კულუარული ცხოვრების ნიუანსებზე იაპ სტამმა და როი კინმა ილაპარაკეს და გვარიანი სკანდალიც გამოიწვიეს. ჰოლანდიელი იაპ სტამის ბელეტრისტული მოღვაწეობა იმით დასრულდა, რომ "მან იუმ" ის რომის "ლაციოს" მიჰყიდა. ირლანდიელმა როი კინმა კი ლამის დაშოკა საზოგადოება, როცა არხეინად განაცხადა, რომ 2001 წლის დერბის დროს "მანჩესტერ სიტის" ფეხბურთელს ალფ ინგე ჰაალანდს წინასწარი განზრახვით, შურისძიების მიზნით ჩაარტყა ფეხში, რადგან ჰაალანდმა ერთ-ერთ მატჩში მას ტრავმა მიაყენა.

როი კინის გაბრაზება ჰაალანდს ძვირად დაუჯდა, ის კარგა ხანს მკურნალობდა და ჯერაც არ ჩამდგარა ფორმაში. ასე მგონია, კინის ბუცის ნარჩენები ისევ სხეულში მაქვსო, ხუმრობდა დაზარალებული. ასეა თუ ისე, კინის ალიარებას, მეტოქე შეგნებულად დავასახიჩრეო, სკანდალი მოჰყვა. აქედან გამომდინარე, "მან იუს" ხელმძღვანელობა მაინცდამაინც არ აღფრთოვანებულა, როცა ბექჰემის იდეა გაიგო. ვინ იცის, რა მოუვლის თავში ახირებულ "სპაის ბოის" და კლუბისთვის არასასურველ რომელ დეტალს გამოამზეურებს სახალხოდ.


დევიდ ბექჰემი REUTERS

# პატარკაციშვილს ყრილობაზე არ შეუშვებენ

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ თავისი პირველი პრესკონფერენცია გამართა უეფა-ს გრანტით აშენებულ სფფ-ს ახალ ოფისში. პრესკონფერენციას წინ უსწრებდა სფფ-ს აღმასრულებელი კომიტეტის ბოლო სხდომა, რომელზეც საბოლოოდ დადგინდა 24 აგვისტოს ყრილობის ჩატარების დეტალები.

ჟორდანიას თქმით, ამ სხდომაზე მან აღმასკომის წევრებს მადლობა გადაუხადა გასული ოთხი წლის განმავლობაში გაწეული ნაყოფიერი მუშაობისთვის.

წინასწარ დაგეგმილისამებრ, სხდომას დაესწრო და აღმასკომს სიტყვით მიმართა სფფ-ს პრეზიდენტობის კანდიდატმა დავით პეტრიაშვილმა. ბატონმა დავითმა შეკრებილთ სთხოვა, ყრილობაზე სტუმრის სტატუსით მიეწვიათ ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი. "ჩემი და საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივნის ემზარ ზენაიშვილის წინააღმდეგობის მიუხედავად, აღმასკომმა პეტრიაშვილის ეს თხოვნა არ დააკმაყოფილა", - აღნიშნა ჟორდანიამ. სფფ-ს პრეზიდენტის იმედგაცრუება იმანაც გამოიწვია, რომ პეტრიაშვილმა სიტყვით გამოსვლისას ისაუბრა არა საფეხბურთო საკითხებზე, არამედ არჩევნების ჩატარების წესზე და ბატონ დავითს, როგორც ჟორდანიამ გვითხრა, ერთგვარი ულტიმატუმიც კი წაუყენებია აღმასკომის წევრებისთვის. კერძოდ, პრეზიდენტობის კანდიდატის მუქარის მიხედვით, თუ აღმასკომის წევრები ყრილობის მუშაობასა და კენჭისყრაში მიიღებდნენ მონაწილეობას, მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძვრებოდა. ჟორდანიას თქმით, ასეთი აკრძალვით თვით სასამართლოს აღმასრულებლებს არ მიუმართავთ აღმასკომის წევრებისთვის, მით უმეტეს, პეტრიაშვილს ამის არც მორალური და არც იურიდიული უფლება არ ჰქონდა.

აღმასკომის სხდომაზე განიხილეს და არ დააკმაყოფილეს რამდენიმე მანდატის დამატების საკითხი. კერძოდ, კახეთისა და აფხაზეთის ფეხბურთის რეგიონული ფედერაციების პრეზიდენტების, შესაბამისად, გოჩა როსტომაშვილისა და მურად ანჯაფარიძის თქმით, მათ ფედერაციებს დამატებით ეკუთვნით თითო ხმა. ეს ორივე საფეხბურთო ფუნქციონერი ყრილობის დელეგატია, მაგრამ მანდატი მიღებული აქვთ, როგორც აღმასკომის წევრებს. იმერეთის რეგიონულ ფედერაციას კი ამ თვალსაზრისით ორი მანდატი ხვდა წილად: ერთი – აღმასკომის წევრობის, ხოლო მეორე – სფფ-ს სუბიექტის. ასევე ხმის უფლებას ითხოვდა სფფ-ს კიდევ ერთი სუბიექტის – ქალთა ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი ვაჟა ჟვანია. ჟორდანიას თქმით, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ზემოთ დასახელებული სამეული მას უჭერს მხარს და, მათთვის ხმების დამატების შემთხვევაში, რისი იურიდიული საფუძველი აღმასკომს ნამდვილად ჰქონდა, იგი არჩევნებში დამატებით სამ ხმას მიიღებდა. იმ დროს კი, როცა არჩევნების მოსაგებად სულ 31 ხმაა საჭირო, სამი ხმა მართლაც ძვირად ფასობს. ამის მიუხედავად, ჟორდანიას რეკომენდაციით, აღმასკომმა არ დააკმაყოფილა ეს საკითხი და ყრილობაში ხმის უფლებით, აღმასკომის მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, 61 დელეგატი მიიღებს მონაწილეობას.

# ჩივაძე თურქეთთან მარცხში კატასტროფას ვერ ხედავს

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩართვის წინ გენერალური რეპეტიცია აშკარად ჩააგდო - დიდი ანგარიშით 0:3 დამარცხდა თურქეთის ნაკრებთან. ამ მატჩის შესახებ კომენტარი ვთხოვეთ ნაკრების მთავარ მწვრთნელს ალექსანდრე ჩივაძეს. ბატონი ალექსანდრეს აზრით, ამ მარცხში საგანგაშო და კატასტროფული არაფერია: "მართალია, დიდი ანგარიშით დავმარცხდით, მაგრამ ეს ჭკუის სასწავლებელი კარგი გაკვეთილია შვეიცარიის ნაკრებთან მატჩის წინ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სწორად მოიქცა, როდესაც ესტონეთის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრაზე უარი თქვა და სპარინგ-პარტნიორად მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი თურქეთის ნაკრები გამოგვიძებნა. ესტონელებთან შეხვედრა ბევრს არაფერს მოგვცემდა, თურქებთან მატჩმა კი თვალსაჩინო გახადა ჩვენი სუსტი მხარეები და ანალიზის საშუალება მოგვცა. იმასაც შეგახსენებთ, რომ ჩვენ ტრაბზონში მატჩის წინა დღეს ჩავედით და ნაკრების ფეხბურთელებმა მხოლოდ ერთხელ ივარჯიშეს. თანაც, რამდენიმე დებიუტანტი გვყავს.


ალექსანდრე ჩივაძე გოგიტა ბუხაიძის ფოტო

რაც შეეხება ჩვენს მეტოქეს, მან შვიდი მატჩი ჩაატარა მსოფლიო ჩემპიონატზე და ყველამ კარგად ნახა, როგორი შეთამაშებული და ერთ მუშტად შეკრული გუნდია. სამწუხაროდ, ჩვენმა რამდენიმე ფეხბურთელმა იმედები გამიცრუა. მათი გვარების დასახელებისგან ჯერჯერობით თავს შევიკავებ, თუმცა, ვიტყვი, რომ ის ფეხბურთელები, დიდი გამოცდილებისა და მაღალი ოსტატობის მიუხედავად, თამაშს გულით არ მოეკიდნენ, შეიძლება ითქვას, დაბალი პროფესიონალიზმი გამოავლინეს. თუ საბოლოოდ დავრწმუნდი ამაში, მათთვის ნაკრების კარი დაიხურება.

ერთადერთი დადებითი ეპიზოდი, ალბათ, ის იყო, რომ მოედანზე თავისი სურვილით გამოვიდა კახა კალაძე. კახა შვეიცარიის ნაკრების წინააღმდეგაც ითამაშებს, რაც ჩვენთვის უდიდესი სტიმულია.

იმედი მაქვს, 8 სექტემბრამდე (შვეიცარიის ნაკრებთან მატჩის თარიღი, - რედ.) გამოჯანმრთელდებიან ხიზანიშვილი და მენთეშაშვილი. ვაპირებთ თემურ ქეცბაიასთან დაკავშირებასაც. შეკრებაზე, რომელსაც გერმანიის ქალაქ რუიტში 31 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე გავმართავთ, საბოლოოდ დადგინდება ნაკრების შემადგენლობა."

# მარადონას მექსიკელობა სწადია

დიეგო მარადონა, როგორც ჩანს, მაინც იმედოვნებს, რომ ის ისევ შეძლებს აქტიურ სპორტში დაბრუნებას.

არგენტინული ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში მარადონამ განაცხადა, რომ დიდი სიამოვნებით ჩაუდგებოდა სათავეში მექსიკის ნაკრებს და მას გერმანიის მუნდიალისათვის მოამზადებდა. ექსვარსკვლავს არ დაუკონკრეტებია, თუ რამ გადააწყვეტინა მაინცდამაინც მექსიკის ეროვნული გუნდის თავკაცობა, მაგრამ ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ მექსიკის ფეხბურთის ფედერაცია არგენტინის ნაკრების უიღბლო ხელმძღვანელის, მარსელო ბიელსას კანდიდატურით იყო დაინტერესებული და მარადონას განცხადების მიზეზი, სწორედ, ამაშია.

მექსიკელებს მარადონასთვის წინადადება არც კი შეუთავაზებიათ. ისინი ხავიერ აგირეს შემცვლელს არგენტინელ რიკარდო ლავოლპეს, ბრაზილიელ რიკარდო ფერეტისა და თანამემამულე უგო სანჩესს შორის აარჩევენ.

# ვის მიეყიდა ბირონ მორენო?

აზიური მუნდიალის შემდეგ იტალიაში ეკვადორელი არბიტრის ბირონ მორენოს სახელი ყველაზე შეურაცხმყოფელი, სალანძღავი სიტყვაა. ფეხბურთის მოყვარულთ, ალბათ, ჯერ კიდევ კარგად ახსოვთ იტალია-სამხრეთ კორეის სკანდალური მერვედფინალი, სადაც მორენომ იტალიელებს "ოქროს გოლი" არ ჩაუთვალა და პენალტის დანიშვნის მაგივრად, ფრანჩესკო ტოტი გააძევა. ამ მატჩმა მსოფლიოში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და ფიფა-მ, მორენოს არაობიექტურობის თაობაზე, 400.000 საჩივარი მიიღო. იტალიელმა ჟურნალისტებმა ისიც გამოჩხრიკეს, რომ მორენოს მუნდიალის შემდეგ ახალი "შევროლე" უყიდია და დასასვენებლად მაიამიში წასულა. ჰოდა, აქედან გამომდინარე, იტალიელები ფიფა-ს სთხოვენ, გაარკვიოს, მორენომ ასე უცბად საიდან იშოვა ამდენი ფული, თუ კორეელებთან არ იყო "შეკრული` და "სკუადარა აძურას" შეგნებულად არ წააგებინა.

# ესპანელთა ახალი კაპიტანი

მადრიდის "რეალისა" და ესპანეთის ნაკრების ახალგაზრდა ფორვარდი, რაულ გონსალეს ბლანკო ეროვნული გუნდის ახალი კაპიტანია. ნაკრებიდან ფერნანდო იეროს წასვლის შემდეგ, კაპიტნის სამკლაურის ტარების ყველაზე ღირსეულ კანდიდატად, სწორედ, რაული დასახელდა.

გუნდის ხელმძღვანელობის ასეთმა ნდობამ 25 წლის რაული ძალიან გაახარა და განაცხადა, რომ მისთვის დიდი პატივია ესპანეთის ნაკრების ლიდერის ამპლუაში ყოფნა. თუმცა, მან ესპანელებს განსაკუთრებული წარმატება მაინც ვერ მოუტანა. რაულის ხელმძღვანელობით, ესპანელებმა პირველი მატჩი უნგრეთის ნაკრებთან ჩაატარეს და მხოლოდ ფრეს მიაღწიეს.

# სიურპრიზი ჰოლანდისათვის

ირლანიის ნაკრების ახალგაზრდა თავდამსხმელი მეთიუ ჰოლანდი, თავადაც რომ არ ელოდა, ისე სწრაფად და უცნაურად აღმოჩნდა ბირმინგემის "ასტონ ვილაში." მუნდიალზე ჰოლანდმა საკმაოდ კარგად ითამაშა და გულშემატკივრები ფიქრობდნენ, რომ ირლანდიელი პრემიერლიგიდან გავარდნილ "იფსვიჩში" აღარ დარჩებოდა, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობას ფეხბურთელის გაშვება არ სურდა, რის გამოც თავად ჰოლანდიც დარწმუნებული იყო, რომ პირველ დივიზიონში, სულ მცირე, ერთი სეზონის გატარება მაინც მოუწევდა.

რომ არა ფინანსური კრიზისი, ჰოლანდი ბირმინგემის "ვილა პარკზე" მასპინძლის ამპლუაში, ალბათ, არც მოხვდებოდა. მაგრამ "იფსვიჩს" ძალიან გაუჭირდა და კლუბის პრეზიდენტი იძულებული იყო, ირლანდიელი ფორვარდი "ასტონ ვილასთვის" მიეყიდა.

# შურისძიების ტკბილი გემო

ნინო პირველი

9 აგვისტოს, როცა ბუნდესლიგამ სტარტი აიღო, ალბათ, ძნელად თუ იფიქრებდა ვინმე, რომ ორი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილის სათავეში არა ჩემპიონი "ბორუსია" ან ტოპკლუბად მიჩნეული "ბაიერნი", არამედ მეორე ლიგიდან ახლად გადასული "ბოხუმი" მოექცეოდა. გასული სეზონის პირველ სამეულს ჯერჯერობით თავი არაფრით გამოუჩენია – "ბაიერნი" მეოთხე ადგილზეა, "ბორუსია" - მეათეზე, "ბაიერი" კი მხოლოდ და მხოლოდ მეთორმეტეა.

სეზონი ჯერ ეს-ესაა დაიწყო და საგანგაშო ნამდვილად არაფერია, გრანდები თავის სიტყვას მოგვიანებით იტყვიან. ყველამ კარგად იცის, რომ ბუნდესლიგის სტაჟიანი ლიდერები აუცილებლად იბრძოლებენ პირველობისთვის. აქედან გამომდინარე, "ბოხუმისა" და "ბაიერის" მესამე ტურის მატჩს, ალბათ, არავინ მიაქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას, რომ არა ერთი ფაქტორი.

ლევერკუზენელთა ჭაღარაკულულებიანი თავკაცი კლაუს ტოპმიოლერი და "ბოხუმის" ულვაშა ხელმძღვანელი პეტერ ნოიურერი ერთმანეთის მოსისხლე მტრები არიან და შაბათის მატჩი ორივესთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. საქმე ის არის, რომ პეტერ ნოიურერმა პატივი არ სცა კლაუს ტოპმიოლერის ავტორიტეტს და მისი ვაჟი დინო ტოპმიოლერი უცერემონიოდ გაუშვა ფრანკფურტის "აინტრახტში", რითაც "ტოპის" დიდი გულისწყრომა გამოიწვია. მამას მიაჩნია, რომ მისი ვაჟი ნიჭიერი და პერსპექტიული ფეხბურთელია და "ბოხუმში" რომ დარჩენილიყო, ბევრ გოლს გაიტანდა და ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი გახდებოდა. ნოიურერს კი "ტოპის" 21 წლის მემკვიდრის შესაძლებლობებში ეჭვი ეპარება და აცხადებს, რომ დინოს მსგავსი ფეხბურთელები მას გუნდში არ სჭირდება.

"დინო ტოპმიოლერი "ბუხუმში" ყოფნისას ისე იქცეოდა, თითქოს "ბაიერთან" იყო კონტრაქტით დაკავშირებული და არა ჩვენთან. "აინტრახტში" რომ აღმოჩნდა, ეს მხოლოდ მისი ბრალია, მან ვერ შეძლო ისეთი დონის ჩვენება, რომ კლუბში დაგვეტოვებინა. ერთადერთი, ვისაც მისი პოტენციალის სჯერა, ეს მამამისია, თუმცა, არა მგონია, რომ კლაუს ტოპმიოლერი განსაკუთრებით აღფრთოვანებული იყოს თავისი შვილის ნიჭიერებით. ასე რომ იყოს, მას "ბაიერში" წაიყვანდა", - გესლიანად შენიშნა ნოიურერმა.

პასუხად კლაუს ტოპმიოლერმა შუბლი შეიჭმუხნა და პირქუშად ჩაილაპარაკა, ყველამ თავის თავს მიხედოსო. "ტოპმა" არ მოისურვა, სახალხოდ კომენტარი გაეკეთებინა, მაგრამ ერთი კი ცხადია: ის ნოიურერს არაფერს შეარჩენს და "ბოხუმის" გასანადგურებლად ემზადება. "სულაც არ მაღელვებს ის ფაქტი, რომ "ბოხუმი" ჯერჯერობით პირველ ადგილზეა. მან ხომ პირველ ორ ტურში ბუნდესლიგის ყველაზე სუსტ გუნდებს – "ნიურნბერგსა" და "კოტბუსს" მოუგო. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენც მოგვიგებენ", - ამბობს "ტოპი", რომელსაც კარგად ესმის, რომ ბალაკისა და ზე რობერტოს გაშვების შემდეგ "ბაიერს" ძალიან გაუჭირდება ჩემპიონობისთვის ბრძოლა.

"ბოხუმთან" მატჩი ტოპმიოლერისთვის ერთი რიგითი შეხვედრა ნამდვილად არ არის. ის თავის მტერს უპირისპირდება და მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობს. ფეხბურთელებს მან უკვე წაუყენა მოთხოვნა, რომელიც ულტიმატუმივით ჟღერს: "მე ვითხოვ გამარჯვებას და სამ ქულას, სულ ერთია - როგორ!". ნოიურერიც ამასვე ელის თავისი გუნდისგან და, უნდა ვივარაუდოთ, რომ ორი მწვრთნელის პირადული კონფლიქტი "ბაიარენაზე" დაძაბულ მატჩად გადაიქცევა.

# რონალდოს ბედი 24 საათში გაირკვევა

## "ინტერი" 60 მილიონს და სოლარის ითხოვს

აკა ტონია

გუშინ, საღამოს, რონალდო ჯერ კიდევ ბრაზილიაში იყო. თავის ევროპელ "დამკვეთს" თავდამსხმელი, წესით, დღეს უნდა დაუბრუნეს. უამრავი სპეკულაციის მიუხედავად, ეს "დამკვეთი", კვლავინდებურად, მილანის "ინტერია" და არა მადრიდის "რეალი".

ამის შესახებ "ინტერის" პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ კვირის დასაწყისში ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა. "ყველა სიგნალი, რომელიც "რეალისგან" მივიღეთ, ჩემთვის არასერიოზული წინადადებაა. ყოველივე ამის გამო ვაცხადებ, რომ რონალდო მომავალ სეზონშიც ჩვენთან ითამაშებს, მერე კი ვნახოთ", - თქვა მორატიმ.

"ინტერის" პრეზიდენტი მადრიდელთა "არასერიოზულობაში" იმ გარემოებას გულისხმობს, რომ "რეალი" მზად არ არის, რონალდოს სანაცვლოდ 100 მილიონი ევრო გაიღოს. მადრიდელები "ინტერს" რამდენიმე ათეულ მილიონს და რომელიმე თავიანთ ფეხბურთელს სთავაზობენ. მას შემდეგ, რაც მილანელებმა ფრანგი მაკელელე დაიწუნეს, "რეალი" მორატის 35 მილიონ ევროს და თავდამსხმელ ფერნანდო მორიენტესს სთავაზობდა.



რონალდო REUTERS

ეს წინადადება მორატისთვის იმდენად საინტერესო გამოდგა, რომ ამის შესახებ გასულ სამშაბათს "ლაციოს" პრეზიდენტს სერჯიო კრანიოტისაც კი ესაუბრა. თუმცა, არც იმდენად, რომ ამ წინადადებას დათანხმებოდა – მორატის კიდევ უფრო მეტი სურს.

გუშინ, საღამოს, "რეალის" პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა თავისი იტალიელი კოლეგა ფორმენტერას კუნძულზე, საკუთარ ვილაში მიიღო.

ისევე როგორც წინა შეხვედრები, უკანასკნელი მოლაპარაკებაც უშედეგოდ დასრულდა. მორატი რონალდოს სანაცვლოდ ახლა უკვე 60 მილიონ ევროს და მადრიდელთა არგენტინელ ნახევარმცველს სოლარის მოითხოვს. "რეალი" კი სოლარისთან განშორებისთვის მზად არ არის - ამ ფეხბურთელის გაყიდვის საკითხს მწვრთნელმა დელ ბოსკემ ვეტო დაადო.

შეხვედრის ბოლოს პრეზიდენტებმა ერთხმად განაცხადეს, რომ ამჯერად შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, მაგრამ მოლაპარაკებები გაგრძელდება.

ესპანური პრესა კი ამტკიცებს, რომ რონალდოს "რეალში" გადასვლა-არგადასვლის საკითხი უახლოეს 24 საათში გადაწყდება, თანაც, - დადებითად.

ერთი რამ ცხადია: თავისი კაპრიზების გამო, "ინტერი" უკვე სიამოვნებით გაყიდის რონალდოს, თუ მადრიდელთა წინადადება დააკმაყოფილებს, რადგან თავად მორატი ფეხბურთელზე საკმაოდ გაბრაზებული ჩანს.

"რონალდოს ჰგონია, რომ მას შეუძლია მოიქცეს, როგორც შვილი, რომელსაც საკუთარ მამასთან მუშაობა აღარ სურს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ის ჩემი შვილი არ არის. მან მე ძალიან გამაწბილა. განსაკუთრებით მაოცებენ მისი მენეჯერები, რომელთა საქციელი ყოველგვარ საზღვრებს სცილდება", - განაცხადა პრეზიდენტმა.

რონალდო კი, თავის მხრივ, ახალ განცხადებებს აკეთებს: "გაოგნებული ვარ იმით, რომ მორატი "ინტერში" ჩემს დარჩენაზე საუბრობს. მილანში კარგად იციან, თუ რატომ მინდა წასვლა და რატომაა გამორიცხული ჩემი იქ დარჩენა. იმედი მაქვს, ჩემს აზრს გაითვალისწინებენ".

რონალდოსთან დაახლოებული პირები იმასაც ამტკიცებენ, რომ ფეხბურთელი მილანში არ დაბრუნდება და ბრაზილიაში იქამდე დარჩება, სანამ თავად "ინტერი" არ შეელევა.

რაგბი

# სიტყვაძუნწი სტუმრები

პაატა თოთაძე

დევიდ კლაქსტონისა და ბობი კელის ნახვა არც ისე ადვილი აღმოჩნდა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანდა. ყოფილი მორაგბეები ისეთივე სისწრაფით გაურბოდნენ ჟურნალისტებს, როგორც თავის დროზე მოწინააღმდეგეებს. თუმცა, საბოლოოდ ისინი "24 საათმა" მაინც მოიხელთა.

"ნუ მიწყენთ, მაგრამ ვერაფერს გეტყვით, თუმცა, ბევრი არც არაფერი მაქვს სათქმელი", - თავის დაძვრენა სცადა კლაქსტონმა. შესაძლოა, ეს მართალიც ყოფილიყო, მაგრამ ის ფაქტი, რომ ორი ინგლისელი ქართველი მორაგბეების სანახავად იყო ჩამოსული, არ იძლეოდა ამის ვარაუდის საფუძველს.

როგორც შემდეგ გაირკვა, ინგლისელი მხოლოდ კლაქსტონი ყოფილა, კელი კი ირლანდიელი აღმოჩნდა, თუმცა, ინგლისურ ფირმაში მუშაობს. "დიდი ხნის წინათ ვთამაშობდი რაგბის, შემდეგ ტრავმის გამო თავი დავანებე, თუმცა, სპორტს საბოლოოდ მაინც ვერ ჩამოვშორდი. ჩვენი კომპანია Sports Player Management Ltd. სპორტსმენთათვის, ასე ვთქვათ, საუკეთესო პირობების შექმნაზე მუშაობს. მოკლედ, ეს არის სააგენტო, რომელიც სპორტის ამა თუ იმ სახეობაში წარჩინებულ, ნიჭიერ ახალგაზრდებს სხვადასხვა ქვეყნის კლუბებში გადასვლაში ეხმარება. საქართველოში ჩვენი ჩამოსვლაც ბოლო წლებში აქაური რაგბის წინსვლამ განაპირობა. რატომღაც ყველა საფრანგეთში მიდის, ეგებ სხვაგან უკეთესი იყოს?"

ეს იყო და ეს. ირლანდიელ კელის, რომელიც სიტყვაძუნწობით გამოირჩეოდა, სხვა არაფერი უთქვამს. სამაგიეროდ, კლაქსტონმა ისაუბრა თავისი ვოიაჟის შედეგებზე, თუმცა, ის კი არ დაუკონკრეტებია, ვინ უთხრა, ენას კბილი დააჭირე და ეცადე, ჟურნალისტებს არ დაენახოო. არადა, ფაქტია, რომ ასეთი მითითება თუ რეკომენდაცია ნამდვილად მიიღო. "ჩემი ინფორმაციით, აქ ცოტა სხვანაირი ვითარებაა, ვიდრე სხვა ქვეყნებში და ჟურნალისტებისგან თავის შორს დაჭერა ამიტომაც მირჩიეს", - აღნიშნა კლაქსტონმა. კითხვაზე, თუ რას გულისხმობდა სიტყვებში "აქ სხვანაირი ვითარებაა", ასე უპასუხა: "მე მხოლოდ ის მითხრეს, რომ აქ ვილაცეები არ არიან დაინტერესებულნი, მოთამაშეები, საფრანგეთის გარდა, სხვა ქვეყნებში წავიდნენ".

ძნელი სათქმელია, ვინ არის ის, ვინც სტუმრებს ასეთი რამ უთხრა, მაგრამ ასეთების მოძებნა რომ ძნელი არ არის, ფაქტია. მორაგბეთა ტრანსფერებთან დაკავშირებით ხომ არაერთხელ გამოთქმულა უკმაყოფილება სხვადასხვა კლუბის მხრიდან.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ერთი რამ მაინც გაუგებარია: როცა კაცი ამხელა გზაზე სპორტსმენის სანახავად მიდის, ისიც უნდა იცოდეს, ამის საშუალება სად და როდის მიეცემა. ამით იმის თქმა გვინდა, რომ საქართველოში ჩამოსულ ორ აგენტს უნდა სცოდნოდა: ლეგიონერები საფრანგეთში არიან, საქართველოს ჩემპიონატი კი ჯერ არ დაწყებულა, ანუ, ვერ გაიგებდნენ, ვინ რისი მაქნისია და ღირს თუ არა ვინმესთვის უცხოური კლუბის მოძებნა. როგორც გაირკვა, კლაქსტონისთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონია, რადგან გარკვეულ ინფორმაციას საქართველოს მორაგბეთა შესახებ ისედაც ფლობდა, დანარჩენის დაზუსტებას კი მეორე ვიზიტისას აპირებს. "ამჟამად იმ ხალხის შეგულება მინდა, ვინც ქართველი მორაგბეების შესახებ ინფორმაციას მოგვაწვდის. გარკვეულ ინფორმაციას ახლაც ვფლობთ, მაგრამ უფრო მეტი გვაინტერესებს. როცა კონკრეტული ინფორმაცია გვექნება, მაშინ ჩამოვალთ სპორტსმენის სანახავად. ჩვენი რეკომენდაციის გარეშე მისი აყვანისგან ყველა თავს შეიკავებს, ჩვენ კი, თუ თავად არ ვნახეთ, ვინ რას წარმოადგენს, რეკომენდაციას ვერ გავუწევთ, ესე იგი, კლუბებსაც ვერ მოვუძებნით, - განაცხადა კლაქსტონმა, - კონკრეტულად რომელიმე მორაგბეზე საუბარი ჯერჯერობით ადრეა, მაგრამ, თუ ქართული კლუბები დაინტერესდებიან, რამდენიმე ქართველი მორაგბე უთუოდ მოხვდება ინგლისურ, უელსურ, შოტლანდიურ ან ირლანდიურ კლუბებში".

წყალბურთი

# გამოცანა: არც იგებს, არც აგებს, ვინ არის?

გიგა გურასაშვილი

წყალბურთელთა მსოფლიო თასის გათამაშებაში ქვეჯგუფის ბოლო მატჩებმა ტიტულისთვის მებრძოლი ოთხი გუნდი გამოავლინა. ამ მხრივ საბერძნეთის ნაკრებია აღსანიშნავი. ბერძნებმა იოლად გადალახეს ქვეჯგუფის ბარიერი. მართალია, არც ერთი მატჩი არ მოუგიათ, მაგრამ არც წაუგიათ. მათ ქვეჯგუფის ბოლო მატჩიც საყაიმო ანგარიშით (7:7) დაამთავრეს ხორვატებთან. ეს უკანასკნელნი კი ბოლო ადგილზე არიან. ხორვატებისთვის სტიმულად ის თუ გამოდგება, რომ მათსავით მაჩანჩალა A ჯგუფის ბინადარს, აშშ-ის ნაკრებს, ბარსელონას მსოფლიოს ჩემპიონატის მე-7 ადგილს შეეცილოს. არადა, მატჩის პირველი ნახევარი ბერძნებს კარგს არაფერს უქადდა. ხორვატები თავიდანვე დაწინაურდნენ, როდესაც აუზი ორი ბურთის უპირატესობით დატოვეს (2-1, 2-1). თუმცა, ბერძნებმა, როგორც წინა მატჩებში, თამაშის ბედი ბოლოს შემოაბრუნეს. მათ დაკარგული მესამე მეოთხედში აინაზღაურეს, როდესაც თავად დაწინაურდნენ ორი ბურთით. საბერძნეთ-ხორვატიის დაპირისპირებაში გარდამტეხი ბოლო მეოთხედი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვერც ერთმა მხარემ ვერ მოიპოვა უპირატესობა და საბოლოოდ ორ-ორი ბურთით დაზავდნენ.

"ვშიშობდით, რომ ხორვატები თავის საუკეთესო მატჩს ითამაშებდნენ და მართლებიც აღმოვჩნდით. წინა მატჩებისგან განსხვავებით, ჩვენს გუნდს უამრავი შეცდომა მოუვიდა, განსაკუთრებით დაცვაში. მაგრამ, საბედნიეროდ, ყურადღება გადამწყვეტ მომენტებზე გავამახვილეთ", – თვითკრიტიკულია ბერძენთა კაპიტანი კოსტას ლოუდისი.

ხორვატთა დამრიგებელი დუხო ვესელინი კი თვლის, რომ მისმა შეგირდებმა მეტოქეზე უკეთ ითამაშეს, და, ზოგიერთი გარემოება რომ არა, მისი გუნდი გამარჯვებას იმსახურებდა. გარემოებებში ვესელინი, ალბათ, გულისხმობდა მათდამი აგრესიულად განწყობილ იუგოსლაველ გულშემატკივრებს, რომლებიც მთელი მატჩის განმავლობაში ბერძნებს ქომაგობდნენ.



იუგოსლავია – უნგრეთი

REUTERS

მსოფლიო თასის მშვენება მასპინძელთა და უნგრელთა დაპირისპირება გამოდგა. გიგანტებს შორის ჭიდილში ოლიმპიურმა ჩემპიონმა უნგრეთის ნაკრებმა გაიმარჯვა – 9:7. მადიარები მთელი მატჩის განმავლობაში ნამდვილი ჩემპიონებივით თამაშობდნენ. იუგოსლაველებს ვერც სავსე ტრიბუნებმა უშველა. გათამაშების უმთავრესი ფავორიტის დამარცხების მიუხედავად, იუგოსლაველთა ქვეჯგუფის კენწეროდან ჩამოქვეითება შეუძლებელი იყო, ისევე, როგორც გამარჯვებულთა ქვეჯგუფში დაწინაურება. მადიარები მესამე ადგილზე არიან და მეოთხედფინალში ბერძნებთან უნდა გაარკვიონ ურთიერთობა. მათ შორის გამარჯვებულს კი ნახევარფინალში მასპინძლებთან მოუწევს პაექრობა.

საქმე ის არის, რომ A ჯგუფში იუგოსლავიამ, უნგრეთმა და რუსეთმა თანაბარი ქულები (4-4) დააგროვეს. ადგილები კი ურთიერთშეხვედრებმა და გატანილ-მიღებული ბურთების სხვაობამ განაპირობა.

რაც შეეხება მატჩს, უნგრელები აშკარად უკეთესად გამოიყურებოდნენ, ვიდრე მასპინძლები. უნგრელებმა თამაში კონტრშეტევებზე ააგეს და საქმე პირველ ნახევარში მოათავეს. მეორე ნახევარში უპირატესობა ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოიპოვა (2-2, 2-2).

"ჩვენ მსოფლიოს თასს საუკეთესო იმედებით ვეწვიეთ. მართალია, რუსებთან წავაგეთ, მაგრამ, სანაცვლოდ, ფავორიტი - იუგოსლავია დავამარცხეთ", - მასპინძელთა ძლევით კმაყოფილია უნგრელთა მწვრთნელი დენეშ კემენი.

"დერჟავებს" შორის პაექრობაში ყველაზე უკეთ რევაზ ჩომახიძე გამოიყურებოდა და ამას უცხოელი ექსპერტებიც ადასტურებენ. ამერიკელებისა და რუსების დაპირისპირებაში ამ უკანასკნელთა უპირატესობა თვალში საცემი იყო. რუსების გამარჯვებაში უდიდესი წვლილი ჩომახიძეს მიუძღვის. მან ორი ბურთი გაიტანა ამერიკელთა კარში და თანაგუნდელებსაც დაეხმარა გოლის გატანაში. უნდა ითქვას, რომ რუსების გამარჯვება ეჭვქვეშ არავის დაუყენებია. ეს პირველ ნახევარშივე გამოჩნდა, როდესაც რუსებმა მეტოქეს ხუთი უპასუხო ბურთი გაუტანეს. მატჩი კი 8:5 მოიგეს. ახლა რუსები შეხვდებიან B ჯგუფში მესამე ადგილზე გასულ ესპანელებს, რომლებიც თავის მხრივ იტალიელებთან 5:7 დამარცხდნენ.

"ამერიკელებთან მატჩს ჩვენთვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ვიცოდით, რომ აუცილებლად უნდა მოგვეგო. ამიტომაც თავიდანვე იერიშზე გადავედით, რათა დიდი უპირატესობა მოგვეპოვებინა. იუგოსლაველებთან მარცხის შემდეგ გვინდოდა, საკუთარ თავთან მართლები დავრჩენილიყავით და ჩვენ ეს შევძელით", - განაცხადა ჩომახიძემ.

ჩოგბურთი

# მე-13 ჭერჭერობით იღბლიანია

**ლონგ-აილენდი. აშშ. ვაჟები. ჰარდი. საპრიზო ფონდი 480 000 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონი ტომი ჰაასი (გერმანია). მესამე წრე.**

ტომი ჰაასი (გერმანია, 1) – აგუსტინ კალერი (არგენტინა) 4:6, 6:2, 6:1

იუნეს ელ აინაუი (მაროკო, 4) – არნო კლემანი (საფრანგეთი, 14) 6:0, 6:2

ალექს კორეჩა (ესპანეთი, 5) – იონას ბიორკმანი (შვედეთი, 17) 5:7, 6:4, 6:3

ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) – ჟან-მიშელ გემბილი (აშშ) 7:5, 7:6

პოლ-ანრი მიშელი (საფრანგეთი) – ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 2:6, 6:3, 7:6

პარადორნ შრიჩაპხანი (ტაილანდი) – ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 6:4, 6:1

მარდი ფიში (აშშ) – ნიკოლას მასუ (ჩილე) 6:3, 6:4

ფლავიო სარეტა (ბრაზილია) – იარკო ნიემინენი (ფინეთი, 11) 3:1. წვიმის გამო მატჩი შეწყდა.

გერმანელი ტომი ჰაასი წლეულსაც აგრძელებს თავის ტრიუმფალურ სვლას ლონგ-აილენდის ტურნირზე. მესამე წრეში მან არგენტინელი აგუსტინ კალერი, მართალია, სამ სეტში, მაგრამ საკმაოდ იოლად დაამარცხა. "ლონგ-აილენდში ყოველთვის მიმართლებდა. მიხარია, რომ ტრადიცია გრძელდება. აგუსტინ კალერი კარგი ჩოგბურთელია და მისი დამარცხება არც ისე ადვილი იყო. კარგია, რომ ამერიკის ღია პირველობის წინ კარგ სპორტულ ფორმაში ვარ", – განაცხადა ტომი ჰაასმა.

მესამე ბარიერი წარმატებით გადალახეს ტურნირის სხვა ფავორიტებმაც. მეოთხე ნომრად განთესილმა მაროკოელმა იუნეს ელ აინაუიმ, რომელიც უიმბლდონის ტურნირზე ქართველმა ირაკლი ლაბაძემ დაამარცხა, იოლად სძლია ფრანგ არნო კლემანს, ხოლო ესპანელმა ალექს კორეჩამ დაძაბულ, სამსეტიან ბრძოლაში მოუგო შვედ იონას ბიორკმანს.

**ნიუ-ჰეივენი. აშშ. ქალები. ჰარდი. საპრიზო ფონდი 585 000 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონი ვინუს უილიამსი (აშშ). მეოთხედფინალი.**

ლინდსეი დევენპორტი (აშშ, 2) – ამელი მორესმო (საფრანგეთი, 6) 7:6, 6:3

ვინუს უილიამსი (აშშ, 1) – ლორა გრანვილი (აშშ) 6:2, 6:1

დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი ,7) – პეტი შნაიდერი (შვეიცარია) 6:4, 6:3

ანასტასია მისკინა (რუსეთი) – მარტინა ჰინგისი (შვეიცარია, 5) 6:7, 6:4, 6:0

პროფესიონალ ჩოგბურთელთა რეიტინგის მე-13 ნომერი, რუსი ანასტასია მისკინა აგრძელებს გულშემატკივართა გაოცებას. მან ტურნირიდან ერთმანეთის მიყოლებით გამოთიშა ესპანელი კონჩიტა მარტინესი და ბელგიელი ჟიუსტინ ენინი, ხოლო მეოთხედფინალში, სამსეტიან მატჩში, ექს-პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისი დაამარცხა.

საინტერესოა, რომ მეორე სეტში რუსი ჩოგბურთელი 1:4-ს აგებდა, მაგრამ მობილიზება მოახერხა და ზედიზედ 11 გეიმი მოიგო. "ეს ფანტასტიკურია, – ამბობს ანასტასია მისკინა, – ზედიზედ მოიგო 11 გეიმი, თანაც, მარტინა ჰინგისთან მატჩში, დაუჯერებელია". მისკინა ნახევარფინალში ამერიკელ ლინდსეი დევენპორტს შეხვდება. მეორე ნახევარფინალს კი ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული ვინუს უილიამსი და სლოვაკი სექს-ბომბა დანიელა ჰანტუხოვა გაითამაშებენ.



ტომი ჰაასი

Formula 1

# "წითელი დიქტატურა"

ასეთი ვერდიქტი გამოუტანა გერმანულმა "ფაინენშელ თაიმსმა" იმას, რაც ფორმულა 1-ის ტრასებზე ხდება. გააანალიზა რა უნგრეთის გრან-პრის ეტაპი, გაზეთის თქმით, "ფერარის" გუნდი შესაძლოა, საერთოდ მოიხსნას დისტანციიდან, ვინაიდან ამ გუნდის დომინირება ტრასებზე აშკარად თვალსაჩინოა და "ფერარის" პილოტებს მოსაგები აღარაფერი აქვთ. უმოტივაციო გუნდის ტრასაზე დომინირება კი გამაღიზიანებელიცაა.

"ბილდის" ვარაუდით, ფორმულა 1-ის ეტაპები, უბრალოდ, მოსაწყენია. თავისი აზრის გასამყარებლად გაზეთმა დაბეჭდა მიხაელ შუმახერის ფოტო, რომელიც მთქნარებას ძლივს იკავებს. ეს არის "ფერარის" საწინააღმდეგო ერთი ვერსია.

მეორე ვერსიის თანახმად, დაუშვებელია, მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპებზე მონაწილეობდეს კაცი, რომელიც "სხვისთვის იშრომებს". ჯერ კიდევ უნგრეთის გრან-პრიმდე, მიხაელ შუმახერმა, რომელმაც თავისი მეხუთე საჩემპიონო ტიტული მოიგო, განაცხადა, რომ ამიერიდან თანაგუნდელი რუბენს ბარიკელოს ვიცე-ჩემპიონობისთვის იზრუნებს.

საინტერესო ისაა, რომ შუმახერმა თავისი ნათქვამი, ტრასაზე, საქმით დაამტკიცა და ბრაზილიელს მზრუნველ მამასავით უთავისუფლებდა გზას. ყველაფერმა კორექტულად ჩაიარა, მაგრამ თვალნათლივ გამოჩნდა, რომ, ამჯერად, შუმახერმა ბარიკელოს გამარჯვება აჩუქა.

შედეგად, "ფერარის" პილოტები ინდივიდუალურ ჩათვლაში რბოლის ლიდერებად მოგვევლინენ – შუმახერი უდიდესი უპირატესობით (112 ქულა) ლიდერობს, ბარიკელო კი, 45 ქულით, მეოთხედან მეორე ადგილზე აღზევდა. ამას გარდა, უნგრეთში კონსტრუქტორთა თასის მფლობელიც გაირკვა. "ფერარი" აქაც ჩემპიონია. "წითლებმა" ყველაფერი მოიგეს, ამიტომ მათთვის წლევანდელი გრან-პრის გათამაშება აზრს კარგავს", – ასე დაახასიათა არსებული მდგომარეობა გერმანულმა "ფაინენშელ თაიმსმა".

"გრან-პრი მოსაწყენია და ასე დარჩება, თუ მეორე ადგილისთვის ბრძოლა არ გამოცოცხლდა", – წერს გაზეთი "ბილდი". ამჟამად ვიცე-ჩემპიონობისთვის რეალურად სამი პრეტენდენტი იბრძვის: რუბენს ბარიკელო - 45 ქულა (ფერარი), რალფ შუმახერი და ხუან პაბლო მონტოია – 40-40 ქულა (ორივე უილიამსი). თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ამ ბრძოლაში ბარიკელოს მეტი უპირატესობა აქვს. მას უფროსი შუმახერი "მფარველობს".



მიხაელ შუმახერი და რუბენს ბარიკელო

REUTERS

# მონტოია "უილიამსში" რჩება

"ფორმულა 1"-ის საჯინიბო "უილიამსი" ოპტიმისტების გუნდია. ფრენკ უილიამსმა ჟურნალისტები შეკრიბა და ოფიციალურად განაცხადა, რომ კოლუმბიელი პილოტი ხუან პაბლო მონტოია გუნდში 2004 წლის ბოლომდე დარჩება. "პაბლო ყველაზე პერსპექტიულია და უდიდესი გამოცდილება შეიძინა, - განაცხადა საჯინიბოს მფლობელმა, - იგი აუცილებლად გახდება მსოფლიოს ჩემპიონი. ეს 2003 წელს ან, უკიდურეს შემთხვევაში, 2004-ში მოხდება." თავად კოლუმბიელი კმაყოფილია ახალი კონტრაქტით. "ვგრძნობ, რომ ჩემს კარიერაში გადამწყვეტი მომენტი დგება, ისეთი, რომლის გამოყენებაც აუცილებელია. ამ შანსს ხელიდან არ გავუშვებ."

# მალაიზია თამბაქოს წინააღმდეგ

მალაიზიის ჯანდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ მომავალი წლიდან ქვეყანაში თამბაქოს ყველანაირი სახის რეკლამა აიკრძალება. კანონი საკმაოდ მკაცრია, თუმცა, გარკვეულ დათმობებზე მიდის. თამბაქოს რეკლამირება გაგრძელდება იმ სპორტული ასპარეზობების დროს, რომლის სახეობებსაც თამბაქოს მწარმოებლები უწევენ სპონსორობას. მალაიზიის გრან-პრის ორგანიზატორებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ ტრასაზე გასულ მანქანებს კვლავ დაამშვენებს სხვადასხვა მარკის სიგარეტის მწარმოებელთა ემბლემები. თუმცა, ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრი ჩუა დჟუი თამბაქოს რეკლამის საყოველთაო აკრძალვას ითხოვს. ამის გამო მინისტრმა ბევრი მტერი გაიჩინა.

# შუმახერს მოსწყინდა

მსოფლიოს უძლიერესი პილოტი მიხაელ შუმახერი კი მოწყენილობისგან იტანჯება. მან იოლად, ერთი ამოსუნთქვით მოიგო წლევანდელი ჩემპიონატი და ახლა ერთფეროვნების დარღვევას ცდილობს. გერმანელის მენეჯერმა უილი ვებერმა საგონებელში ჩააგდო "ფორმულა 1"-ის მოყვარულები. "მიხაელმა თვითონაც არ იცის, რა უნდა. იგი ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონია და არ იცის, განაგრძობს თუ არა ასპარეზობას". ვებერმა განაცხადა, რომ შუმახერი შეიძლება 2004 წლის სეზონის დასრულების შემდეგ წავიდეს. "ფერარის" საჯინიბოს პრეზიდენტმა ლუკა მონტეზელმომ გერმანელს შესთავაზა, კონტრაქტი კიდევ ოთხი წლით გაეგრძელებინა, რაზეც კატეგორიული უარი მიიღო. "მოლაპარაკების მაგიდას, უკიდურეს შემთხვევაში, 2003 წელს მივუჯდები", - განაცხადა შუმახერმა.

# რალფის მოკრძალებული ქორწილი

როცა ვარსკვლავები ქორწილს იხდიან, ფართო საზოგადოებისთვის საზეიმო დეტალები უცნობი რჩება. ასე, მაგალითად, გერმანელ ტოპმოდელს, კლაუდია შიფერს, ისე ძალიან უნდოდა, გარეშე პირებს არაფერი სცოდნოდათ მისი საქორწინო ცერემონიალის შესახებ, რომ ეკლესიაში გრძელ მოსასხამში გახვეული შევიდა.

თანამემამულე ლამაზმანისგან განსხვავებით, ფორმულა 1-ის ერთ-ერთი ასი რალფ შუმახერი თავისი ქორწილის გასაიდუმლოებას სულაც არ აპირებს. ის და მისი სატრფო კორა დაქორწინებას 7 სექტემბერს ზალცბურგში აპირებენ. "მე და კორა ბავშვებივით მოუთმენლად ველით ამ დღეს. არავითარი პომპეზური ცერემონია არ იქნება, უბრალოდ, ეკლესიაში ჯვარს დავიწერთ და მერე ჩვენს შეუღლებას ზალცბურგის ერთ-ერთ რესტორანში აღვნიშნავთ", - ამბობს რალფი.

ქორწილში 80-მდე კაცია დაპატიჟებული. რალფი არ აპირებს, თავის უფროს ძმას, მიხაელს მიბაძოს და ქორწილის დღეს ყველა კარი ჩარაზოს. შეუღლების შემდეგ რალფი და კორა ზალცბურგში იცხოვრებენ.

# ბანდერასისა და ტომპსონის გმირული ტანდემი

ანტონიო ბანდერასი და ემა ტომპსონი 70-იან წლებში გადასახლდებიან და სამხედრო რეჟიმის დროს რეპრესირებული არგენტინელების სახეებს გააცოცხლებენ. ახალი ფილმი, Imagining Argentina გადმოსცემს სწორედ იმ ადამიანთა ისტორიას, რომლებიც 1976-83 წლებში სამხედრო მმართველობას შეეწირნენ.

ფილმის რეჟისორია კრისტოფერ ჰამპტონი. ინგლისელი ემა ტომპსონი კი განასახიერებს გმირი ჟურნალისტის როლს, რომელსაც სამხედრო რეჟიმის შესახებ მამხილებელი წერილების გამოქვეყნებისთვის გაიტაცებენ. ამ ტრაგიკული ამბების ეკრანიზაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბანდერასისთვისაც. "არგენტინაში ჩასვლისთანავე მივხვდი, რომ ეს ფაქტები წარსულს არ ჩაბარებია. ჭრილობა კვლავ ღიაა. ხალხს სურს, რომ სიმართლე მთელმა მსოფლიომ გაიგოს", - აცხადებს ის.

ალსანიშნავია, რომ ბანდერასი არგენტინის ამ ახლო წარსულს ასე მტკივნეულად პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე აღიქვამს. ისიც გარდამავალი პერიოდის შვილია: "როცა ფრანჩესკო ფრანკო გარდაიცვალა, 15 წლის ვიყავი... იმ პერიოდში გავიზარდე, როცა ესპანეთი ფრანკოს რეჟიმიდან დემოკრატიის რელსებზე გადადიოდა... ამიტომ ვიცი, რომ საზოგადოებისთვის პოლიტიკური ამბების თხრობა ერთგვარად მიმზიდველია".


ემა ტომპსონი და ანტონიო ბანდერასი REUTERS

პრობლემით არანაკლებ დაინტერესებულია ემა ტომპსონიც. როლზე მორგებას ის ყველანაირად ცდილობს. ამაში მსახიობს კარგად ნასწავლი ესპანური ენაც ეხმარება. საინტერესოა, რომ ემამ ესპანური ხუთი წლის წინ, სამ დღეში, ინტენსიური კურსებით ისწავლა...

ფილმით Imagining Argentina ტომპსონი სამხრეთ ამერიკულ თემას არ ამოწურავს. ის აპირებს, გადაიღოს ფილმი მუსიკოს ვიქტორ ჯარაზეც, რომელიც ჩილეს სამხედრო რეჟიმის დროს "ააორთქლეს". ტომპსონმა მისი ისტორია საფუძვლიანად იცის, რადგან ლონდონის სკოლაში ჯარას სამშობლოდან გამოქცეულ შვილთან ერთად სწავლობდა.

ბანდერასი კი, შეიძლება ითქვას, რომ 2004 წელს ფესვებს დაუბრუნდება – ანუ, პედრო ალმოდოვარს. ეს არის რეჟისორი, რომელსაც ბანდერასი თავის ბრწყინვალე კარიერას უნდა უმადლოდეს. 2004 წელს მათი ტანდემი კვლავ შედგება.

# ვუდი ჰარილსონს გოლები გააქვს

"მოწოდებით მკვლელი" ვუდი ჰარილსონი (ფილმ Natural Born Killers-ის ვარსკვლავი) აღმოჩნდა, რომ მოწოდებით ფეხბურთელიც არის. მას შემდეგ, რაც მან ლონდონში დაიდო ბინა, მეგობრებთან ერთად საკვირაო საფეხბურთო შეხვედრებს აწყობს და გოლებიც გააქვს.

უფრო ზუსტად, ჰარილსონი ლონდონის პარკში შეკრებილმა მოყვარულმა ფეხბურთელებმა თავად შენიშნეს. მსახიობს ფეხბურთელის ბუცები ეცვა და პარკში სუფთა ჰაერს ყლაპავდა. მან მოთამაშეების მიწვევა სიამოვნებით მიიღო და მას შემდეგ აღარც ერთ შეხვედრას აღარ აკლდება. თუმცა, ჰარილსონი საფეხბურთო მატჩების შემდეგ პაბებში ლუდის დასალევად აღარ მიდის, რეპეტიციებს იმიზეზებს და თან, როგორც ჩანს, ლუდით გასუქება არ უნდა – საფეხბურთო ფორმას უფრთხილდება. თანაგუნდელები მსახიობს დადებითად ახასიათებენ. "ბიბისის" რადიოს დიჯეი აცხადებს, რომ ჰარილსონი ენერგიული მოთამაშე და ძალიან სასიამოვნო ადამიანია.

ალსანიშნავია, რომ ფეხბურთელის გარდა, ის კიდევ ერთ ახალ სტატუსს ფლობს – ჰარილსონს ექს-ჰოლივუდელს ეძახიან. მან ხომ ბევერლი ჰილსი ლონდონის ვესტ-ენდსა და თეატრზე გაცვალა. ის ახლა ლონდონის კომედიურ თეატრში მოღვაწეობს და ამ ეტაპზე, მსახიობ კაილი მაკლაჰანთან ერთად, მუშაობს პიესაზე On An Average Day.

# რას ნიშნავს ინგრიდ ბერგმანის შვილობა

იზაბელა როსელინი 50 წლისაა, მაგრამ თავს მოდისთვის ხანდაზმულად მაინც არ მიიჩნევს. რაც მთავარია, როსელინის დაბერებულად არც მოდის სამყაროში თვლიან. რამდენიმე დღის წინ, ის ძველი ბრიტანული სამარკო ნიშნის Vieylla-ს სახედ აირჩიეს. შესაძლოა, ეს სახელი დღეს ისე აღარ ჰქუხდეს, როგორც წარსულში, მაგრამ ექსპერტების თქმით, Vieylla მალე მეორე "ბარბერი" გახდება და ამ წარმატებაში თავის წვლილს იზაბელაც შეიტანს. ცნობისთვის: როსელინი წლების განმავლობაში Lancome-ს სახედ ითვლებოდა, თუმცა, ფირმასთან კონტრაქტი ათიოდე წლის წინ დასრულდა – მოდელის 40 წლის იუბილეზე.

ახლა იზაბელას იმიჯზე შვედი ფოტოგრაფი ბლეის როიტერსვარდი მუშაობს. სწორედ ის იღებს ფოტოებს Vieylla-ს ახალი ხაზის Blue Label-ისთვის. კომპანიის მენეჯერი, გრაჰამ სიმი აღნიშნავს: "გვსურდა, ჩვენს სახედ თავისუფალი და, ამავე დროს, საზოგადოებაში მაღალი რეპუტაციის მქონე ფიგურა შეგვერჩია. პუბლიკა დღესაც დიდ ყურადღებას აქცევს იმას, რომ იზაბელა ინგრიდ ბერგმანის შვილია. ის მაღალი კლასის და ინტელექტის სიმბოლოა. ამიტომ ახლაც ბევრი ქალის კერპად რჩება". Vieylla, რომელსაც ბრიტანულ ბაზარზე მოღვაწეობის 220 წელი შეუსრულდა, იზაბელა როსელინის დაქირავებით სწორედ ამ მანდილოსნების მიზიდვას შეეცდება.


იზაბელა როსელინი

უმაღლესი განათლება
დიდ ბრიტანეთში

თუ ხართ დაინტერესებული ბრიტანულ უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების მიღებით
შედარებით დაბალ ფასებში
დაგვიკავშირდით:

- (899)-175381 26 აგვისტომდე
- ან პირდაპირ უნივერსიტეტში
29 აგვისტოს შემდეგ
+441978293404

- ელ. ფოსტა: n.purcell@new.ac.uk

ორივე შემთხვევაში იკითხეთ ნელი პირსელი
www.newi.ac.uk

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,
მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ექვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

## TV პროგრამა 24 აგვისტო

### რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
10.00 პოლტერგეისტი
11.00 მულტსერიალი
12.30 სერიალი "ნიკიტა"
13.30 მხ.ფილმი
15.20 სიმფსონები
16.00 მხ. ფილმი
18.00, 00.00 კურიერი
18.20 რუსული ფილმი
20.00 ჯეოპარდი
21.00 კურიერი PS
22.00 ფსიქო. მხ.ფ. "ზაფხულის ზღაპარი"
00.15 მხ.ფ. "მესამე ხარისხის ახლო კონტაქტები" მთ. როლებში სილვესტერ სტალონე, შერონ სტოუნი
02.00 ღამის ჯაზი

### პირველი არხი

08.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე
08.10 მულტსერიალი "შავი მეკობრე"
09.00 "მსოფლიოს ველური ბუნება"
09.55 "მხიარული კარუსელი"
10.20 დოკ. ფილმი "მეხუთე განზომილება"
10.45 "ოქროს მართვე"
11.15 "მრავალჟამიერ"
11.50 როკოპერა - "განკიცხულნი"
13.10 "კვალი"
13.40 "საწინდარი"
14.35 "რეალური სამყარო"
15.15 მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. ბრაზილია - გერმანია (განმეორებითი ჩვენება)
17.30 "ჩემი გოგლა"
18.00 დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-20 საუკუნევ"
19.00 "ვესტნიკი"
19.40 "დროშა"
20.25 "ქიმერიონი"
21.10 მღერის მ. ჯაბუა
22.40 "თბილისური ამბები"
23.00 "მეალომანია"
23.40 დოკ.სერიალი "მეოცე საუკუნე" 00.15 მხ. ფილმი "აუზი"

### მეორე არხი

19.00 იყო და არა იყო რა
19.30 მხ. ფილმი "ღამე მანჰეტენზე"
21.15 დოკ. ფილმი
22.00 მხ. ფილმი "ჰილარი და ჯეკი"

### ევრიკა

10.00 მხ. ფილმი "გარაჟი"
12.00 პროგრამა "სალონი"
13.30 ექიმი გვირჩევს
14.30 მუსიკა
15.00, 21.00 ვესტი
15.30 მულტფილმი "პრინცესა მონოკოკე"
17.30 თქვენი ადვოკატი
18.30 სერიალი "ბოშა" მე-4 სერია
19.30 ცეროდენა ვარსკვლავები
20.00 თინეიჯერი
21.25 "ზერკალო"
22.00 "გამარჯობა"
22.40 თეატრალური შეხვედრები
23.40 მსოფლიო სპორტი
00.40 მხ. ფილმი "უკანასკნელი მეტრო"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 ალსავალი
08.20, 10.15, 10.45, 14.10, 17.20, 19.40, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "ამორძალები და გლადიატორები"
10.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
10.25 საბავშვო სერიალი "მხიარული არდადეგები"
10.50 მხ. ფილმი "ჭკუას ვკარგავ აირისზე"
13.10, 17.30 მულტფილმი
18.00 დოკუმენტური ფილმი
19.30 ჩანახატი
20.00 მხ.ფ. "სათამაშო"
22.30 მხ. ფილმი "გვირაბი"
00.50 ღამის ფილმი

### პირველი სტერეო

07.30 "ცხოვრება სიტყვაში"
10.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
12.30 "ვიდეო-რადიო" განმეორებით
14.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით
15.30 მხ. ფილმი
17.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "სად არის ჩემი მანქანა, ბიჭო?"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეო-რადიო
21.00 ქართული ათეული
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ხელოვნური ინტელექტი" მთ. როლებში ჯუდ ლოუ, ჰეილი ჯოელი
01.50 "ღამურა" მხ.ფ. "ქარბორბალა". მთ. როლებში ოლივიე ტრუნერი, ბილი დრაგო
03.20 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი "მარსის მოჩვენებები"
13.30 მხ. ფილმი "დიდი ფსონი"
15.15 მხ. ფილმი "გონება და გრძნობა"
17.15 მულტფილმი "ანასტასია"
19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
19.20 მულტფილმი
21.00 მხ. ფილმი "ინტუიცია"
22.30 მხ.ფ. "რაბინი იაკობის თავგადასავალი"
00.20 მხ.ფ. "ბელა მაფია"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 "დღის ამბები"
09.20 ლიმონი და ლიმონათი
09.35 მულტფილმი "შეჰრაზადი" 34-ე სერია
10.00, 15.00 საინფორმაციო შემეცნებითი მუსიკალური გადაცემა "დილა"
11.20 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 34-ე სერია
11.45, 18.35, 21.10, 21.40, 23.45, 00.20 მუსიკა
11.55 მხ. ფილმი "მკვდარი პოეტების საზოგადოება" მთ. როლში რობინ უილიამსი
14.00 მუსიკალური გადაცემა "ბელისიმო"
14.45 მულტფილმი "ვარდისფერი პანტერა"
16.20 დოკ. ფილმი "ყველაფერი ჩემს შესახებ"
17.45 დოკ. ფილმი "გერმანული კინო"
18.50 მხ. ფილმი "არაფერია დასაკარგავი". მთ. როლებში მარტინ ლოურენსი, ტიმ რობინსი
21.20 მულტფილმი "კეთილი ჯადოქარი ოზიდან"
22.00 მხ. ფილმი "სადა ხარ, ძმაო?". მთ. როლებში ჯორჯ კლუნი, ჯონ ტურტურო
00.40 მხ.ფ. "კოსმოსის კოვბოები"

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ქართული მხატვრული ფილმი "თვალი პატიოსანი"
10.45 "ექსკლუზივი"
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 სათავგადასავლო ფილმი "ჩვილის გასეირნება"
13.50 მელოდრამა "თუნუქის თასი"
16,15 მულტფილმი "ჯადოსნური მოგზაურობა"
17.30 კომედია "სათამაშო"
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 პრესდაიჯესტი
19.40 მხატვრული ფილმი "ათი ზანგი ბიჭუნა" 1 სერია
21.00 ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი "ჭა"
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.50 Слово
23.20 დოკუმენტური ფილმი
00.50 მელოდრამა "რომეო და ჯულიეტა"
03.30 ფილმი-კატასტროფა "კასანდრას უღელტეხილი"

### VII არხი

18.00, 22.15,02.16 ანონსი
18.05,21.50 ამინდის პროგნოზი
18.15 მუსიკალური ტაიმაუტი
18.25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი
19.45 "აჩიკუდა" (შესვენებისას)
19.55 "ბედნიერი ერი" ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით (შესვენებისას)
20.25 "სახლიდან გაუსვლელად
20.55 "საყვარელი ფილმი" - "გაყინული". საფრანგეთი.
1979 წელი. კომედია. როლებში: ლუი დე ფიუნესი.
22.30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი
23.05 "სახლიდან გაუსვლელად"
00.30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა
01.00 პრესის მიმოხილვა
01.10 "სახლიდან გაუსვლელად"
01.40 მუსიკალური ტაიმაუტი
02.00 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

08.05 "Правда о птицах"
09.00, 11.00, 15.00, 19.00 Новости.
09.10 "Играй, гармонь любимая!"
09.50 Слово пастыря.
10.05 сериал "СОБАЧЬЕ ДЕЛО"
11.10 Смехопанорама Евгения Петросяна
11.45 Смак
12.05 х.ф. "ТРАНССИБИРСКИЙ ЭКСПРЕСС"
13.50 "Чтобы помнили..."
14.30 Дисней-клуб
15.10 Хоккей. Международный турнир "Кубок "Спартака". Финал
16.50 Док. детектив "Последний соблазн угонщика"
17.20 "ЗИГЗАГ УДАЧИ"
19.20 Ералаш
19.30 "НИКОГДА НЕ ГОВОРИ "НИКОГДА"
22.00 Время
22.30 х.ф. "СМЕРТЕЛЬНАЯ БИТВА - 2: УНИЧТОЖЕНИЕ"
00.15 х.ф. "ИСЧЕЗНАВЕНИЕ"
02.20 Концерт "Крылья"

### РТР

07.20 х.ф. "ОДИН ИЗ НАС"
09.00 Здоровье и жизнь
09.35 Золотой ключ.
09.55 Доброе утро, страна!
10.30 "Наука и техника"
11.25 "Вокруг света"
11.20 "100 к однаму"
13.15 х.ф. "БОИНГ - БОИНГ"
15.00, 21.00 Вести
15.20 х.ф. "МАТРОС С "КОМЕТЫ"
17.00 Футбол. Чемпионат России. "Локомотив" - "Ростсельмаш"
19.00 Моя семья
19.55 Аншлаг
21.25 х.ф. "БЭТМЕН И РОБИН"
23.50 х.ф. "4-Й ЭТАЖ"
01.35 10-й фестиваль российского кино "Окно в Европу"
02.30 "ТВИН-ПИКС"
03.35 Горячая десятка

### НТВ

07.45 Детское утро на НТВ. "ЖИЛА-БЫЛА ДЕВОЧКА".
09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00 Сегодня.
09.10 "АХ, ВОДЕВИЛЬ, ВОДЕВИЛЬ...".
10.25 Доктор Бранд. "Без рецепта".
11.20 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". "ШКОЛА "ПАУКА".
12.20 "Квартирный вопрос"
13.25 "ИХ ЗНАЛИ ТОЛЬКО В ЛИЦО"
15.15 Вкусные истории.
15.30 Путешествия натуралиста
16.05 Своя игра.
17.30 Сериал "НЕИЗВЕСТНАЯ ПЛАНЕТА"
18.25 Чистосердечное признание.
18.55 "Женский взгляд"
19.25 "Вы будете смеяться"
20.35 Амалия Мордвинова в детективе "ОХОТА НА ЗОЛУШКУ".
21.35 "ГЕРОЙ-ОДИНОЧКА"
23.40 Профессиональный бокс.
00.55 детектив "МЕЖДУ НОГ"

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული. ტელ: 202424, 200024
იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში